

114
1938/2



მნათონი

12

გვილის

1938



ՁԵԱՄՈՒՆ

ՏՐԴԱԼՈԱԾ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՎՐԱՅԱԿԱՆՈՒՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ
ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ
ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ ՏԱԾՎԱԼՈՆ

ՀՅՈՒՆԱԾԱԾՈ ՅՈՒՆԱԾՈ ՅՈՒՆԱԾՈ ՅՈՒՆԱԾՈ

12



ԳՐԱՎԱՐԱՆ

1960 ՀՅՈՒՆԱԾՈ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀՅՈՒՆԱԾՈ
ՀՅՈՒՆԱԾՈ ՀՅՈՒՆԱԾՈ



რედაქცია:

ტფილის, მაჩიბლის 13,
შემოლოდ სისტემა
ტ. 371-84

ძანტორა:

ტფილის, კოროვას ქ. № 7
სახლ-გამი
პერიოდულებრობა

პ/შ. რედაქტორი — ალიო გაგაშვილი

პ/შ. გენდანი — ლევან ასათიანი

გვ. წარ. 20/XII — 38; ხელმ. დასახ. — 30/XII 38 წ.

ვეფ. № 2426; მთავრ. აწ. № 2683; ტარ. 5000.

სახლ-გამის პოლიგრაფული მშენებელი, ქორესის ქ. № 5.



უადეუდებელი საუნჯვა

საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოქლე კურსის გამოსცელა უდიდესი მოელენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მთელი მოწინავე კაცობრიობის ცხოვრებაში; ამ წიგნის სახით პარტიამ ჩვენ მოგვცა კოლოსალური ძალის თეორიული იარაღი, მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ძირითად კოდნათა ენციკლოპედია; მასში თავმოყრილია ბოლშევიზმის უდიდესი იდეური სიმდიდრე, ხალხის მასებმა, რომელიც გატაცებით დაწაფებული არიან ბოლშევიზმის შესწავლის — ამ წიგნის გამოსცელისთანავე მასში დაინახეს თეორიული აზრის ფასდაუდებელი საუნჯვა. ბოლშევიკური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას აქვთნებდა და აკუთნებს რევოლუციურ თეორიას; ბოლშევიკურ პარტიას მისი ჩასახეის დასაჭყისიდანვე თეორია მუდმივ განუყრელად დაკავშირებული ჰქონდა რევოლუციურ პრაქტიკასთან, ბოლშევიკების სიტყვა არასოდეს არ შორდებოდა საქმეს.

ამ ისტორიულ კეშმარიტებას ცხადჰყოფს პარტიის ისტორიის ახალი სახელმძღვანელო, რომელიც გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კომისიის რედაქციით და მოწონებული იქნა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ. მასში თეორიულად განზოგადოებულია ბოლშევიკური პარტიის მთელი გიგანტური ისტორიული გამოცდილება, მოცემულია მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიისა და მისი პარტიის ისტორიის ურთიერთების საკითხების ნამდგილი მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური ასანა-განმარტება. ამ წიგნში კლასიკური, სტალინური სიღრმით, მეაფიობითა და სიცხადით გადაშელილია ჩვენს თვალშინ ჩვენი ცხოვრების წარსული და მზიანი აწმყო, მასში ნაჩერენებია რევოლუციური ბრძოლის წარმტაცი ისტორია, როცა ჩვენი პარტია უმძიმეს პირობებში ათეული წლობით იბრძოდა კაპიტალისტური წყობილების დამხობისთვის, ადამიანის მიერ ადამიანის ეჭვპლოატაციის მოსპობისათვის, სოციალურ უკულმართობის ოღვეისათვის, სოციალიზმისათვის. იბრძოდა და ბრწყინვალედ გამარჯვე!

ამ გამარჯვების ნაყოფი დღეს ცელასათვის თვალსაჩინოა. ესაა საპ-ჭოთა ხალხის მილიონების ბედნიერი ცხოვრება, ესაა დიადი სტალინური კონსტიტუცია, ესაა სოციალიზმი, რომელიც დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ასე დაადასტურა თვით ცხოვრებაში, თვით ისტორიაშ ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების სისწორე და შორსმცვერებულობა, იმ იდეების უკვდავი ძალა, რომელიც ჩასახეისთანავე თავის დროშაშე წაა-წერა ბოლშევიკურმა პარტიამ.

ათეული წლების მანძილზე ხორცს ისხამდნენ ეს იდეები, ფართოვდებოდა მათი გავლენის წრე, ღრმად მოიცავდა მშრომელთა სულ უფრო-

დაუფრთ ფართო ფენებს, რაზმავდა მათ, აფოლადებდა, პარტიამდა და მშადებდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ საიერიშოთ. ეს არის დიდი და სახელოვანი ვზა, რომლის შესწავლა ჩეკინ გვმატებს აქტუალურობას, განვიმტკიცებს მუშათა კლასის საქმის ღრმა რწმენას, კუჭლულების ასტრო-რიცლ მაგალითს და საუკეთესო ტრადიციას ძლევს მოთვლიო რეოლუციურ მოძრაობას. რევოლუციური თეორიის დაუფლება გვეხმარება უფრო სწრაფად გამოვიცნოთ მტრები, ჩამოვალიჯოთ მათ ყველა და უოვლებვარი ნიღაბი, რევოლუციური თეორიის დაუფლება გვიმაღლებს პოლიტიკურ სიცხიზნეს და იდეური შეიარაღებულობის ღონეს.

ამ მხრიց საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი თვალშინ გვიშლია წევნი პარტიის ბრძოლის ისტორიას და გვასწავლის თვალის ჩინიეთ ვა-უფრთხილდეთ პარტიული რიგების სიწმინდეს, დაუნდობელი ვიქნეთ მათ მიმართ, ვინც ხელს აღმართავს პარტიაზე. ეს არის საუკეთესო და მე-ბრძოლი ტრადიცია ბოლშევიზმის გმირული ისტორიისა. ამ სახელოვან ტრადიციას მთელი თავისი დიდებული სიცოცხლის განმავლობაში ზრდი-და და ანმტკიცებდა ლენინი, ამ ტრადიციას ზრდიდა და ზრდის ფილი სტალინი. მათ გამოაწრიეს და ფოლადისებური სიმტკიცით შეამჭიდროვეს ბოლშევიკების პარტია გამძაფრებულ ბრძოლაში ყველა და ყოველგვარ თაორებუნისტთა წინააღმდეგ თეორიისა და პრაქტიკის; ლენინმა და სტალინმა დაიკუეს მარქსისტული თეორია მტრების მიერ გაულებარებისა და დამახინჯებისაგან, მათ განავითარეს და ახალ საფე-ხურშე აიყანეს მარქს-ენგველის გენიალური მოძღვრება.

მდიდარია კრანდიოზებით ჩევნი ხალხის ცხოვრება, — ეს შესანიშნავი პერიოდი მთელი კაცობრიობის ისტორიისა. ამ ცხოვრე-ბის შესწავლა, მისი ყოველმხრივი გავება და მის სიღრმეში ჩაწვდენა — უოველი საბჭოთა პატრიოტის, პარტიული და არამარტიული ბოლშევი-კის გულს სიამაყის გრძნობით აფებს, ანმტკიცებს ჩევნი სახელოვანი, მშობლიური, მტკიცე კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულსა და თავ-დადების.

საბჭოთა მწერლობა თავის ხალხთან ერთად, მშრომელ მილიონებთან ურთად ლრმად გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით და ეს აღლებს მას წინსვლისა და განუხრელი აღმართების ძალის. სწორედ ამი-ტომაა, რომ მისთვის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი — განუწო-მელი მნიშვნელობის მქონეა.

პირველი, რაც აღსანიშნავია, ესაა ის, რომ აღნიშნული წიგნი საბჭო-თა მწერალს აღკურავს იდეურად. ზრდის მასში ლენინ-სტალინის პარტი-ისაღმი ერთგულების გრძნობას, სამშობლოს სიყვარულს; საბჭოთა მწე-რალს — ბოლშევიზმის მეცნიერელი მსოფლმხედველობით წეიარაღუ-ბულს, ახალი პორიზონტები ეხსნება, მას ყოველთვის წინ აქვს ფართო პერსპექტივა, მას ესმის მოვლენათა კავშირი, მას შესწევს უნარი ყო-ველი თავის პრაქტიკული ნაბიჯი შეუერთოს ჩევნი ბრძოლის საბოლოო მიზანს.

მეორე, რასაც განსაკუთრებით უნდა ხაზი ვაესვის, რას გაუკუმრებაა, რომ აღნიშნული წიგნი ძლევს მწერალს და ლიტერატურის ისტორიკოსს მთელი ისტორიის, — როგორ ძევლის, ისე ახალის, — შექმნისჩენს—შეუკეთესობას და ლრმად მეცნიერებლ იარაღს, ვინაიდან საკ. ჭ. ჭ. (ბ) ისტორიკოს მოკლე კურსში გადმიცემულია ერთადერთი ჭეშმარიტად მეცნიერებლი მსოფლიშეცელობა, რომელიც გამოსჭერა ბოლშევიკურმა პატრიამ—უაუ-ფედებდა და ანადგურებდა რა იდეალიზმს, ებრძოდა და მარცხებდა რა ნარიდნიკულ თეორიებს, ოპორტუნიზმს და შემარიგებლობას, როგორც ფილოსოფიურ ისე სოციალურ დისკიპლინებში — ერთი სიტუაცით ყველა-ფერს იმსა, რაც ჭეშმარიტ მეცნიერებას და კაცობრიობის მოწინავე აზ-როგნებას უკან სწევდა. ამ მხრივ საკ. ჭ. ჭ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, როგორც ნათელი შეუძლება გზის უნათებს ყველა მეცნიერებას. მარქსის-ტულ ლენინური თეორიის შესწავლა გვავებინებს ბუნების განვითარების კანონებს და საზოგადოების განვითარების კანონებს, ჩვენ მას ავყევართ ცოდნის მაღალ მწვერვალებში, საიდანაც ნათლად სჩანს მთელი სამყარო და მთელი ისტორიია თავის მრავალფეროვნებით, სირთულით და სისახსით. ისტორიული მატერიალიზმის ლრმად დაუფლების და საფუძვლი-ანი შექმნავლის ვარეშე ლიტერატურის ისტორიკოსი — უმწერა. მას არ შეეძლება ასწავლა ბაზისისა და ზედნაშენთა ურთიერთობა, მას არ შეეძლება გაიგოს კურნომიურ ბაზისის პირველადობა, მას არ შეეძლება გაიგოს იდეოლოგიათა განვითარებაში არსებოւლი ისტორიული მემკვიდრეობითობა, მისი შინაგანი ლოგიკა, უძლევრი იქნება ასწავლა დიდი პიროვნების როლი ისტორიაში. აյ ისტორიული მატერიალიზმი ერთნაირად აუცილებელია როგორც ისტორიკოსის, ისე ლიტერატურის ისტორიკოსის, ისტორიული რომანის ავტორისა და თანამედროვე თეორიუ მომუშავე მწერლისათვისაც.

მესამე, რაც უდიდესი შენაძენია საბჭოთა მწერლობისა და ლიტერატურის ისტორიისა და ქრიტიკისათვის ესაა ის, რომ საკ. ჭ. ჭ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომების საფუძველშე გვაძლევს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკაფიო სურათს რეაგირობის ბატონ-ყმობის გაუქმების და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების გამჭიდან დღევანდლამდის. ამით უზრუნველყოფილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-20 საუკუნის ლიტერატურის ისტორიის მკიდრი თეორიული ბაზა, ამით ესპონა გვაქანი ყოველგვარ ველვარიობას და დამახინჯებას, რასაც ადრე აღილი პქნდა ამ სუეროში.

მეორე ისაა, რომ საკ. ჭ. ჭ. (ბ) ისტორია ძლევს მწერალს უდიდეს ეპოქალურ და ისტორიულ თემებს, როგორც რევოლუციის ბრძოლის ისტორიიდან, ისე დღევანდველი ცხოვრებიდან. ის თეალწინ უშლის მწერალს ის ბრძოლების სურათებს, რომლითაც აღსავსა სამი რევოლუციის — 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, 1917 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისა და 1917 ოქტომბრის სოციალის-

ტურ რევოლუციის ისტორია. ის თვალშინ უშლის მწერალ მიერთა მდგრადე სამოქალაქო ომის წლებს, როგო სამშობლოს დასაცავადა, ყველაზე სტრალინის პარტიის მეთაურობით ფეხზე დაღვნენ მილიონები, უნდა და მოგვიანებულის მწერალს დღვევანდველ ბეჭნიერ ცხოვრებას, როგო პყვავის, იფურჩქნება, გოლიათის ტრმით და ღონით იზრდება ჩვენი უძლეველი ძველა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საბჭოთა მწერლობამ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოქლე კურსის სახით მიიღო მტერთან ბრძოლის უძლიერესი იარაღი. ეს წიგნი ზრდის ჩვენში პრინციპულობას, გვასწავლის თეორიისა და პრაქტიკის განუყრელ კავშირს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოქლე კურსი დარწმუნების უდიდესი ძალით გვიჩვენებს მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო ფილოსოფიური საფუძვლების, — დიალექტიკური მატერიალიზმის შინაგან უწყვეტ კავშირს პროლეტარიულ რევოლუციის თეორიისთვის, საერთო თეორიულ საკითხების კავშირს მუშათა კლასის ბრძოლის პრაკტიკულ პოლიტიკურ საკითხებთან. მთელი წიგნი გვაცნობს ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმს — სამყაროს გარდამშენელ თეორიას და მიგეითითებს იმაზე, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ, რომ ხალხის სამსახურში დავაყენოთ მთელი ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი კრიტიკა, ჩვენი თეორიული იზროვნება.

ასეთია ეს დიდი წიგნი, დაწერილი სტალინური სტილით, უძლეველი სტალინური დიალექტიკური ლოგიკით, რომლის დაუცხრომელი და ბეჯითი შესწავლა — ჩვენი მოვალეობაა, ყოველ საბჭოთა პატრიოტის, ყოველი პარტიული და აზაპარტიული ბოლშევკის უაღრესად დიდი და საპასუხისმვებლო ამოცანაა.



1880 წელი
ბერძნობრძოს

ბრიტონ აბაშიძე

სერგაი ქიროვი 5 ღაერაშვილ ღამონსიჩრაციაზე

ჭუჩებში ჰქონდა დეკემბრის ქარი,
თეთრად ბარდნიდა თოვლი პირველი,
განათუბული, როგოც ცისკარი,
ის მოდიოდა დროშით წითელით.

ისევ ცოცხალი და ისევ მტკიცე,
არა მწუხარე და დაბინდული,
იდეა ხალხში და ისმოდა ისევ,
დიღი ტრიბუნის ხმა რაინდული.

ეს ხმა ცეცხლით და სიმართლით იცნეს,
ეს სახე გულში კვლავ გვიხატია,
ის ხმას აძლევდა ბელადის სიბრძნეს
და ბელნიერი ხალხის ქარტიას.

მისი ხმა იყო ყველის გულისხმა,
ყველის გვეძახდა მისი სახელი,
რომ ამართულმა ხელმა ურიცხვშია
დაამხოს მტური უკანასკნელი.

თოვდა... დეკემბრის თოვლი პირველი
გვეხეია, როგორც თეთრი თავშალი,
ის მოდიოდა დროშით წითელით
და უკფლავების ურტყა ჯავშანი.



კონსტანტინე პირიაძე

მარინა რასეკოვა

ასცდა მიწას გრიალით,
ზეალმავალ ტრიალით,
და ფრთხებ-გასწორებული,
უათ კალია ვეება,
ცის კაბალონს შეება
თვითმფრინავი ქებული.

რა მსუბუქი რვალია!
სამი გმირი ქალია
ეკიპაჟი იშისა,
ბრძოლის დიდი ეინი აქვთ,
ლამის არ ეშინიათ,
არც ქარის და წეიმისა.

მოქმედებენ ხელები,
მაგრამ უმეტყველებით
მოკუმულან ტუჩები.
სარქმელები თავისა
შეწვეულის ტყავისა
შეურავთ, როგორც ზუჩები.

ყრუდ შეუკრავთ ფერდები
და მაღალი შეკრდები
ტყავისავე ქათიბებს....
მანქანა სელას ამალებს.
გადუარეს ტრაშიალებს,
თვალუწედენელ სათიბებს.

შეიბლავთ ფრენა ქარული.
ეჭვი, თუნდაც ფარული,
არ იციან სრულებით,

არც თუ ოდნავ ლელავენ.
თეძოებზე ელავენ
რევოლუციის ლაულები.



ერთი ფიდი სურეილი,
გამარჯვების წყურვილი
ყოველ მათვანს ალომებს.
მალლა სუნთქვა ხშირდება,
თავის მოხდა სჭირდება
მეუებადიან ბალონებს...

მიზუსუნებს კალია,
საათობით გალია
მან თვეობით სავალი,
მოდის მღინარეებით,
მაღნებით და ტყეცებით
შორი აღმოსავალი.

* *

ეარსკელავიან ლაშითა
ჩვეულ სითამიმითა
კას მანქანა მიპქროდა
და პირდაპირ გრიალით,
კამკამით და კრიალით,
კით კომეტა, მიპქროდა.

დილას ჩრდილი ხლებოდა —
ზეპა იღრუბლებოდა.
ჰლაშენითა და ზმორებით
იშლებოდა ულევი
ყოველ მიმართულებით
სქელი ნისლის მორევი.

რუს შრეებად ფენილი
სუნთქვა ამოქშენილი
მშეოდის ოკანისა
ჭარს მოპქონდა ჩქარანით,
როგორც ლევიაფანი
უნაპირო ტანისა.



ქარიშხალზე შემდგარი
ეკიპაჟი შედგარი
რას არ გაუმტკლავდება!
დაიციწყა მან ძილი,
არ თავდება მანძილი,
არც ბურუსი თავდება....

ჩაჰევნენ ლრუბელს ჩარლევეიოთ.
ძირს აჩენდა გარკვევეიოთ
მიწას ნისლი გამდნარი.
ნაბაღივით დაიგო
დაბლა შავი ტაიგა —
უნაპირო ნაძენარი.

უჩეხი და ურბევი,
თითქოს შავი წურბელი
დედამიწას დასხმია,
ჩაუპრულა ზღვასავით
და თავების სავსავით
ებრძეის გრიგალს ასხმიანს.

ეძებს გრიშოლუბოვა,
მავრამ ვერსად უპოვა
დასაფრენი შინდორი
დასუსტებულ თეითმფრინავს,
და ისევ წინ მიფრინავს
ალალ ბედზე შინდობით.

ბენზინი კი თავდება...
ქარტეხილი ავდება:
კვლავ ქაოსის ფურთხივით
ნისლი წამოაყარა
და მანქანა დახარა
დაკოდილი შურთხივით.

ძირს ტაიგა მოიანი,
მაღლა ქარი ფრთიანი —
დათვლილია წუთები.
გაგრილებულ თავებით
ძაგძაგებენ ძრავები
ძარღვებ-დანახუთები.

მაშ დალუპვა უწევდათ!
მოტორებად უცემდათ
გაპედული გულები.
ზეზე წამოიმართა
უფროსი, და მიმართა
შტურმანს განკარგულებით.



სხვა ხსნა მისონის არ იყო:
უნდა გადამხტარიყო
თავის გადასარჩენად,
აღარ განუმარტებდა,
რომ პილოტებს მართებდა
მანქანაზე დარჩენა.

გადარჩენა თავისა?!
სურს ატეხა დავისა
გაკვირვებულ მარინას.
ჩად გაექცეს მხოლოდ ის
კატასტროფის მოლოდინს?
იგი ამას არ იზიამს...

თვალთა გადანათება:
ისევ წინადადება....
და მარინა რასკოვაშ
შეასრულა ბრძანება —
რუკებს თავი ანება,
თვითმფრინავი დასტოვა.

ერთი იყო სურვილი,
გამარჯვების წყურეილი,
მისწრაფება ჯიუტი...
გაიშალა შრიალით
და დაეშვა ტრიალით
თეთრი პარაშიუტი.

* *

ეს რა არის? ვინ არი?
დაფრთხა უიყვი მძინარი
და ძირს ჩაკოცებული
ჰყაჩის პირიდან ნიმცეცებს
და პირალმა აცეცებს
თვალებს გაოცეცებული.

კუდი, როვორც ნამგალი,
მოლუნა და კინკალი
შიშმა დაწყებინა:
ფრთა-თეთრი და საზარი
რაღაც უზარმაზარი
ფიჭვის წვერზე ეფინა.



შაგრამ თავი მარინამ
ხეს არ დააფარებინა —
იძრო დანა ფხიანი,
გადასერა ღვევები
და გულ-დაიმედებით
მთა დაზვერა ტყიანი.

ჩამოცურდა, ჩამოხტა...
ნეტა მათ თან რა მოხდა?
მაღლობს შემოუარა
ერთი ფიქრის მდეველად:
დაჯდა დაუშესხვერეველად
ძირს მანქანა, თუ არა?

შაგრამ, გარდა ქარის ხშის,
არაფერი არ ისმის,
არც რაიმე არა ჩანს.
მხოლოდ ნისლი სრიალებს,
თითქოს ცა აფრიალებს
უშარმაზარ ფარაჯის.

გარს ნაძვები, ნაძვები...
მწეანე ლეშეის ქაცვები,
მკაწრავი და მჩხელეტავი
ქალს უშლიან სიარულს...
მზის სინათლეს მხიარულს
თუღა ნახავს ნეტავი?

ტყეს არ იყო ჩვეული.
შესდგა სმენად ქეთელი....
შძიმედ წამოეხარა
ხეებს ტანი დამპალი.
მიწა იყო დამბალი
და ზედ წიწეი ეყარა.

და უეცრად მოისმა
შორეული სროლის ხმა —
ერთი, ორი, მესამე...
გაშ ცოცხლები არიან!
რარივად უხარიან —
დებს მიაგნებს დღესაცე!



სროლითაცე ანიშნა,
სწრაფად რუჩი დანიშნა
მათის მიმართულებით.
არ იცის, რომ არია,
ქარში ხმა რომ გარია,
გეზი ეხმა სრულებით.

ჩინარა მთიანი,
მიდის იმედიანი.
გალეული ჰერნია
მთლად მანძილი მას უკვე
გაისროლა. პასუხი
აღარ გაუგონია...

დაცვარულის ტანითა,
ხელში ფინურ დანითა,
გადავარდნილ თულივით
სუროებში მიძერება...
და გეზი კი იცელება
სულ სხეა მიმართულებით!

დაალამდა. დაბნელდა,
გავლა უფრო გაძნელდა.
დაწვა. მალე რულითა
დაუამდა სხეული
ღონე-გამოლეული
უგზო სიარულითა...

ნაძეის ძირის ეძინა.
არაფერი ეფინა,
არაფერი ეხურა.
შეკრთა: რაღაც ხმაური,
უცხო და უცნაური,
ძილში შემოეყურა...



თვალი გამოახილა...
სმენა გაამახეობა...
შავად გადაწლილიყო
ღამე ყრუ და ზეიადი,
თითქოს ცათა წყვდიადი
სულ იქ ჩამოლერილიყო.

რჯდა დადუმებული,
ნაძეზე მიყულებული
ისე, როგორც მიმკედარი.
სად ეძინა? სად იყო?
ჟველაფრისთვის მზად იყო
გზის დაბნევას მიმხედარი.

გათენდება, თუ არა?
ფრთხილად ჩამოუარა
თვალთა გამონათებით
მხელმა ზე სიბრელეში.
ხმაურობდნენ ლელეში.
ალრენილი დათვები...

* * *

გაიბაშრა დღეები...
სულ ნისლი და ხეები, —
არ თავდება ტაგვა.
იბრძეის ქალი, ძალაფობს,
ჟველა გეზი პლალატობს,
ჟერაფერი გაიგო.

კეალი მათი სრულიად
შემე დაკარგულია,
და, თუმცა დღე ცისმარი
ვამარჯვება მზადდება,
ღამით ისევ ცხადდება
ტატიანას სიზმარი...

საიმედო რა ნახა?
ხეზე ჯდება ხანდახან
გამუსული ნიბლია,
ღრუბელს არღვევს არწივი,
დათვს, წამომდგარს კაცივით,
უჩანს თეთრი ილლია.

ଶୁଭଗତମ ଲାଭେ ପୁଣ୍ୟଲା,
ଯେ ରାଗିଳିର ପ୍ରଦେହଲା
ଫୁଲିଲିପୁରୁଷରିର ଘରାଜୁଗିତ,
ଅବଲାଙ୍ଗ ଅରାଶ ଦ୍ୱାରାରେବା.
ପ୍ରମତ୍ତବନ୍ଦା ପ୍ରକାଶ କାର୍ଯ୍ୟରେ
ଅନ୍ତାଗରିର ଘରାଜୁଗି.



ଗାନ୍ଧରତଶିଲ୍ପେଶ୍ଵର ତାତ୍ତ୍ଵବିତ
ଶ୍ରୀଲାଲିର ଲାଭେନାତ୍ୟରେ, —
ଶୈରିପୁରାଖା ଶ୍ରୀଶ୍ଵରମାନି,
ଶ୍ରୀପୁରାଲା ଦୁନ୍ତେବା.
ଶିଥରିତ ପ୍ରଦେହଲିପୁରୁଷର,
ରାଜଗରିପ ପ୍ରତ୍ୟାଃ ଶ୍ରୀମଦିନି.

ଫାଲମା ଦୁର୍ଲଭାବିର ଅତୀର୍ଥ
ମନ୍ଦିରକ୍ଷେତ୍ର ପାତ୍ରାର୍ଥ
ଶୈରିପୁରାଲାଦିଲିପ ଲୁଗିଲିବା,
ଶିଥା କି ପ୍ରେରିଂ କାମିଆ ରା,
ନୃତ୍ୟ କୋଲିଲି ଅତୀର୍ଥ,
ଶିଥିଲି ଶ୍ରୀଶ୍ଵରପୁରାଖ କୋଲିବା.

ମହିନ୍ଦ୍ରେଶ୍ଵରେଶ୍ଵରା, ଶମ୍ଭେଶ୍ଵରା,
ପିତ୍ରି ପ୍ରସ୍ତୁତିଶ୍ଵରେଶ୍ଵରା
ପ୍ରକାଶ ଲାଲିର ଗାୟପିନାରି,
ଶିଥିଲା ହାତିଲାମିହିଦା,
ତୁମିପା ପୁରେଶା ଶିଥିହିଦା
ରୂପିଶ୍ଵରେଶ୍ଵରା ମଦିନାରି.

ଶୈରିପୁରାଖ ଅନ୍ତରି ମିଥିର୍ଯ୍ୟ ମାନ,
ଶୁଭଲା ଶୁଭଲାପତା ଗାର୍ହମିଳି
ମ୍ରାଦୁରି ପ୍ରକାଶଶବ୍ଦିବା...
ନି ଲାଲେ ଶୈରିପୁରାଖ ନାହି;
ରାଜଗରିପ ଶୈରିପୁରାଖ ନାହି,
ନାହି ପ୍ରକାଶ କୋଳିବା.

ଶିଥିଲା କାଲାକାଳ ନିନ୍ଦେଶ୍ଵରା, —
ଶୈରିପୁରାଖ ମିନ୍ଦୁପ୍ରେଶ୍ଵରା
ମିନ୍ଦୁପ୍ରକାଶନି କାନ୍ଦି.
ମିଳିଲି ଶୈରିପୁରାଖମାରିଶୁଲି,
ମପିରେଶ୍ଵରନେଶ ଗାର୍ହମିଳି
ଅନ୍ତାଲ ସାନ୍ତାକାମିନି.

სკირს ჭანჭრობის გარღვევა, —
შემძერალიყო ძარღვებად
ნიადაგში რუები.
ზოგან, როგორც კანითა,
წაფარულა მწვანითა
მიწის ბნელი ღრუები.



ზოგჯერ კორძებს ნაქარევს
ფეხს ოდნავად აკარებს,
ხან წელამდის ეფლობა...
სწუხს ასტატი ფრენისა:
იგრძნო გადაჩენისა
სრული შეუძლებლობა.

სელა სრულებით ფერხდება,
თანაც ალარ ხერხდება
უკან გამობრუნება.
რუხი ნისლის ფრთილებით
და საღამოს ჩრდილებით
მოლუშულა ბუნება.

წინ მოსჩანან სერები,
ბრგე ნაძვების წვერებით,
ვით მაცნენი კირისა,
თავებ-დაკეპილები —
საშინელი ქბილები
საზარელის პირისა!

მაშ წერტილიც აქ არი...
ჰქონდა ფეხქეეშ მაგარი
მიწა ერთი მტკაფელი.
ცაჲ დაუწყო ყურება...
მალე გადეხურება
ღამის შავი ქრაველი.

თავს ნელ-ნელა ღუნავდა.
იცის: ალბად ზრუნავდა
მთელი მისი ქვეყანა,
რომ საწყალი მფრინავი,
საღლაც ტუეში მგმინავი,
მზეზე გამოეყვანა.

ალბად ძებნა გრძელდება,
შორს მიწაზე ერცყლდება
მისი მცირე სახელი,
ბევრიც გამოიტანილა
და ვერ აღმოჩენილა
კაცი მისი მნახველი.



გამოზრდილი მშრომელად,
იგი დაუცხრომელად
და კუთილად იღვწოდა.
რაა მისი წყლულები,
მილიონთა გულები
თუ კი მისთეის იწეოდა?!


დარჩეს, დაე, სხვებისთვის,
მათის გამარჯვებისთვის,
მისი მტკიცე სარდლობა,
ეით საბრძოლო ალაში...
ყველას თბილი სალაში,
ყველას დიდი მაღლობა!..

*

ასე ჩაფიქრებული,
ციც კაობში ენებული
იდგა ყანჩისებურად.
მსუსხავი და მჩხელეტელი,
სრულად განუჭრებული
გარს წყვდიადი ებურა.

ეით მცუნარე დარგული,
იგი ფერდაკარგული
რილას შეხვდა მეათეს.
ნახა: სხივთა ქრებული,
ასე მონატრებული,
ნაძვის წვერზე კიაფებს.

მთები ნისლებს იცლიან...
მაშ სინათლით იძლია,
ლაშის ბნელი უკუნი!
ხარობს ნიშნით ახლითა:
ჩამოქმედა შალლიდან
მას ნაცნობი გუგუნი.



ხმა მანქანის ფრენისა!
 ნიშნად აღმოჩენისა
 თავზე წრებს ფელებდა,
 და უსიტყვო ენითა,
 პირდაპირის ფრენითა
 სწორ გზას მისაწავლებდა.



მკერდი სუნთქვით აზიდა
 და ნაჩერენდ ხაზითა,
 ნაცად გამჩედაობით
 გაემართა შეებული...
 დილით შემკურიებული
 იყო ოდნავ ჭაობი.

იარა და იარა...
 ქალი, რეინა კი არა,
 იყო ამის ამტანი.
 დალლით სული ხდებოდა.
 ქაობს მიუყვებოდა
 კელავ ტყეები და მთანი.

იცლის ტალასს ტანიდან.
 კიდევ მცირე ხანი და
 ულალატებს მხნე გული.
 წუთით ეერსად ჩამოჯდა...
 უცებ მის წინ გამოჩენდა
 რალაც გაბრწყინებული.

ეს „სამშობლოს“ ფრთებია!
 ქაობს ჩაპულებია
 ვიგანტური კალია.
 ხელავს ყველა ნაწილებს
 და თვალს ველარ აცილებს:
 იქვე თრი ქალია.

როგორც ბასრი მახეილი,
 ოსიპენჯოს ძახილი
 ტყეთა დუმილს ჰქვეთაედა:
 დაინახეს! მოჩბიან...
 თითქოს თრი ორბია...
 რიცხვი სამად შეთავდა!

ପ୍ରେଲାମ ଦେବର ନିଃପ୍ରାଣ,
ମାତ୍ରାମ ଲାଶିନାଙ୍କ ଉପ୍ରେବଳା
ଫିରି ମାତ୍ରାମ ନାହିଁଲା.
କ୍ଷେତ୍ରକାତ ମହେରା ଅଲ୍ଲାରା,
ରାମ ର୍ଯ୍ୟାତରାଙ୍କ ଫାଲ୍ଲାରା
ପୁଣ ଗାଧାଲାଶ୍ଵରା.



ପ୍ରେବିଲ୍‌ଯେବିଲ୍ ତଥୀଶ୍ଵରାଙ୍କ
ମାତ ସାହେଲାଙ୍କ ରମ୍ଭେବା
ଦେବର ପାରାଶିକୁରି...
ପାତି ପୁଣ ବୁଝିଲ୍‌ଯେବିଲ୍,
ପାଦାରଜ୍ଜ୍ଵେବିଲ୍ ଚିତ୍ତରୁପିଲ୍,
ମିଳିରୁବ୍ରୁବ୍ରୁବ୍ରୁବ୍ରୁବ୍ରୁ!

პოლიტიკური გამსახურდია

ლილის გამსახურდის კონსისტინეს მარჯვენა

რაინდული რომანი

(გაფრანგება *)

XX

გიორგი პირველს თორმეტი წლისას დაადგეს სამეცნ გვირგვინი თავ-
ზე, სათამაშობის ნაცელად სკიპტრა შეაჩერეს ხელში.

აღრიან სიყრმეშივე შეება იგი ბიზანტიის კეისარს პირველად. ბასია-
ნის ომიდან უკენებლად მომრუნებულმა კათალიკოსი მიუგზავნა ბასილის,
ზევის პირობა მისცა, „მის ნობს დაადგა ფეხი“, როგორც იმეამინდელ
ბიზანტიაში იტუოდნენ ხოლმე.

როგორც გიორგი შეფეს, ისე ბიზანტიის კეისარს მუდმივი ომი ჰქონ-
დათ დღვევარიცხან აზნაურებთან. პატრიციუსი ქიფე გადაუდგა ბასი-
ლის და ნიკიფორე კისერმოქცეულს დაუკავშირდა, ბარდა უოკასძეს.
გიორგიმ დრო იხელთა, აჯანყებულებონ მოლაპარაკება დაიწყო, თა-
ნადგომა აღუთქვა კეისარს წინააღმდეგ ბრძოლაში.

განდგომილნი ფოკა და ქიფე ურთიერთს წაეკიდნენ, ფოკა მოპ-
კლეს, თავი მისი კეისარს მიართვა შეტიკების გუნებაზე დამდგარმა
ქიფემ.

ბასილიმ მოღალატის თავი გიორგი მეტეს გამოუგზავნა ძლენად, ამ-
გვარად ამცნო: არ გენდობით ფიცისგამტეხელს.

უხტიესთან სასტუკად დაამარცხა კეისარი მეტე, წარჩინებული
სტრატეგები და კატეპანები ბრძოლის ცენტრის დასტოვეს ბიზანტიელებმა,
რამდენიმე ათასი სტრატიოტე¹⁾ დაჭკარეს.

* ი. ი. „მანობი“ № 11

¹⁾ ს ტ რ ა ტ ი გ ი — ჯარის სარდალი, ს ტ რ ა ტ ი ი რ ი — ჯარისკაცი, ბიზანტიი-
ლი მონასტერი, დ ღ მ ე ს ტ ი კ ი — მხარის უფროსი, სარდალი.

დიდმალი აბჯრის აღაფთა ჩაუვარდა ქართულ ჯარს ხელში, ჭარანგები, აქლემები, ჯორები, ლოდსატყორცები და ციხეთა მშესვრელი ტარანტები¹⁾ დამარცხებული უკუტეს მაკედონელი შეზრდისას.

ვაჟაპერავინის პროვინციის მმართველმა, კომნიშვილ შემკრიცებთან შეტაკების წინა დღეს ერთგულების ფიცი ჩიმოართვა თავის ჯარს, ან ვაემარჯეათ, ან თავის სტრატეგთან ერთად მომკედარიყო ყოველი სპა.

მსტროვარებმა დააბეჭდეს სტრატიგი კომნინი, გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფესთან იყოეო შეთქმული, იმპერატორობას მიელტეოდათ.

კომნინი შეაპყრობინა ბასილიმ, თვალები დაუბნელა, თვალები დასწევს მასთან ერთად შეიდ პატრიციუსს.

შემდგომ ამისა, მსტროვარებს ამბავი მოქმენდათ გიორგი მეფესთან, ახლი ღმისათვის ემზადებათ კეისარი, ხმელეთიდან და ზღვიდან შემორიცვას აპირებს, საომარ ხომალდებსა და დრომონებს აგებს სასწრაფოდ.

კეისარის წინააღმდეგ ბრძოლის ენიმა და საქართველოსთვის წარმმული პროვინციების დაბრუნების წადილმა ბიზანტიისთან შეჯულის ერთიანობა გადააყიშყა გიორგის, ახლა ალ-ხაკიმთან გამართა მიწერ-მოწერა მეფეებმ.

ალ-ხაკიმი 11 წლისა აეიდა ხალიფის ტახტზე. მან გაუკონარი სისახტიკოთ გაითქვა სახელი ქრისტეანების უწყალოდ მშესვრელმან.

საესებით გახელებული და დაუდგრომელი ბუნების კაცი იყო იყო ხალიფი.

ხან ბრწყინვალე ამალითურთ დაჯირითობდა ხალხით საესე მოედნებზე, ხანაც „ღმერთის გამოცხადებას“ მოწყურებული დაქერებოდა მუკატტამის უკაცრიელ შთებში, მისტრი ჰალუცინაციები აწვალებდა ბნედიანს.

ხან ათიათასებს მოასრულებდა ჯალათებს, ხანაც მეფეურ საკუროლეთა გასცემდა უხევად. თავის ქვეშევრდომების მიერ ლეთაებად აღვიარებას მიელტეოდა და მხოლოდ მაშინ დამშეიდდა, როცა ღრუშების სექტამ „ღმერთად“ გამოაცხადა ივი.

ფატიშიდების დინამიკის ერსკელავი ამოდიოდა, ალორძინებული ისლამი ბიზანტიის სამანებს აწყდებოდა, ალ-ხაკიმი გააფორებული მუსლიმება ქრისტეანებსა და ეპრაელებს, დაუცხრომლად ეპრძოდა იმ „ძალლს“ ბასილი კეისარს.

კეისარმა დაიით კურიოპალატი დალაშქრა 988 წელს, შემდგომ ამისა ანტიოქიაში წარგზავნა დომესტიკი დიდმალი ჯარით.

ალ-ხაკიმმა ჩელიგიური ღმი გამოაცხადა ქრისტეანეთა წინაპლდება, ამას მოპყვა იტრუსალიმის ტაძრის დანგრევა, მონასტრებისა და ეკლესიების გადაბუგვა სინას მთაზე, ანტიოქიასა და ევფიპტეში.

¹⁾ ტარანტი — ციხეთა მშესვრელი მანქანა საშუალო საცეუზისა. ამ მანქანას შემუშავდიან ხართუმი შეონდა კუდლების შესანგრევი.

მელქისედეკ კათალიკოსს დიახაც არ მოსწონდა გვირებულების და-
კაუშირება სარეინოშების ხალიფათან, არც თუ ბიზანტიის, სამცირის პო-
ლიტიკის იზიარებდა იგი.

მელქისედეკი გარეგნულად ექვემდებარებოდა გილიუსის, მაგრამ ქრის-
ტის მოსაყდრეს ურყევეად სჯეროდა, რომ „მეცა ქვეყანას ზედა ხელ-
შიიფეა, ხოლო ქიისტე — ზეცისა, ქვეყანისა და ქვესკელისა“.

ქართული ლაშერის მიერ ოლთისის ეკლესიის შემთხვევით გადაწვას
ყოველ წელს ხელიხლა შეახსენებდა ხოლმე კათალიკოსი მეფეს, ხან მის
„ურმწმონობას“ აბრალებდა იგი ამას, ხანაც აღ-ხაკიმის „წარმწმედელ
ზედგავლენას“.

ოლთისის ეკლესიის ნაცელად სამი საყდარი ააგებინა კათალიკოსმა
გიორგის სამცხეში, ერთი მათვანი მეხმა დაჟცა, ორიც მიწისძერამ იმ-
სხვებისა ზედიზედ.

მიწისძერამ დააჟცა იმავე წლის აღდგომის დღეს სვეტი ცხოველის
ტაძარიც, აბულ-ჯასიმის მიერ იავარქმნილი პირეელად.

ახლა ეს ეწადა მელქისედეკს, ოლთისის ეკლესიის სამაგიეროდ სვე-
ტი ცხოველის აგების ხარჯები ეკისრნა გიორგის.

ბოლოს დაითანხმა მეცა- სამნაირი გეგმა წარმოადგენინეს ხუროთ-
მოძღვართა უხუცესს — ფარსამან სპარსს.

ფარსმანის გეგმით ახალი სვეტი ცხოველი უნდა ყოფილიყო ერთნა-
ვიანი ტაძარი, რომლის ოთხივე ფასადის რელიეფები ირანული აღეგო-
რიებით იყო გადატეიროთული. ფრთხოსანი ცხენების, ძალების, სირაჭლე-
მების გრიფონების ფიგურებითა.

ქართული წარმართობის გამოძახილიც ცხადდებოდა კულების ბარე-
ლიეფებში, თავაღერილ, კუდაშვერილ ხარებს ტოტემის ნიშნებით ჰქონ-
დათ დადალული ფერდები. ქრისტეანეთა თვალის ასახვევად იმ ცხოვე-
ლებს ჯერი ჰქონდათ დადგმული რქებს შორის.

გუმბათის ფრინებში, კარიბჭების სიახლოეს პანიურად აღტყინე-
ბულ, შიშველ ფიგურებს ღვინით სავსე ყანწები ეჭირათ ხელში, ყუჩა-
ნის აყიდობით დაფარული ჰქონდათ სხეული სანახეეროდ.

ფანჯრების ირგვლივ შემოვლებულ როჩეტებსა და ჩუქურთმებში
ოსტატერი მიმიკრიით ჩახლართული იყო დაწყევილებული გველების ხა-
ტებანი.

ცილების შიგნით, ოთხსავე კესონში თვით შეფეხების, მლედელმთავ-
რებისა და ანგელოსების ფიგურებიდანაც გამოსკვევოდა პელლენური
სიშიშელე და მშვერება ხორცისა.

სამრეც გეგმა ამგვარი შინაარსისა იყო შეტნაკლების სხვაობით,
ამიტომაც სამივენი უარპყო მელქისედეკმა.

ახლა კათალიკოსმა მოიხმო ბერძენი ოსტატები ბიზანტიიდან.

გიორგის დაკიტებულმა თვალში მყისვე შენიშნა, რომ იმ გეგმების
შიღება მოასწავებდა მიბრუნებას იმ ზედგავლენისაკენ, რომელიც ქარ-

თუღ ხუროთმოძღვრებას ორი საუკუნით იღრე დაძლევული ჭრინდა
ჩევი.

უდაბნო იცირებოდა კესონებში მოთავსებულ შეკუტებულმა უზრიების ღრესკეპილან. განკითხეის დღისა და ჯოვლის ხატების შესტატნენ საშინელ მუქარას ყოველივე აღამიანური ვწების მიმართ.

გუმბათის თაღილან ამას ყოველივეს გაღმოსცეუროდა ნამსკეალიანი, ხორციაშრეტილი ნაზარეველი.

ყველაზე მეტად ერთმა ფრესკამ აღაშფოთა გიორგი მეფე. შარავანდიანი ბასილი კეისარი ქლიტებს აპარებდა აღმოსაელეთის მოსაქცევად წარგზავნილი წმ. მამებს, ბასილი კეისარი რომელსაც „ძაღლს“ უწოდებდნენ არა მარტო სარკინოზები, არამედ ქართველები, სომხები და ბულგარებიც.

ამ ფრესკის ღანაზეისას ბრაზისაგან გახელდა გიორგი, მაგრამ მოხუცებულ კათალიკოსს ვერაფერი შეჰქადრა, ადგა და გავიდა დარბაზიდან უხმოდ.

ახლა სხვა ოსტატების ძებნის შეუდგა კათალიკოსი და სწორედ ამ ღროს დაიწყო ფხოველთა ამბოხი.

* * *

ძელი ცხოველის მიერ ჭიაბერის მოკვლამ გიორგიც დაფიქრა და შეაშეოთა. მეფემ თავის თვალწინ მოაწამელინა ხის ჯვარი ფარსმანს, მაგრამ რავი ერთი და იმავე ჯვარის ამბორმა ჭიაბერი მოჰქლა და კოლონკველიძეს არ ავნო, ამან დაიტვა გიორგიც.

გაი თუ ფარსმანის წამალს არც კი ემოქმედნოს და მართლაც მოკვლას ძელი ცხოველს ჭიაბერი.

ცხადია, ჯვარის მოწამელის ამბავი კათალიკოსისათვის არ გაუმშელია გიორგის, ამიტომაც ველარც ისა ჰეითხა მის, თუ ჭიაბერი სად ემთხვია ჯვარს, ან კოლონკველიძე სად ეამბორა?

ამას ერთი უცნაური ამბავიც დაერთო კიდევ: მცხეოთის სასახლეში დავით კუროპალატისეული ხატი პერნდა გიორგი მეფეს ერთი, წმ. გიორგის ხატი ვერცხლნაქანდაკევი. ეს წმ. გიორგი უშველებელი ჯაჭვით ჰყავდა საწოლის დარბაზში დაბმული, რაღვან ოდითვანვე ასეთი გადმოცემა არსებობდა აფხაზთა მეფეების თჯანხებში:

ეს ხატი თუ ჯაჭვით არ დააბა პატრიონმა, მოიხსნება და წავაო საღმე. ასე ჰყოლია თერმე დაბმული იგი დავით კუროპალატს უფლის ციხეში, ხოლო ბაგრატ III-ს ქუთაისის სასახლეში.

ფხოველთა ამბოხის დაწყებამდისაც მელქისედევისა და ეზოსმოდღვანის ფრიად აწუხებდათ ერთი რამ: ისინი პხედავდნენ გიორგი მეფე უფრო და უფრო გულგრილი ხდებოდა საჩქმუნოების მიმართ.

უოცელივე ამის ფარსმანს აბრალებდნენ ისინი. ფანტასიური ცეკვის ქალის საქმეში საბოლოოდ გადააწყვეტინა კათალიკოსის: ფარსმანი უნდა გაეგდოთ მცხეთიდან როგორმე. სამისოდ უმთავრესი იყო ქართველი მართლის განმტკიცება გიორგი მეფისა.

სწორედ იმ დღეებში, როცა ავადმყოფი მელქისედევი მცხეთას მიბრუნდა, დედოფალი აფხაზეთს წავიდა, ხოლო მეფე კვერარის ერისთავის დასალაშეწრავად გაემგზავრა, ეზოსმოძღვარში ბნელი ღამე შეაჩნია, მეფის საწოლ დარბაზში შეიპარა, მოქლონი დაამსხრია, ჯავჭი ასხნა წ. გიორგის, ხატი მოიპარა და ნოკორნას მონასტერში ჩაუტანა დაყუდებულ ბერს ეცდემონს.

დაანამუსა თანაც: მხოლოდ ერთი თვის შემდეგ განეცხადებინა: ხატი თავათ ჩამოვიდაო ნოკორნაში.

ეზოსმოძღვარი არც მოსტყუდა თავის ვარაუდში: კვერარიდან დაბრუნებულ მეფეს შიშის ზარი დასკა წ. გიორგის სასახლიდან „ვაპარვამ“.

ეზოსმოძღვარი ახმობინა მსახუროთუხუცესს მყისვე, საწოლის დარბაზში ჩაიკერა და მთელი ღამე აკითხებინდა ფსალმუნს.

მალე კათალიკოსიც გამომჯობინდა.

მელქისედევიმა როგორც კი შენიშნა კვლავ მიუბრუნდაო სარწმუნოებას გიორგი, ეზოსმოძღვარს უბრძანა: დაბადება უკითხეო მეფეს, ვანსაკუთრებით დანიელი, თავი მეოთხე, საღაც მოთხრობილია თუ როგორ დასაჯა ნაბუქოლონისორ ბაბილონის მეფე იერუსალიმის ტაძრის შემუსტრისთვის ღმერთში.

შემდგომ ამისა, თავათ მიქუო ხელი შევონებას მელქისედევიმა.

არწმუნებდა: თუ სვეტი ცხოველს ამაგებინებ, მოგიტევებსო „ოლთისში ჩადენილ მერქელობას უფალი“. და მეტად გიორგის მთელი გულისყრი ციხეების შეკეთებისაკენ იყო მიეცული.

თმიგვის ციხე დაანგრია მიწისძერამ, შესაკეთებელი იყო ციხე, კლდეებისა, ქანდაციხე, ბერკიციხე, ციხე-ბოლოვი, ციხე-ჯაბერი, ქოლოთკვირი და აწყვერი, ოძიხების ციხე-ქალაქი და მგელციხე.

განსაკუთრებით საშურო იყო: ანაკურტის, ფანასკურტის, ბოლოცის, ქუმურლუხის და თეატრისის ციხეების შეკეთება. რაღვან ბასილი კეიისარი ცველაზე აღრე სამცხისა და ტაოს სიმაგრეებს მოაღვებოდა.

გარდა ამისა, ნაალაფავ ლოდისატყორუქებისა და ტარანტების შეკეთებასა და მათი ბადალების გაკეთებას პირდებოდა ფარსმანი გიორგის, სამისოდ დიდძალი საფასი სჭიროდა მეფეს.

ბოლოს იმდენი უჩიჩინეს მას, რომ ხარჯებისა და მონების მიცემას დაპირდა გიორგი კათალიკოსს. ეს კიდევ ცოტაა. უცნაურად აეკეთა მეფეს ოლოისში გადამწვარი ეკლესიის ჩვენება.

და ეს ამბავი დაიწყო ასე:



xxi

აღრე დააწევა გიორგის ქაბუკურ მხრებს ომებით და მართლებებში დანთხეული სისხლის კოშმარი.

ცრობილია: ვისაც სიყრმეში არ გაუხარისა, ვისაც ბავშვობაში სიჭა-
ბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში შეავაკობის ტეირთი, მას მარილ-
იამს თან დატყვება გაკვეთნილი სიყრმისა და სიჭაბუკის დაზღიული.

ასეთი მუდამ ჰყარგვენ წონსაწორობას და ყოველთვის იმის ცდაში არიან, გეიან მაინც შეიქმნონ ეს დანაკლისი როვორმე.

მელანქოლია შეეყარა ვიორგის, კატებულვარება შეეპარა მის გულს. აღრე მოსწორდა მეფეს დარჩაზობის გრძელი ცერემონიები და კარის ვა- ჩივების სისტიკი ეთიკეტი. ჯერ მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლი- სა და მელქისიდევე კათალიკის მოსაწყენი შევონ ებან...

მეტყველა და სამს...

ମେଘ କାଳ ରୂପ ମେହିତାଗପ୍ରସ....

ମେଘ ଶାର ରୂପ ଗୀତାଲ୍ଲାହି....

Տաղայի մեջը առ պոտենց նախկինքը զուրով.

როგორც კი შემოუტევდა უგუნებობა, თიყვანდა მალემსრბოლს უში-
შარისის და სეფე მეაბჯრეთავანს ერთს, ვავიდოდა მცხეოლიდან, სა-
ფურულეს ვადაღმა, რომელიმე მუხის ქვეშ მიუგდებდა მონასპათ ცენტის,
იხეტავალებდა ველად, მუხის ვარშემო წრეს უვლიდა, უელიდა წრეს
და ბუნებაში ვამარტოებული ეძიებდა მოოხებას გულისა.

წელიშადში ორჯერ, ირმის მყვირალობასა და წერითა გადაფრენის თვეებში, ინით წვერს შეიღებავდა გიორგი, სელის სამოსელსა და სამო-გეის წალებს ჩაიცამდა, აყოლიებდა მდაბიორებს: მეხამლეს — ღრუის-ძეს ქიტესას, მეჯინიძეს — გაბრიელ კოხიშვილსეს, ბაზიურს — ესტატე ლომისიძეს. თავათ მეტე, კლახონა ავშანისძეს დაირჩევდა ხომრიობით.

მთელი კვირა გადაიკარგებოდნენ სიყრმის მეცნიერები, ნაღირობდნენ წარმატების მიყობისა და არაუგის ჰალიბში.

საწოლის დაზიანის ბუმბულს, შეცხვარებით ღამის თევის არჩევდა, მირომილო არმის კატებს, სახორცხლო ტაქტი შემწილარ მწევალის

შხოლოდ ასეთ წუთებში სჯეროდა გიორგის, რომ ეს ქვეყანა მარტო-ოდინ საომრად არა ყოფილია გაჩინირო.

ნარევავის ხევის გაღმა-გამოლმა ჭოჭი იყო თვალშეუცლები, ბატე-
ბით წირვამდე და კვლევიშვილმა საჩი.

რომ, უკიდურესად და გაუცლილობის აღმნიშვნელი იყენებულია მონადირენი, ქიტებსა ტრის გადმოიღებდა და მოზერის ყანწეს გაასცებდა ლეინით, მხოლოდ ამ ყანწესს გამოცლისას არ გაუცლიდა ვიორების სიყრმიდანვე თანდაყოლილი ფიქტი: მოწამლული არ იყოს ლეინო?

არც კარისკაცთა უტიფარი ლიქნა აწუხებდა ამ ტექსტში, არც მკლელი უდარასჯებდა საღმე, არც თუ მომჩინანი ადიოდა მცი დაწევების ხეზე.

იმ ჯერად სამი ღამე თოიეს ერთ წიფლის ქვეშ დახორციელა მატერიალის პირად. წეროების გადაფრენა ჯერ კიდევ ას იყო დაწყებული, მხოლოდ კანტრიკუნტად გოსმოდა გარიერაუზე მარტოხელა წერის ყივილი, ღალა-ცებდნენ კაობის ბატები, ტყის ინდოურები სძლევნენ ჯეჯილებს, ჭილ-ჟავები უბმობდნენ მთებიდან გაღმომდგარ ზამთარს.

უთენია ადგნენ. ინათლა თუ არა, წეროების ყივილმა შესძრა მონა-დირეთა გულები. ღიდა გუნდი ღაჯდა ნამუხვართან, ჩაუნისკარტეს შლამს.

სამსამი დახოცეს თითოთა. მზე შების ტარზე იდგა, როცა მოშივ-დათ კვლავ.

„გლახუნავ, დღეს შენი ჯერია, გაიქა, ბატი ჩამოაგდე ერთი, მე და ქირესა შამცურებს დავთლით. ფიჩს მოვიტანთ ესტატე ყეცხლს გააჩა-დებს, ეუბნება გაბოი გიორგის, ოლონდ შორს არ წახვიდე, ამ იფნის ქვეშ დაეკლოდებით“.

გიორგი დაემორჩილა უხუცეს მონადირის ბრძანების. მიჰყვა მხარ-მარცნით ჭაობებს.

მარტოშთენილს კვლავ შემოესია უსიამო ფიქრები, მიღის ჭალაში და მოუნდა ისე წრის გარეშემო ტრიალი. ბატების მთელი გუნდი აუფ-რინდა, ცხვირწინ, ესროლა და დააცდინა.

ახალმა და ახალმა გუნდმა ბატებისამ ტყის სილრმეში შეიტყუა. ყაყანით დგებით ისინი, გაისმის იხევებისა და ბატების გნიასო, ისეთი შთაბეჭდილება შეექნა გიორგის, თითქოს იგინიც დასკრინიანო მონადირეს ხელმოტარულს.

უკან მობრუნებას პირებს, მაგრამ ჩცხვენია თანატოლებისა.

მეხრე შემოხვდა ტალაზში ამოვინგლული, გზა ჰეითხა.

ჭაობი გადალახა, იფნის ძირისაკენ პირებდა შემობრუნებას, ცხვირ-წინ აუფრინდა მშეენიერი წერო, დურაჯისფერი ფრთხი ჰქონდა, მიხა-კის ფერი მკერდი, მწყრისფერი ზოლებით მოხატული კისერი.

ესროლა ლელიანში ჩამჯდარს, მძიმედ ადგა წერო, კოქში დაეცა მის თვალწინ, მიეხალა მონაცირე, ისრის მინაცვლებას პირებდა, ცალი ფეხით სკუპ, სკუპ, ლაქაშებში გაუჩინარდა, მერმე ადგა ისეცე და გადა-ფრინდა შორს.

გამოუდება გიორგი, ასეთი წერო განსაკუთრებით უყვარდა მას, დაუ-ზოგავად მიტოპავედა ჭაობებში, მიარღვევდა წელამდის მოწვდენილ ლაქაში, გაფრთხილებული ფრთხიველი ისე გადაინაცვლებდა ადგილს.

როცა ისარი მიაწია როგორც იქმნა, და წერო-დაიყიდა ქამარზე, მიი-ხედ მოიხედა, ეუწნაურა გარემო. თვალუწვდენელი ლაქაშები იყო ირ-გვლივ, ლაქაშები, ჯავები და ღიკიანი.

ისჩები შამორელია.

გამოული ტახები დაშლიგინებდნენ ლაქაშებში, შველი დაფრინხა მის თვალშინ, ისკუპა, ლელიანში გადაეშვა და მოუსეა საშინელოებრივაფით.

შესდგა ბორცუმზე გიორგი, ხედავს ლაქაშში ჩაფლულზე: მისტერიულ ფამალებული შველი, მხოლოდ ყურები მოუჩანს და ასე ეგონება კაცი, შველი კი არა, რომელიდაც ფრინველი მიფრინავს ლაქაშების ზედაპირზე.

ტრას წააწყდა გიორგი ვარხვებით, ბატებით, და წეროებით გავსილს, აფრინდნენ საშინელი გნიასით ტყიურნი, მეხის ღრუბელივით დაბნელეს ცა.

და როცა წეროების გუნდს თვალი მიაყოლა ჩრდილოსაკენ გაფრინილს, ხედავს: კავკასიონის წოწოლა მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ყელესია სდგას, გუმბათამდის მისწვდენია ხანძარი.

შეძრწუნდა გიორგი, მუხლი მოექრა, საფეთქლებიდან ოფლი გამოსდინდა.

თვალს მოიფშვნეტს, კვლავ გასცერის მთას, ლაპლაპებს ცადამწვდენი კოცონი, იწვის „უფლის სახლი,” ისევე როგორც იმ საღამოს ოლისში.

პირველი გადაიწერა, თვალები დახუჭა, სამხრეთისაკენ შემოიქცა, შეგრამ აღარ იცის საით წავიდეს. ეუცხოეა გარემო ანაზღად.

ჰაურ, დაიძახა, აჩც მეტრე გამოეხმაურა საიდანშე, აღარც მონადირე შეინს შემთხვევით გამელელი.

მისყვება შეძრწუნებული გიორგი ღიჭიანით დაბარდულ ჭაობების კიდეს.

და ეჩვენება ქცეულიყოს თთიქოს ნაბუქოდონისორ ბაბილონის მეუდ, რომელიც კაცთავან განიდევნა და თივასა სჭამდა ეითარცა ზრხას, ცვარისავან შეიღება სხეული მისი, თმანი მისნი ვითარცა ლომთანი გახდიდეს, ფრჩხილნი ეითარცა ლომთანი ექცეს იერუსალიმის შემმუსვრელს.

ნასამხრალზე ძლიერ მიაღწია იფნის ძირად სამოსდაფხრეწილმა და ლაფში ამოსცრილმა გიორგიმ. ბირქას მოეცვა თმა-წვერი, ლოყები და ყაწრა ღიჭიანს.

ეუცნაურათ მონადირებს ფერნამკრთალობა მეფისა, ბალლობის შედეგ არ ენახათ ასე შემქრთალი გიორგი — „უშიშარი ვითარცა უხორცა“.

„რა მოგივიდა გლახუნავ?“

ეკითხება ესტატე.

„ალი ხომ არ შემოგყრია ჭოვ!“

გიორგიმ თავი დააჭნია, ჩრდილოეთისაკენ გაიხედა, ეკითხება ესტატეს:

„იმ წოწოლა მთაზე ეკლესია იწვოდა წელან, ხომ არ დაგინახავთ რამელიმე თქვენგანს?“

„ეკლესიათ?“

ესტატეს ეუცხოეა ასეთი კითხვა.

„შენ ცუდად გეძინა გლახუნავ წუბელ, მოგეჩენენდოდა ელჭათ, იმ მთაზე ეცლესიას რა უნდა შე კაი კაცი?“

წიაისაუზმეს მცირედი და აიყარნენ მონადირენი კურაჭულული გიორგიმ აიჩემა თემშარაზე გადაფილეთ და საფურულებელი უსაბოროოთ. დანარჩენებს არავეის ჭალებში სურდათ გადასვლა.

ტყეში ლამენათეცს და ჭალებში უსაზმონდ ნარჩენს, წვევის ტკივილი განუახლდა გიორგის, იკოდა: არავეის ჭალებში ნადირობას წყალში გატოვეა მოქვეებოდა. რადგან ეს ასეა: გადმოლმა დაჟოდავ წეროს, შესაძლოა გაღმა დაეცეს ჩიყებზე.

მაინც დაეთანხმა მეგობრებს.

შემოდგომის წყნარი სალამო იყო, კაეკასიონის მწვერვალებს ლრებ-ლების უბეში შეეყოთ თავი, გახიდულიყვნენ ცასა და მყარს შორის მოყბი.

ნისლი დგებოდა არავეის ჭალებილან, ფერხთით ეფინებოდა იისფერ კორდებს.

წეროები ყულებით გადააბეს მონადირეებმა ურთიერთს და გაუდგნენ ვზას. უგუნებობა შეამჩნიერ მეგობრებმა გიორგის.

ქიტესა გამოვიდა პირველად ტყიდან. არავეს გადაპხდა და ესა სოქვა:

„გახსოვს ჩვენს ბიქობაში გლახუნავ, ისრით რომ დაქოდე იმ რიყე-ზე წერო? აფრინდა, ი, ტიალი და გადაეშეა შუაგულ არავეში“. „როგორ არ მახსოვს ქიტესა, მახსოვს“.

ნაღულიანად მიუგო გიორგიმ და თავათაც გადახედა არავეის ნაპირებს თითქოს მანდ დარჩენიათ სიყრმე.

„მერე შენ არ დაგვიჯერე გლახუნავ, წყალში შესტოპე უჩევნოთ, ორი წერო მხრებზე გეყიდა. მიპყევი ცურვით დაკოდილ წეროს, ორი მოკლული წაგართვა წყალში. მისდევ და მიპყევი, აღარ იცი რომელს გამოუდევ“.

გადაეშეით მე და გაბოი, იმ მუხნარს ქვეეით წამოეეწიეთ ძლიეს, მერმე ის იყო ყურებით დაგითირიეთ, წეროები წყალმა წაგვართვა.

მცხეთაში ჩაგიყვანეთ ურმით, ფამოვეილგა მზრდელი, შეგვრისხა: უფლისწული წყალში დაგხრჩობოდათ დაგაყრევიებითოთ თქვე ეშმაკებო თავებს“.

„შენ დაგვიწყნია ქიტესა, წეროები მე გამოეიტანე იმ დღეს“, შენიშნა გაბრიელმა.

„ორივეს გეშლებათ, ჩაერია საუბარში ქრატი, ი, წეროები მეტივეებ-მა გამოიტანეს მცხეთაში“. „ქარები, მამა გიცხონდებათ, ნუ ჩხუბობო წყალწალებულ წეროების გამო“.

ამბობს გაბოი და ილიმება.

„ეჭი, იმ წეროებსავით წაილო ჩეენი სიჭაბუკე არაგვეში იმოიხმარა ეს-ტატები.

არაგვება, თუ დრომი?

სიტუაცია ჩააგდო გიორგიმ. ესტატებ არაგვს გადახედა გიორგის ეუბ-ნება ასე:

„დაინახე, იმ ორქუზიან ვორაკშე ვიღაც ჭაბუკი აეიღა ხეზე?“

გიორგი თავიდანვე ხედავდა არაგვის გადმოლმა, ორქუზიან ვორაკ-შე ერთი ბორცვიდან მეორეზე გალაირბინა ვიღაც კაცმა და ნეკერჩ-ხლის ხეზე აძვრა.

შეკრთა, აღბათ მიცნო, სავედრებელი პერნდესო რაიმე. მერმე რომე-ლიღაც ფრინველი დაიკირა იმ ჭაბუკმა ხეზე, უბეში ჩაისვა, მეორე ბორცვის თხემამდის მიაღწია და იქ გაუჩინარდა.

„ვინ დაინახა ის კაცი პირველად?“

ეკითხება მეგობრებს გიორგი.

მეო, მიუვათ ესტატები.

„საიდან ვაჩნდა ის ჭაბუკი იმ ვორაკშე, ან სად ვაპქრა ბოლოს?“

„მეც მიყვირს, არ ვიცი სწორედ“.

უპასუხა ესტატებ.

განცვიფრდა გიორგი. მზე ჯერ კიდევ მალლა იღვა, ბორცვი სავსე-ბით შიშველი იყო, წითელ-ყვითელი სამოსი ეცავა იმ კაცსა, მარისაკენ რომ დაბრულიყო, უთუოდ შენიშვნელენ მონაცირენი.

„შენც დაინახე?“

ეკითხება გიორგი გაბოს.

„მეც ვნახე.“

„ქიტესა შენცა?“

„მეც.“

შეძრწუნდნენ.

სად დაიკარგოთ ის ჭაბუკი ხელსა და თეალს შორის?

ფარსამან სპარსისაგან ათასგზის სმენოდა გიორგის: გრძნეულნი მიონ-ნი უცვდებიანო მონაცირებს ჭალებში, მშეილდ-ისარს გაუჩინდავნ, ულონდ გახდიანო მოისართ.

ესტატე გულდასმით ამტკიცებდა:


„მე თავათ ვნახე ის ფრინველი როგორ შეიძყრო“, მეორე ბორცვამ-დის მიაღწია და მიწის ნაპრალში ჩაძერაოთ აღბათ.

გულდი იყო გაბოი, მაგრამ ყველაზე მეტად მას ეშინოდა ვრძნეუ-ლისა. ხელი ავილოთ სატანის ძებნაშე, პირჯვარი გადავიწეროთ, საფურ-ცლისაკენ გაეუდგეოთ გზას.

ახლა მთლად უცნაური ამბავი წამოიწყო მან:

„შენ ხომ გახსოვს გლახუნა, ხერქის ციხეში რომ გამგზავნე გასულ შებათს?“

„მახსოვს როგორ არა, გაბრიელ“.



ერთონაული

პირების მიერ

„ცუტა არეული მოვბრუნდი უკან, საჯინიბოში შემშვიდე, თუ მოგს-
ვლიაო? მეითხავდი“.



ტერიტორია

პირების მიერავა

„ეგცე მახსოვეს გაბრიელ“.

„მიზეზი არ მითქვამს, არა?“

„არა არ გითქვამს მიზეზი“.

„მაშ თუ სიმხდალეს არ შემწამებ გლახუნა, ახლა გიამბობ წერილად.
სალამო ფას ცხენს მოვაჭენებდი ხერიდან. როცა ღართის კარს ერთი
ეჯის მანძილზე მოვახლები, წიფლნარი არის ერთი სახესბით მეჩხრი.
პო და იმ წიფლნარის პირად ვევებერთელა მუხა დვის ერთი. შენც ხომ
შეგინიშნავს ეს მუხა გლახუნა?“

„შემინიშნავს, როგორ არა, გაბრიელ“.

„ალბათ ესეც შეგინიშნავს: ვიდრე იმ მუხამდის მიაღწევდე, ქარა-
ცების კიდეს მოპყება დამრეცილი გზა, ამ გზიდან დიღხანს უყურებ
იმ მუხას.“

სწორედ იმ ადგილამდის მივაღწიე, ეხედავ, ეხედავ და რას ეხედავ? წი-
თელ-ყვითლით მორთული ვაეგ ვამოყიდა ერთი, წითელი მამალი ვამოე-
ჩრა ილლიაში. სამჯერ შემოუარა იმ ყმაწევილმა მუხას, სამგზის აეოცა
ხეს, შემდგომ ამისა, თავი წააცალა მამალს, სისხლი აქურა ვარშემო მუ-
ხას, მამალი წაილო და გაუტინარდა ტყეში“.

ყველანი გათოცა ამ ამბავმა. საფურცლისაკენ პირებდნენ წასელას,
ახლა გიორგი გაჯიქდა:

„ვავეკაცები არა ვართ? თთხ მონაღირეს რას დავვაკლებსო ერთი ეშ-
მაკი?“

სხვის გასამხნევებლად აშბობდა, თავათაც ეშინოდა ვულში.

წეროები მოიხსნეს მხრიდან, ხეებზე დაპირდეს, მშვილდისრები
მოიმარჯვეს, თთხივე მხრიდან მოუარეს ბორცვს.

ყველაზე აღრე გიორგი აეიდა ვორაკშე.

შენიშნა: შიშველი ბორცვის ზეთავზე მოჭრილი ვიმრა იყო დაქუ-
ჩული. სუნთქვა შეკრული აეკირდებოდა გიორგი, მაგრამ ვერავინ ნახა
ვიმრის ქვეშ. ერთი რამ შეამწინა მონაღირის მახვილმა თვალმა: ტო-
კავდა მიწიდან ამოშევრილი, შიშველი ჯოხი, ხტოდა და ფეოქავდა მას-
შე მიმული ჩიტბატონა ეამიდან ფამზე.

შეტოვდებოდა ჯოხი, ზეაზტებოდა, შეიფრთხიალებდა პაერში ჩიტი,
კელავ დახტებოდა ჯოხის, კელავ შეტოვდებოდა წნელი, დაიწყებდა
ფეოქებას დამული ჩიტი.

ბორცვის ზეთავზე მოქეცა გიორგი და ხედავს: კაცის სიმაღლე ორ-
მოში განაბულა წითელ-ყვითელ ჩიხაში მორთული ვაეგი.

ჩოხა მისი ბირეას დაეხუნდა, თმა ვაბურძევნოდა, ბეიტის ნაკრტენი-
კო უსუსერი წვერი მოსავდა მის ნიკაშა და ყვრიმალებს.

როცა თთხივე მშვილდომანი თავზე წამოაღვა, შეკრთა და გაფიოზრდა
ორმოში მჯდომი.

„პერ, ვინა ხარ ჭაბუკო მანდ?“

შეეყითხა განცემურებული და გახარებული გიორგი, რა კი ლარწმუნდა ჩომ მის წინაშე ხორციელი აღმიანი იდგა ლარწმუნდ ჭვებული. მერძე დააკვირდა ამ ჭაბუქს, სახეც ეცნაურა და სამისამართო იყო.

ოლონდ ჩიფურა იყო იგი, ახლადმოხდილი უნდა პქონოდა ყვავილი, სეირინგები ზედა ანდა ჯერაც, ეს უშლიდა ხელს გამოკნობას ოდესაც ნახული სახისას.

„მეც თქვენსაეთ მონადირე ვარ, ვინ და ვიქნები სხვა“?

შემოესმათ პისუხი თარმოდან.

„თუ მართლაც მონადირე ხარ და არა გრძნეული, მავ თარმოში რას იძალები?“

შეეყითხა ესტატე უცნობს.

„ზოგი თარმოში ნადირობს, ზოგიც ტყეში, გააჩინა, ვის როგორ ეპრიანება ბატონი“. 1

ესტატე ხან ჭაბუქს უთვალთვალებს, ხანაც ჩიტს. თუ ამ კაცს ამნაირ ფრინველისთვის მოუცლია, კანაფით რათ დაუბამსო ჯობშე? თანაც არ სჯერა, რომ ეს ჭაბუქი მართლაც მონადირეა და არა გრძნეული.

ვაჟი მონუსხულივით შესცემის გიორგის, მასაც ეცნაურა იგი, მაგრამ მისი მწითური წევრი და მწირული ჩაუმულობა ებლანდება თვალში.

ამ დროს ესტატემ უჩურჩულა გიორგის:

„არ დაიჯერო გლასუნა, ეგ კაცი ან გრძნეულია, ან მპარაკი დილევიდან გამოქვეულია“..

ვაჟმა სახელი „გლასუნა“ გაიგონა, ეცნაურა კიდევაც, აღმართ ვიდებით გაიფიქრა და კიდევ შექმედა გიორგის.

„ჩაზე ნადირობ ჭაბუქო მაინც?“

„მიმინოზე, ბატონი“.

მიუვა ვაჟმა.

„მიმინოზეო? როგორ? რა ვეარად?“

„აი ამ ჩიტს ხომ ხედავ ბატონო, აპა ეს ბადეც..“

ესა სთქვა, ჯოხი ასწია ცალი ხელით, დააწყებინა კელავინდებურად ფეოქტეა, მეორე ხელით კუნძულიანი ბადე შეასწია გრძელ ჯოხშე დაგვებული.

მიმინო ამ დროს გამოდის საირაოზე. რა დაინახას ციდან ამ ჩიტის ფეოქტეას, იფიქრებს: გაბმულაო კაკანათში ჩიტი, დავეცემი და გავიტაცებო. ჩამოუქროლებს დააცხრება თუ არა, მე ვეიმრის ქვეშ დამალული ვარ თარმოში. მყისვე წამოეცემი აშრიალს თავზე“.

მონადირები განცემურდნენ, ამგვარი ჩომ ჯერ არ სმენოდათ.

გიორგიმ იცოდა მიმინოზე ნადირობის ამბავიც, მაგრამ მისი ირანელი ბაზიერები სულ სხვა რიგად ნადირობდნენ მიმინოზე.

„სადაური ხარ ჭაბუქო?“ ეკითხება გიორგი ვაჟს.

„ლაში გახლავარ ბატონო“.

„ლაში თუ ხარ, აქ რა გინდოდა მერმე?“

„გიორგი მეფის ტყვე გახლავარ ბატონო“. 

გიორგი უფრო მეტად გააოცა ამ ამბავშა, ლაზების ასახულებულ შეუპყრია მის ლაშქარს. უხრიკედან წამოსხმული ტყვეები მოაგონდა, მაგრავ მათ შორის ბერძენი იყო ბევრი, ანატოლიერი წამოყავილი სომხებიც ერია, ბერძნები კალატოზებად დააყენა, ხოლო სომხები გაათავისუფლა, ლაშია?

ამიტომაც შეეყითხა ხელახლა უცნობს?

„ლაშიერიდანა ხარ აქ მოყვანილი?“

„არა, ფხოვიდან, ბატონო“.

„ჩა გვარისა ხარ ყმაწევილი?“

„არსაკიძე ვარ, ბატონო“.

„ფხოვში რა გინდოდა ბედშევო ლაშო?“

— მამა ჩემი კეტარის ერისთავის კირითხუროი იყო, ბატონო.


„ახლა საღლაა მამაშენი, ჟაბუკო?“

„კვეტარის აღებისას მოპერეს სამეფოის სპათა“.

გვარი მოაგონდა გიორგის, შორენამ რომ ახსენა კოლონკელიძის ციხეში, იმ საშინელ საღამოს.


ისევ მიუბრუნდა არსაკიძეს:

„განა კელესიებს აგებდა კოლონკელიძე?“

„ერთ დროს კელესიებსაც ვაშენებდით შე და შემა ჩემი, მაგრამ ერთ-ბაშად აწმენა შეიცვალა ერისთავშა, კელესიების შემუსყრა დაიწყო და ციხეების აგებას შეუდგა“. 


გიორგი დადუძა, ახლა ესტატე შეეყითხა არსაკიძეს:

„ე, მანდ ხეზე რა დაიჭირე წელან?“

„დაგვეშილი მიმინო გამექქა და იყი შევისყარ“. 

ესა სოქვა და წითელი ხამლით მხარშეკრული მიმინო აიყენა ორ-მოს ფსეკრიდან არსაკიძემ და აჩვენა მონაცირეებს.

„ახლა რაღად გინდა მერმე მიმინო, აკი მწყერობა მოთავდა უკვი?“
შეეყითხა გიორგი.

„წეროზე ვანადირებ მიმინოს“. 

„საღ გისწავლია ასეთი რამ ჟაბუკო?“

„ლაშიერი, მიმინოთი ვნადირობთ წეროზე, ბატონო“.


!!!

გოცდა გიორგი.

როცა არსაკიძე ორმოდან ამოვიდა, მყისვე მიეჭრა გახარებული ესტატე, ათვალიერებდა ტერფიდან თხემამდის, თანაც ულიმოდა უცხოს.

„ესტატე, ეგ ხმი არ იყო ის ვაჟი, მამალი რომ დაპკლა მუხის ძირას?“
ეკითხება ლომაისექს მეფე.

ესტატემ თავი დაუჭინია.

„ეგ იყო ის ვაჟი, გლახუნა“. 

გიორგი არსაკიძეს მიუბრუნდა:

„ახლა ეს მოთხარი ჭაბუკო, მამალი რად დაგიყლავს მუხის ქრის იშვიათება?“

„ჟავეილი მოვიხადე გასულ კვირას ბატონო, ამაღაც შეცსწორე ჭითელი მამალი ღვთაებას“. 

„სად იციან ასეთი რაზ?“

„ჩემში, ლაზიკაში ბატონო?“

არსაკიძემ მხრები შეუსხნა მიმინოს, მარცხნა ცერზე ტყავის თაომანი გადაიცვა, მიმინო შეისვა ზედ. მერმე შარჯვენა ხელი გადაუსვა თავიდან ბოლომდის, მოეფარა, დაუყვავა ტყიერს.

გაბოროტებულ თვალებს უბრიალებდა უცხოებს მიმინო.

არსაკიძე წინ მიღიოდა, თოხივენი უკან მისდევდნენ, გახარებული უცდიდნენ რა მოხდებოდა ახლა?

არავის რიცხვედაც არ იყვნენ მიღწეული, ფშანიდან წამოფრინდა წერო. გიორგი ყმაწვილივით აღტაცებული შესცერიდა თუ როგორ მიუტია არსაკიძემ გაფრენილს მიმინო.

თავდაპირველად გაასწრო წერომ, აიჭრა ცაში, მხარგაშლილი ებრძოდა პატარის, თვალი მიატანეს მონადირეთა, მიმინომ კამარა პკრა, ერთ წუთში გადაეცლო თავზე, მერმე განით წავიდა წერო, აქაც გაუსწრო მტაცებელს და მოუსვა დასავლეთისაკენ, მცირე ხანს ჩამორჩა მიმინო, მერმე ერთბაშად წამოწია უზარმაზარ ფრინველს, კანგვებით მისწვდა და ლანცის უსწრაფესად ძირს დასცა წერო.

ყიფინით გაექანნენ მონადირენი. წერის ტერიტორია გადაავიწყდა გიორგის, პირველმა მიუსწრო ასეთ სურათს: აეშანის ბუჩქებში ფართხალებდა წერო, ფრთაგაფოფრილი მიმინო ზედ დასჯლომდა, პუტავდა სულთმობრძავ მსხვერპლს, აბრიალებდა ფერვისფერ თვალებს.

დაუწრუწუნა არსაკიძემ მიმინოს, სულგანაბული მიეპარა, დაუყვავა, დაუყვავა. თავზე ხელი გადაუსვა, ჯერ შეათანა ჭანგი გაუმართა, მერმე სამი თოდ სხეა დანარჩენი, ჯიბიდან ხორცის ნაჭერი ამოილო, წერო გამოაცალა, საქნიერი შეაჩერა კლანჭებში.

სისხლი მოწანწერებდა სურის ყელივით მოლერილ კისრიდან წეროს, მხრები დააბარტუნა, ფეხები გაასავსავა. უსუსური, უწნაური ხმა გაიღო კისერგამოლადროულმა, სითეთრე გადაეკრა თვალებზე და უმშეოდ, ულრტეინველად მიენდო სიკედილს.

გიორგი გვერდით მისდევდა არსაკიძეს, თველს არ აშორებდა მის მიმინოს.

„ეს მიმინო სად დაგიჭერია ჭაბუკო?“

„საფურცლები ბატონო“. 

„ეს შევი მიმინო როგორი მონადირეა?“

„შევი მიმინო კარგი დამჭერია ბატონო, მაგრამ ძნელად საგეშია, უხსიათოა, ჯიტუტი, თავნებაა და შორს მიდის“. 

„უანგისფერისთვის რას იტყვი?“

„ეანგისფერი ბედოვლათია“.

„წითელი“..

„წითელი შავსაც სჯობია და ეანგისფერსაც ბატუქურუ უჟღვევს ფოლა-დისფერი სჯობია, ტანსრულია, აღრე ივეშება, თეორეტიკა სუსაფლეონე“.

მცირე ხანს უხმიდ მისყვებოდა არსაკიძეს გიორგი, შორენასთვის ფიქრობდა ამ წუთში, კვეტარის ციხის აღება მოაგონდა, კოლომელიძისათვის თვალების დაწვა, კვლავ მოეშამა საწუთორება.

გზაში წამოეწიენ ტავებს მეფე და ზეიადი. ლოყებდახოკილი იჯდა ცხენშე შორენა, არსაკიძე გვერდით მისლევდა მხრებვაერული ცხენდა-ცხენ.

„რა მოხდენილი ჭაბუკი იყო, როგორ დაუგლახებია ტავეობას ბედ-ზევი?“

ეს ვაიფიქრა გიორგიმ და კვლავ მიმართა არსაკიძეს:

„შენ გეტვე ჭაბუკი, რას აკეთებ მცხეთაში ამ უამაღ?“

„კირითხურო ვარ, ფარსამანის სპარსთან ემუშაობ ამეამაღ.“

„როგორი ისტატია ფარსამანი?“

ეკითხება არსაკიძეს მეფე.

ჩინებული ისტატია ფარსამანი, მაგრამ თავნებაა ფრიად, სხვათა თათ-ბირს ჩირიად არა სთურის, ძნელია მასთან მუშაობა ბატონი?“

„თავისუფალი მუშაობა თუ შევიძლია ჭაბუკი?“

„რისთვის არა ბატონი, ცხრა კაჯის ეკლესია მე ავაგე ირი წლის წინად“.

გიორგის ნახელი პქონდა ეს საყდარი.

„ჩვენში თუ აკიგა რაიმე?“

„ითვალისის ეკლესია დავსრულე წერულს“.

ითვალისის ძლიერ მოსწონდა გიორგის.

მელქისედეკ კათალიკოსი და გიორგი მეფე სვეტი ცხოველის აგებას აპირებენ, ვეონებ, თუ იმარჯვებ, შენ მოვანდობს ამ საქმეს მეფე“,

„მე ვინ მაჩეკენებს მერმე მეფეს?“

„ხვალ სასახლეში მოდი, მე წარგალგენ გიორგი მეფესთან“.

მონადირეებს გაელიმათ ამის გამვინჯო.

არსაკიძემ ეს შეამჩნია, თავათაც ღიმილით შექხედა იმ კაცს, რომელ-საც გლაბუნას უძაბოდნენ მონადირენი, მდაბიორის ჩამულობას მისას თვალი შეავლო კვლავ და ეს ვაიფიქრა მხოლოდ: ალბათ მატყუებს ეგ წვერწითელა კაცი“.

შეღამდა ცკცხ-

ბინდი დაეშეა არაგვის ჭალებზე, ტყეებში არ ისმოდა ჩქამი, ცაშე ვაკერული წეროების ქარანები ჩრდილებით მიპქროდნენ სამხრეთისა-კენ. ყოლდნენ ჩამორჩენილი, მარტოხელა წეროები, ქრისტიანული ვარსკვ-ლავი კიაფობდა მხოლოდ.

წითლად და ყვითლად ქათქათებდნენ კავკასიონშე დაზეინული ლრუ-ბლები შორენში.

როცა მუხნარისას ციხის კარგი გაუდეს მეციხოვნებმა მოხადუებს, ვიორები შეისამდის შემოტრიალდა, თეორზუჩიან მუჭერებალებს მიქედა, წოწოლა მთაზე ცეცხლშემოვნებული ეყლეს მარწფორდა ჭილავ. პირჯვარი გადაიწერა შემქრთალმა და ციხეში შეცარცა უსისტუმანა.

XXII

გარინდებული ზის ფარსმან სპარის ჩუქურთმიან საკარცულზე და გასცეკრის მთავართა სანათლოის განაპირა უბანს, მიწისძერებისაგან იავარებმილს.

სარჯმლიდან შემოსულ უსუსურ ნათელს გაუჩრდილავს ბორის ნის-კარტივით მოღრეკილი, სიფრიფანა ცხვირი და პერგამენტივით გაყვითლებული, ჭისა სახე.

ხრისოლავს ირანულ ყალიონში გაღვივებული თრიაქი, ლიცლიცებს ბენგალის ცეცხლივით მომწევანო შუქი. ლილისფერი ბოლი მატყლის ფთოლებივით იწელება, ზანტად მიიკლავნება ქვითვირის დარბაზის მაღალ თაღებისავენ.

სათოფურებსა და სამზერებაზე ერყობა ამ დარბაზს, ციხე ყოფილა ოდესაც იყო, ან სამლოცველო წარმართების, ძელითუძეველები.

ზარის დარეკის შემდევ ისებებიც და შაქროც, წიგნებით ხელში, მარ-ტენა კარებიდან გამოვიდნენ და ჩაბნელებულ კიბეებით ზევითკენ გაე-მართნენ.

ისებს ფერი აღარ ედო. სახეზე მორჩილება და სასოება აღბეჭდოდა. უპატარინოდ მოსული ბიჭის გაღამრუყეტი საათი დამდგარიყო და გამოუ-თქმელად ლელავდა.

— შენი ჭირომე, დეცანოზო, მეორესაც მიხედე, ობოლო-ოხერია, მლიერ საწყალი ბიჭი და არ შეშინდეს... გვარად ლალიშეილია... ეგეც მე ამეციდა და მავის დარღიც მაწუხებს.

ხვეწინით მისდევედა სემენარიისაკენ კიკოლა დიაკვანი პეტერ ლეჩანიშს და დაბრუცილ დაჯლანებულ ჩუსტებს საცოდავათ მისაჩარისენებდა.

ის იყო აივანზე შემოსდგეს ფეხი, რომ შეკვეულებული მისურსტებული-აკვენები ერთი დაწურჩულებით შუაზე გაიყვნენ და ქუდები მოიშვლიდეს. მაღალ-მაღალმა, გრძელ წევრა ინსპექტორმა, რომელსაც სემენარიელები მეტ სახელად „დემურჩოლლის“ ეძანდნენ, მეტი სიმაყით თვალები ძირს დახარა, ქუდზე ხელი ოდნავ მიიღო, ვითომ სალამით უპასუხა და მე-დიდური სახით კანცელარიისაკენ სარჩაყლაპულიერ გამოემართა. პეტ-რე დეკანოზი და დიაკვანიც სვეტებთან შეჩერდნენ. ინსპექტორს სქელ ლიპიანი, თვალებ დაგუდული, კეთილი სახის გამომეტყველების მასწავ-ლებელი ჩეტირკინიც მოჰყვა და ასე ნელნელა მოელმა პედაგოგიურმა პერსონალმა ზემოდ თავი მოიყარა. პეტრე დეკანოზს ჩეტირკინის და-ნახვაზე სახე სიამით აეცსო, სწრაფად მიიღიდა, ხელი ჩამოართვა და თან შეჰყვა.

— აი, ვენაცვალე ჭრთამის ძალას! დახე ლალისუერმა საზედაშომ და მსუქანმა ბეჭმა რა მარტათ გასცრა! ღმერთმა ააშენა მაგისი ოჯახი, თო-რებ სადა მაქეს იმისი წელი, რომ მავ ბიჭის შენახვაში თვეში ხუთი-ექვესი მანეთი ვიხადო, — ვაიფიქრა გახარებულმა დიაკვანმა, ცარიელი ხერჯინი მრგველად დაახვია, ბაწარი გადაუჭირა და იღლიაში ტაბიკივით ამოიჩინა.

სემენარიის აივანზე კიკოლა დიაკვანმა დაკარგული ინდაურივით ცოტა კიდევ იტოტრმანა და ჩაკი ძლიერ დალლილი იყო, ისევ ბალისა-კენ გამოტრიალდა და იქვე, შესავალთან, გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

ხალხის მოძრაობა ბაღში უფრო გაძლიერებულიყო. რესის დედაკა-ცები სამზარეულო კალათებით ბაზრისაკენ მიეშურებოდნენ და თან დილა-ადრიანე მშეუცერიტას აქნაწუნებდნენ, კაյარიდიანი მოხელეები, ჩასუებული ვაკრები, ცილინდრიანი მოქალაქეები ბაღზე გავლით. მის ჩრდილს წერილ თავს აფარებდნენ და თავიანთ სამწერე გარბოდნენ. ლოყებლავლავა ძიძებს ბაეშვები პაწია მოწნულ ეტლებში მიერინებინათ და თვითონ ჯარისკაცებთან ღიჯღიჯებდნენ.

მღვდელ-დიაკვენები ისევ სემენარიის კარმიდამზე ტრიალებდნენ. კიკოლა დიაკვანიც ბაღში გაქვავებულიერ იჯდა და სემენარიის გამო-სავალ კარს თვალს არ აშორებდა. უცებ მან ნაცნობ სახეს მოჰკრა თვა-ლი და დააშტერდა.

სემენარიის აივილან ერთმა მაღალ-მაღალმა, შეებჩაცულმა დედა-კაცმა მღვდელ-დიაკვენებს მორიდებით გზა აუქცია და ბაღისაკენ წი-მოვიდა.

წარბებ აძგრულ, შუაბნის ლამაზ დედაკაცს სახეზე დიდი სევდა და ჭირვარიმი ქატებოდა, მაგრამ ისეთი უემები და შეუპოვარი ნაბიჯით მოდიოდა, ისეთი გორგოზი სახის გამომეტყველება პქონდა, რომ აღამიანი მის ძლიერ ნებისყოფას სულ აღვილად მოიკითხავდა.

დედაქაცი ბაღში შევიდა და ჩრდილმიყენებულ სკამზე დიაკვინის გვირდით ფრთხილად ჩამოჯდა.

— რა ვქნა, ეს მანდილოსანი ძლიერ მეცნობა და ჩემი პირი არის?.. ჰო, ჰო, ნამდევილად ის არის, ახალებნელი დიაკვინის ცალის საწყალი ონისიმე, მეონი შარშან ზამთარს მოკვდა, — დაბეჯითებით გადასწყვიტა კიკოლა დიაკვინმა და გულის დასაჯერებლად დედაქაცისაკენ გაუბრედავად გაიხედა.

დედაქაცმა იგრძნო თუ არა მისი გამონედვა, იმანაც პირი დიაკვინისა-კენ შემოიბრუნა და ორივეს თვალები ერთმანეთს რომ შეხვდნენ — დიაკვინი ფიცხლავ ზეზე წამოდგა და ქუდზე ხელი იტაცა.

— ნურას უკაცრავად, თქვენი ჭირიმე და თქვენ ინისიმეს ჯალაბო-ბა არა ბრძანდებით?

— ისა გარ, ჩემო კიკოლა, — ოდნავის თავის დახრით უპასუხა დე-დაქაცმა, თან წარბებ ქვეშ დიაკვინს იჩიბად გახედა და სიტყვა ისე გა-ნაგრძო:

— გაგიტირდა, ვანა, ჩემი ცნობა! ან კი ეს გაუბრედურებული დედა-კაცი რაღა საცნობი ვაჩ? ამდენი ჭირდარამი ქვასა და რეინას მოინე-ლებდა, ჩემო კიკოლა და მე კი ისევ პირში სული მიღვია.

დედაქაცმა ეს ისეთი კილოთი სოქვა, თითქოს შორეულ ამბავს იგო-ნებსო.

— ექვესი შეილის დედას სათვალავი ერთზე და დამიდგა, ღმერთმა ეს უბედურებაც არ მაქარა და შარშან ზამთარს, ალბათ შენც გაიგებდი, საცოდავი ჩემი ქმარიც დაემარხე და დაფრჩი ამ ბავშვის ამარა.

დედაქაცს სახის ნაეკოები დაეციმა, და თვალები ისე განაბა, მაღლა აღარ იუხედია. დიაკვინმა მის წინაშე რაღაც მოყრიძალება იგრძნო, რამ-დენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და თანაგრძნობით თავი რამდენჯერმე გაიქნ-გამოიქნია. თან მორიცებით ჩაილაპარაკა:

— ომ, ომ, ომ, შე საცოდავო, შენა! რა შავბნელ ბედზე დაბადე-ბულხარ... ნწ.. ნწ.. ნწ..

დიაკვინი გაჩუმდა და რაკი დედაქაცს ხმა არ ამოულია, ნუგეშა-კუმლად წყნარად განაგრძო:

— რას იზამ, ყველა სიკვდილის შეილები ვართ, ალბად ლეთის ვან-გებით ეგრე ეგრერა, შე საწყალო, შენა და რაღა დაგრჩინია, ჩემო დაო და დედაო, მოომენის მეტი...

ორივენი ისევ გაჩუმდნენ.

— რაღა უნდა ვქნა, მე უბედურმა, — დაარღვია სიჩუმე ისევ სიღამ. ნეტავი მაგ ბიჭმა იცოცხლოს დიღხანს და სანთელ საქმლად შემიწირავს მისი ძმები და მამა... მაგრამ მეტად მძიმე ყოფილა, ჩემო კიკოლა, უპატ-რონობა... აბა შემომხედე? განა მე ეხლა გარედ გამომესვლებოდა? ჩემი ბე-დის ჩარჩი ისე უკულმა დატრიალდა, რომ ბნელ ოთახში უნდა ეგდებუ-ლიყავ და თავი ქვისთვის მერახუნებინა, იმ დევგმირი შეილების დამ-კარგავს... მაგრამ ამ ბიჭს რაღა ცუყო, ვანა ეხლა მავას ელალატება? დავ-

დივარ და ამ ქალაქია დღე ქვეყნას თავს ვაბეჭრებ, რომ ბავშვი როგორ-
მე „პანციონში“ მივაღებინო..

დედაკაცს ამ ლაპარაკის დროს, თითქოს წითელი ეჭირვე ეტაჟების,
უცრად ისე გაწითლდა, კოპები შეიკრა და მოულოდნებლად შეჩრდა,
დიავენძმაც შეამწინია დედაკაცი რომ მღელვარებამ იირაც და თვალი
აარიდა, ხმა არც იმის მოული.

დედაკაცს გუშინწინდელი დამცირება გაახსენდა და სიბრაზით თით-
ქოს კრიჭა შეეკრა. შეიღის საქმეზე ერთმა ნაცნობმა მღედელმა გზა რე-
ქტორისაკენ ასწავლა. როცა ქვრივი მოტივილებით მის სამუშაო თახ-
ში სხევბთან ერთად თხოვნას აწედიდა, ანაფორიანი უფროსი მავიდის
მეორე მხრიდან ამღერეული თვალებით დააცერდა, თან სქელი ტუჩები
ისე საძვლად ააწელამუნა, როგორც შრატნაჭამმა ძალომა.

დედაკაცი სირცხვილმა იირანა, მაგრამ როგორც მენი ისე იღვა, ერ-
თომც არაფერი არ შეუმნიერა. კიდევ კარგი, რომ მთხოვნელებიდან
მხოლოდ ერთი ცალთვალა, გამოშტერებული დიაკვანი და თარჯიმანი
ლა იყვნენ.

სხევბი ზურგშექცეულნი უქმაყოფილო სახით უკანვე მიტონტმანებ-
ლნენ.

რექტორმა დედაკაცს უკმეხობა რომ შეატყო, შერი იმითი იმია, რომ
ანაფორის ფრიალით სადღაც გავარდა, დედაკაცს საათნახევარი აცდე-
ვინა და როცა შუბლები ჩამოუშეშდა მერე თარჯიმანი გამოუგზავნა —
დღეს არა მცალიან და ხვალ ბინაზე მოდიო.

— ახ, საზიზლრებო! იქნებ თქვენზე შერისძიება ღვთის განგებაში
ეწეროს? ჩაშინ...

გააღმასებული დედაკაცი ადგილიდან დაიძრა, დიაკვანს უხმოდ თა-
ვი დაუკრა და ლარივით აზიდული სხეული ისე გაიტანა, რომ არ შერ-
ხეულა.

დიაკვანს ევონა შეიღების სიმწარის მოგონებამ სკვდა გაუცოცხლით
და სიბრალულით თვალი გააყოლა.

— ვაი ჩეენი ბრალი! სანამა ვართ ასეთი უბედურებით ვიდავვით და
მერე ზევ მიწას ამოევეურებით, ევ არის ჩეენი წუთისოფელი.

ჩუმად ჩაილაპარაკა დიაკვანმა, თავი ძირს ჩაკიდა და ის იყო ჩაფიქრ-
და, რომ უცებ გადაღმა იასამნის ბუჩქების გერელიდან ხალისით საცავ,
სუსტა და გამჭვირეალე სიცილი მის ფიქრებში შლევიანივით შეიქრა.

დიაკვანმა თავი მალლა ასწია და იქით გაიხედა,

ორი ახალგაზრდა ვოგონა ვრძელ სკამზე მერცხლებივით ჩამწერივე-
ბულიყვნენ და სიცილისაგან ისე თრთოდნენ, როგორც ნიავისაგან შერ-
ხეული ყვავილები.

— თეორად თქვენი სარეცხი, გოგოებო! ეი, მარწყვებს არა პევანან,
ეს გავლეჯილები!!!!

ახლა მეორე მხრით მოქსმა დიაკვანს ეიღაცის ჩალაპარაკება და დია-
კვანმა იქით რომ თვალის ბაიები მიატრიალა — საშინლად არ მოეწონა:

სამი სემენარიელი შორისახლო იდგნენ, ახლად ამწვერებულ ტლვაშებს მეტი ეშით იწიწკინდნენ და გოგოებს ისეთი ღიმილოზ შეაცმენილნენ, რომ დიაკვანს ბრაზი მოუეიდა.

ბიქები თან ეშმაკურად აზეველებდნენ.

უროვნეული

— ას, გოგონებო, თქვენი თვალები ბეთლემის ვარსკვლავს წააგავს...

მღერით ამბობდა სიშავის გამო მეტსახელად „ელენთა“დ წოდებული სემენარიელი.

— და იმ ბეთლემის ვარსკვლავის თაყვანისმცემელ მოგვებათ ჩეენ ვიქენებით, თუ ნებას მოგვცემთ, ლამაზებო, მეორე ხმით განაგრძო შუათანამ...

— მაშ მუხლს მოვიყრით თქვენს წინაშე და ღაწვებში გეამბორებით, მშენიერებო!

უფრო მეაფილ მისცა ბანი მექამეშ და ამ ურცხვი ამბით გულმოსული დიაკვანი ადგილიდან კადეც დაიძრა.

— ხა, ხა, ხა, — ტკბილად ჩაიხითხითეს გოგონებმა და ისინიც წამოცეიდნენ.

— აი დედასა, ქვეყანა როგორ გაირყვნა! უუი, დაგწყველოთ ღმერთია — გააფურზოხა მან გაჯავრებით და სემენარიისაკენ გაემართა.

ცოტა ხნის შემდევ სემენარიიდან პეტრე დეკანზი მხიარული სახით გამოვიდა და ქრისტოსანის თამაშით იქვე კარებთან ატუზულ კიკოლა დიაკვანს მიმართა:

— აბა, კიკოლა, ბედი გქონია და ეს არის მარტო შენი შეილი კი არა, ის მეორე, საწყალი ბიქი რომ სჩანს, ისიც მივალებინე, რა გვარია?

— ლალიაშვილი, მამათ დეკანზო...

— ჰო, ლალიაშვილი... ეხლა გასწი და ჭული ჭერსა ჰყარი... მაგრამ ხომ იცი?!!

— შენმა მაცლმა, დეკანზო, მე ვიცი და შენმა პატივისცემამ.... — ხელად სიტყვა ჩამოართვა დიაკვანმა, ხელი ხელშე დაიდო და დეკანზის წინ მოიხარა. —

— სახელითა, მამისათა და ძისათა...

ჩაიდუღუნა დეკანზმა და სანთხვევად დიაკვანს ხელი გაუწოდა.

სემენარიაზი

შემოდგომის მზე გადასრილა.

შევად მოსილი სემენარიელები სასწავლებლის ეკლესიისაკენ მძიმედ მიემართებიან და გზადაგზა ლაპარაკის მოთავებას ეშურებიან.

— აკი გეტბნებით, კაცო, რუსეთში ამეამად გამძვინვარებულმა ჩე-აქციამ უფრო დიდი ამბები გამოიწვია. მე დანამდვილებით ვიცი, რომ სამხრეთ რუსეთში, ცერა ზასულიჩის მეთაურობით დიდი ოჩვანიზაცია მოუწყვიათ....

ამ სიტყვებით სამი წევრულვაშიანი სემენარიელი ბაჟიანი ქართველი გამერდნენ და ლაპარაკი ჩურჩულამდე დაიყვანეს.

ეს სამი შევიტლი ფარული ქრების მეთაურნი იყვნენ, და მომდევ მათი გულისყრი წრების შექმნისა და პოლიტიკური ვიზუალურობის მიპყრობილი.

— თქვენ ეგ რად ვინდათ, — სიტყვა ჩამოართვა უფრო მაღალმა სემენარიელმა და იქით-იქით გაიხედ გამოიხედა. წელან ხელამის სტამბაში შიო დაეითაშეილმა ერთი კაი ამბავი მოიტანა: ამ ორი კვირის წინად ყაზანის უნიცერსიტეტში ერთ სტუდენტს პროფესიონალისათვის კაი სოლა უტევეცია და იქიდან რომ დაწყებულა, ეს ამბავი თურმე მოელ რუსეთს ელევის სისწრაფით მოსდებია და ეხლა მოსკოვში, ოდესაში, კიევში და ხარკოვში ისეთი დემონსტრაციები გაუმართავთ, რომ მთავრობა მოლადა....

— შ შ შ.. — გააწყვეტინა სიტყვა პირველმა და თვალით სვეტებთან აივნისაკენ ანიშნა.

— ერთი შეხედე მავ ბრჩა მამაძალლს... ურ, შენი — ქილები დაუკრანა მაღალმა სემენარიელმა და უფრო ჩუმად განაგრძო.

— აბა კაცო, რა ჯანდაბას გააკეთებ?.. ჯაშუშებით აიგო წრეულს ეს ოსრად დასახჩენი სემენარია...

ერთი შეხედე, აცაბაცა თვალებით რა ნაირად იმზირება?

სამიერმ სვეტს მოფარებულ ქერათმიან სემენარიელს ირიბად ვახედეს, ლაპარაკის თვემა უმალ შეცვალეს და სიცილით ეკლესიაკენ გამოემართნენ.

მათ შესვლის შემდეგ სვეტებთან ატუშულმა სემენარიელმაც აქეთ იქით კადევ გაიხედ-გამოიხედა, ვითომ ვიღაცა ეძებდა და მერე ისიც კარებისაკენ ლილინით გამოტრიალდა.

— კაცო, ამ განუწყვერელმა წირვა-ლოცვამ ისე მომაბეზრა თავი, რომ ეს გასაოსტებელი ზარის ჩეკაც კი ვეღარ ამიტანია, ბრაზით მევსება გული.

— მე კიდევ ამ ბერების ცქერა ისე მომპეზრდა, რომ ამ შეჩვენებულებს ლამის ვეძერო და წევრებიდან მოლად გავტალო.

ამ სიტყვებით ორი სხვა სემენარიელი იმავე სვეტს მოეფარნენ და საღარბაზო კარებში სწრაფად მიიმალნენ.

იცი ბიჭო, ამ დურაქმა ანდრომ, ამ ზავვვრემან გოგოებს „ულის შევიჟამეს“ შეგაესი რაღაც ჭათინაური უთხრა და მოელი დღე ის დასაბრმავებლები სულ ჩვენ დაგვეცილდნენ.

— მაშ ლოცვაზე არ მოელენ?

— ამ ჩემ ფეხებს, თუ არ მოელენ? გასწი შენ ჩემა!!.

— რას ლაპარაკობ, ბიჭო, ძლიეს ერთი გიმნაზისტეა გამიარშიყდა და ხემრობა საქმეა?

— რაო?.. ხა, ხა, ხა.. გიმნაზისტეო?.. რას გიმნაზისტეა, რის ზავვლენეა?...

— ხარეფუხის ჭრაკერვის სკოლის მოწაფე ყავისუერ ქაბაშვი / მის გიმნაზიაშიათ მოსჩვენებია... და ოურმე იმიტომ არის ასეთი ბეჭდიერი... ხა, ხა, ხააა...

სიცილით ვორბილენენ ბაზრის მიმართულებით ვერამცურ ცხრამის შეგვირდები და გზა და გზა ერთი მეორეს მუჯლუგურ არქიტექტურენ.

— არიქა, ბიქო, ჩეარა, თორემ დაგვაგვიანდა...

გაისმა უკანასკნელი მოწაფეთა ხმა და ეს ორიც ღია კარებში შეულიერი შეცვიდონენ.

ზემოდ კი ფეხის ხშირი ჩლატუნი ისმოდა.

წყვილ-წყვილად დაწყობილი სემენარიელები ფართო კალესიაში მწყობრად დგებოდნენ და გამალებული პირჯვარს იწერდნენ.

ინსპექტორი სტეფანოვი, რომელსაც „შევირდები მეტ სახელად ადემურიოლლის“ უწოდებდნენ უკვე თავის ადგილს იდგა, ბუსაეით ყველ მხრივ კისერს მსუბუქად ატრიალებდა და რიგრიგად ყველს ათვალიერებდა. საკმედლის სუნი ეკლესიასა და დერეფანში უხვად გაფანტულიყო და გაცრიაგებულ ნისლიერთ იდგა. გარეშე მლოცველნიც თავს იყრიდნენ და შეწევულ ადგილების დაქერას ეშერებოდნენ.

მალე ახალგაზრდა ქალების ფარისის შრიალი და ქუსლების ბაჟუნი კიბეებზე მსუბუქად გაისმა. სემენარიელებისათვის ეს უქმე დღის წირვა-ლოცვა ჩაღაც შეღავათს წარმოადგენდა, ჩაღვან უცხო ხალხის თავმოყრის ახალგაზრდებს კოტაოდნავ გულს უხალისებდა და ამიტომ წირვა-ლოცვაც არც ისე დაუსრულებლად ეჩვენებოდათ.

მართალია, უბრალოდ განძრევის და უკან მოხედვის უფლება არა პქონდათ, მაგრამ ზოგი მათვანი ერთი წუთით ქრისტიანული მაინც მოისწრებდა, ყევილებით მოქარგულ „შლიაბებს“ ქვეშ სულვანაბულ გოვონებს ჩათვალიერებდა და ისევ სარჩიყლამულიყოთ გაშეშდებოდა.

ბერიჯერ ხატზე ეშემაკურად თვალებ მიპყრიობილ რომელიმე გოვონას რომ შეამჩნევდნენ, ყმაშვილებს ერთი საშინელი ხელა-ქოშინი აუტყდებოდათ და გოვონაზ კარგად იცოდა, რომ ეს უცნაურად ატეხილი ხელა-სურდო მისი ოინბაზობით იყო გამოშვეული და ის უფრო გაპრანჭებით ხატებისაკენ გაემართებოდა.

ბიქებსაც სწორედ ეს უნდოდათ:

იმ საღამოზედაც ლოცვაზე ერთი მაღალ-მაღალი ტან-წერწეტა გოვონა უცხო მტრედიერით გაუოთებული შემოიჭრა, ხელათ სანთლები იყიდა, ნაცრისფერი დიდი თვალებით აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და კანკელისაკენ რომ გაემართა, მეათე წყებაში მდგომმა მაღლაკელიძემ ლომეკაციშვილს ჩასწრობულა:

— ერთი შეხედე, ბიქო, კე მამაცხონებული კელამტარიერით არ არის ჩამოქნილი?... ა, ჯან გოვო ერთი ნეტავი...

— შენ ფეხებზე შეხედე, ბიქო... რა ფეხები აქვს!.. უი, და... და... და!... ლამის გამაციოს... უპასუხა ჩურჩულითვე ლომეკაციშვილმა და თან ინდექტორისაკენ ალმაცერად გაიხედა.

— ს. ს. ს.. მოქადაკ ბატისებური სისინი და ორჩვემ უმაღ ხმა გაემინდა.

ეს სისინი ახალგაზრდა აყადემიკოს ნიკოლოზ შახათაძეს ჟულიუნოდა და მათ კარგიდ იცოდნენ, რასაც ეს სისინი მოასწავერდნა კორთევა

— საზიზლარი, რა ძალურ ერთვულებას იჩენს, ბოროტებით გაიფიქ- რა მაღლადყელიძემ.

— ამა, ესეც ჩევნი ქართველი და ისიც საცოდავი, მღვდლის შეო- ლი! რაღა შორიდან გადმოკარგული რუსის განდარმები და მოხელეები ვაეთმოვნოთ როცა ამბავაც არ ესმის ჩევნი გულისტყივილი, უსინდისო, პირველ დღიდანევ ჩევნ დაბეჭდებას მიპყო ხელი — ვაიფიქრა მაღლა- კელიძემ და სიბრაზით ერთ ადგილზე ბუნეაბენი ცხენივით ატოვდა.

მათ უკან, მეთერთმეტე წყვბაში შეად გამხმარი, ჰერიანი სახის ვა- მოშეტყეულებით გოლა ჩიტაძე იღვა და ხატებს კუშტად შესცემერიდა.

ჩიტაძე ფიქრში იყო ვართოული და ვარემო მღვომარეობისა არა- ფერი ესმოდა.

— აი, დედასა, თქვენი ცოდნა და უნარი მე რომ მქონდეს, ევრ შორიდან კი არ დავიწყებ ცეკვის!! ჩევნ მუშებს ევრე კი ნუ უცქერით, ისინი უკავ გონებაში ჩავარღნენ, ქარხნებში ნიადაგი უკვე მზად არის და კეთილ მოესეელს მოელის. საქმეს რატომ არ აჩქარებთა?


ისე უსაყველურებდა გუშინ გოლას მიხა ჩოდრიშვილი, რომელსაც დავაკუაცებული გოლა დიდი ხანია ჩარევიანის წიგნის მაღაზიაში ვა- ეცნო და მასთან დიდ მოლაპარაკებას აწარმოებდა.

ჩოდრიშვილის წინადაღებით გოლამ წრები ჩამოაყალიბა და კუ- კიაში, ჩოდრიშვილისავე ბინაზე, კვირაში ორჯერ თანამედროვე რუსე- თის მღვომარეობაზე და მომავალ პერსპექტივების შესახებ საუბრებს აწყობდა და თავის ამხანაგებს საპროპაგანდოთ ამზადებდა.

— მოხშეილი, აბულაძე, მავავარიანი, ჩიქვილაძე და ხახუტაშეო- ლები შეტაც ფიქიზელ ბიჭებად იცქირებიან. შემდეგ ქრებისათვის ეგე- ნიც უნდა შევამზადო... შეტაცრე მოხშეილი ძლიერ განვითარებული ბიჭია და ვარიანი მცერმეტყველიც დადგება. ჯერ წიგნების კითხვით ძლიერ ვატაცებული არიან... მაგრამ ამ საცოდავს ჩა უყო, მაგ მღვისი ვლახას... ერთი შეხედოს კაცმა და...

გოლას იღლმალი ფიქრი და თვალები ახლა ტრაპეზისაკენ ვაქანდ- ნენ. მა დროს აღსავლის კარგიდან ბრწყინვალე სამოსელით მღვდე- ლი ვამოჩნდა, ვერცხლის მტრედის ქვეშ ვაჩქრდა, ხალხს პირჯვარი ვა- დასწერა და რალაც ვრჩელი ლოცვა წარმოსთქვა.

მარცხნივ, მცირე კარგიდან სტიხარით შემოსილი, ოდნავ ნაყვავი- ლარი და სათნოებით აღსავს სახით ისესებ ლალიაშეილი აბოლებული საცეცხლურით მოძლვას წინ შეეგება, საცეცხლური მოწიწებით რომ მიართვა, დაკუშა და მღვდელს ხელზე ემთხვეთა. მერე თავზაქინირული მორჩილებით უკან ვამოტრიალდა და იმავ კარებით ისევ ტრაპეზში მი- იშალა.

— საწყალი ბიჭი, ნეტა თვალები როდის აეხილება?  სწორედ, ეგ ოჯახქორი, ნამდვილი ცხეარი!

ამ ფიქრით გოლამ კანკელს თვალი ნელა შეავტორიზებულის დაფერილი ხატები სანთლების შექმნებით ელექტროლექტრიზაციებით შექმნილი ჯვარი ეკ სხვადასხვა ფრად კითხობდა.

ლურჯათ და ბროშეულისფრად მოთამაშე სხივები გოლას თვალს სკრიპნენ, გოლამ სახე აარიდა და იქით გაიხედა, სადაც იოსები ეგულებოდა.

ლალიაშვილი საკურთხევლის მარცხენა კედელთან იდგა და ზეცისკენ ხელებ აცყრობილ შლედელს სასორებით შესცემოდა.

— კაცი არ გიყო, თუ შენ ეს ხატები და კანკელი არ შეეძინელო!

— ბიჭო, რა საჩინაყლაპულიერ დგეხარი?! შენს მავიერ შე ეიწერ პირვევარს, ხელი აამომჩავე თორემ ხედავ ცხვირმახათა შორიდან ქორივით რომ იცქირება?

ჩასურტულა გოლას უკანიდან ლომკაციშვილმა და ზედიზედ მრავალჯერ პირვევარი გადაიწერა.

ამხანაგებს ლომკაციშვილის გამალებულ ხელების ქნევაზე ძლიერ ეცინებოდათ, მაგრამ თავს იკავებდნენ და წითლად იყუდებოდნენ.

— გეყოფა, ბიჭო, თორემ მეტი აღარ შემიძლიან, — ჩაიბურტბურა გვერდში მდგომმა ამხანაგმა და თან ხრინწიანად ჩაახუელა, რომ ბუტბუტი დაეფარა.

ამ ღრის ლომკაციშვილმა შეამჩნია, რომ იატაქზე მოკლე ჩრდილი გაცურდა და მიხვდა, რომ ინსპექტორის ერთვული ზედამხედველი ადგილიდან დაიძრა და მწერივისაკენ წამოვიდა.

ლომკაციშვილმა ხელის ქნევა ჯიბრზე მოუხშირა.

— მამა რექტორი გიბრძანებს, რომ ასეთი შეცწყვეტელი პირვერის წერა სრულიად საწინააღმდევო რამეს კარნახობს და წინაღლადება გეძლევათ თავი დინჯად დაიკავოთ, — ჩასტურუნა ლომკაციშვილს მხართან თავდახრილმა ზედამხედველმა და შუბლშეერულმა მისი პასუხი ისე მოისმინა, თავი ზევით არ აუწევია.

— განა არც ლოცვა შეიძლება თავისუფლად? — უკმეხად უპასუხა ლომკაციშვილმა და უკან გატრიალებულ მასწავლებელს ბრაზმორევით შეუკურთხა.

— თქვენი დედა და მამისული... რახან ეცრეა ხელს აღარ გავაჩერებ, იმდენ პირვევარს დაიწერ, სანამ გოლები არ გავისკდებათ...

ჩაოლაპარაკა ამხანაგებს ლომკაციშვილმა და ხელი უფრო სწრაფად აამომჩავა.

გოლა ჩიტაძე კი ხესავით იდგა და თავის ფიქრების კვალს მიჰყვებოდა.

— საწყალი იოსები! რა საშინელი ფანატიკოსია... მაგრამ მაგის უკიდურესობაში გადავაჩრდა მით უფრო აღწილი სამეგა. მე შენ გოთხა, რბილი კაცი არ არის თუ? ხელშე როვორც თასმის, ისე დაიხვევ და.

მაგ მართლმორწმუნე ფანატიკოსისაგან ისეთი რევოლუციონისტი, გამოვარდება, როგორც შემცინარ წენგოდან გაყროცილი კავალე.

გოლამ გადასწყვეტა, რომ ითხების დამუშავებას ჰქონდება შეუძლებოდა.

— ჯერ აკრძალულ ლიტერატურას მიაწვდიდა, შემდეგ ამ წიგნებით აღძრულ საკითხებზე ბაასს გაუმართავდა, თანდათან დაიაზლოვებდა, გაუბედავ ბიჭს ძლიერ წაახალისებდა, მოკლე ხანში მასთან მევობრულ განწყობილებას მოიპოვებდა და თავის გავლენის ქვეშ რომ დააყენებდა — საბოლოოდ მისი სულის მცენელად გადაიქციოდა.

წარსულ თვეებში ასევე გარდაქმნა მან სიცონერო სკოლის მოწაფეები: თაქთაქიშვილი და ყარანვოზიშვილი. ახლა იმ სახწავლებელში ეს ორი ახალგაზრდა ამ საერთო საქმის თავგამწირულ მოლვაწეებათ არიან მიჩნეულნი.

— არა, წრეულს საქმე უსათუოდ წინ მიღის — განაგრძობდა ფიქრს გოლა.

სტუდენტი ნახუცრიშვილი კიევში წასვლის ნაცვლად ჩათახის ქარზანაში უბრალო მუშად წაეიღა, საიდუმლო წრის ერთ-ერთი წევრი ალავერდის მაღნებში არღუთინსკის ასალეთქებლად გაემგზავრა. სტუდენტი ლამბარაშვილი და მისა ჩოდრიშვილი ტუილისის ქარხნებში ტრიალებდენ, სტამბებში და მოწაფეთა შორის შიო დავითაშვილი და ტრიალდა... ჩეკი სემენარიაში...

— ამ, რა ურკვეულო ხალხია.. ერთი შეხედე სილიბისტროს, როგორი იღრივება!....

მუალეუგუნი წაპერა გოლას მარცხნივ გოგოლაშვილმა და გოლას ფიქრთა მსელელობა დაურღვია. გოლამ გვერდით მდგრმ ამხანაგებისკენ გაიხედა. ჯერ და ბრგვ ვაკეაც, თვალები ღონავ ჩაეხუჭა, შუბლი სიმწარით შეეკრა და მარჯვენა ხელით მუხლის თავს იზილავდა.

— ამ, ეს წეულები, ავადმყოფსაც კი ურ ანთავისუფლებენ ამ წირვა-ლოცვილან... ესენი განა დამიმანების აღმზრდელები არიან? ქარებით დაავადებულს, განა ლოცვის თავი აქვს? აი თქეენი სამართალი დაინგრეს, თქეენი!....

გაიფიქრა გოლამ და თან გულში სიამე აღეძრა, რადგან ამ დროს დავუცესნებულმა საგალობელმა შეგირდებში სიხარულის ჩოჩქოლი გამოიწვია.

ლოცვა თავდებოდა და უხმო შრიალმა იმატა. ითხები მცირე კარებიდან ატლას გადაფარებული თელშით გამოიწრდა და მოსულ ხალხს განწინავის ფულის ასაკრებად მოკრძალებით ჩამოუარა.

ხალხი შეიშმუშნა. ყველამ ჯიბეების ქვეა დაიწყო და მათ წინ გამოწვდილ თელშე შატრიან-სამკაპიკიანები აწერიალდნენ.

— ბიქო, ეს ჯაშეში აკადემიის ნიშით ალბათ ამაღამაც ჩამოვეიკლის, — ჩასტურჩულა ერთმა სემენარიელმა მეორეს.

— დედას უტირებთ... ჯერ ჩვენი ეპენები დადასტურდეს, თუ ქემდეგისე მოვთელავთ, როგორც დიდოელი ლეყი ნაბალს, ჯერ ცატა დაიცალოს! — ჩურჩიულითვე უპასუხა მეორემ და თან გემრიშვილი ჭირებულითხა-
პირდან მართება.

ზარული პრეზა

მამადავითის ქუჩის რომ გაჰყები, ეკლესიის ქვემოდ გაიხედავ და ქალალდეგარულ ფანჯარას დაინახავ... ეზოს კარი ცალ ანჯამიშეა ჩა-
მოეკიდული, იქ მიხვალ, ოღონდ ეს მარტო შენ იცი და მე, გესისი?

ჩასხურჩულა გოლა ჩიტაძემ ერთ დღეს იოსებს ბნელ დერეფანში და
ისევ ზემოდ გაქანდა. იოსებმა პალტოს ყველა ღილები შეიკრა და დინ-
ჯი ნაცივით გამოსავალ კარებისაკენ პირი იბრუნა.

ტერთ დღე იყო და საღილის შემდეგ სემენარიელები ნაცნობ-ნათე-
სათა ოჯახებისაკენ ეშურებოდნენ, რომ ხუთ საათამდე დარბაზობა
მოუთავებინათ და სასაწავლებლისაკენ ისევ დროზე გამობრუნებულიყვ-
ნენ.

ვისაც ნაცნობები არ მოეპოვებოდა, ისინი ბალებისაკენ სასეირნოდ მი-
ღონდნენ.

იოსები კი ფოშტის ქუჩით მამადავითის მთისკენ გაემართა. ერთი
კურაა, რაც იგი სულ სხვა გუნდებაზე დაიარება. გოლა ჩიტაძის დამე-
გობრებამ ფარდა ჩამოფარებულ ქვეყნიერებას ცალი კუთხე თითქო ვა-
დაუწია და ცხოვრება სულ სხვა სახით მოვჩვენა.

იმ დღიდან იოსებს, გაეკირებასთან ერთად, გულში მოუსევენარი
აღმფოთებაც შეექრა და ზედმეტი ძალა და ენერგია ავრინობინა.

ლალიაშვილი პატარ-პატარა ბრძანშერებს სწრაფად ყლაპავდა და ახ-
ლად განკურნებული ავადყოფილი ამ წიგნაკების შეთვისების და გაც-
ნობის მაღა დღითი-დღე უძლიერდებოდა.

— „ცადნა სინათლეა, ის თავისუფლებას აძლევს კაცს“ — ერთ-
ერთი წიგნიდან ასე ამოკითხა იოსებმა და ეს მცნება მას შემდეგ გუ-
ლით დაპქრნდა, ამ სიტყვებმა გააღვიძა მასში დაუშრებელი მისწრაფება
მეცადინეობისა და განვითარებისადმი.

დღეს რაღაც ძლიერი და მოუსევენარი განცდით დაიტვირთა მშვიდი
და მუღამ წყნარი სემენარიელი, როცა მას ფარულ კრებაზე მოუხმეს.

დაიძრა და დინჯი ნაცივით მიღის იოსები, ქაშვეთის პატარა ეკლე-
სიისაკენ ამოუხედია, მამადავითის ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტზე შე-
ჩერდა და აქეთ-იქით მიმოიხდა. აღბათ გულში შიში ჰქონდა, რომ მი-
სი გზაკვალისათვის თვალი არაფის შეესწრო.

— განა რისა მეშინან? — თვითონვე გაუკეირდა იოსებს.

— მთაწმინდაში ცოტა სემენარიელები სცხოვრობენ? ვითომ იმათ-
ან მიედივარ. ისინი ხომ სულ ამ ქუჩით დადან?

იოსებმა სრულიად დაწყნარებული სახე მიიღო და აღმართს შეუდვა.
მიღის ზემოთ და გამვლელ-გამომვლელს ზედ არ უცეკრის. თან ღილი-

ნებს, მაგრამ გულში მაინც რაღაც ფიქრი აქვს და მორსკენარი გრძნობისათვის თავი კელარ დაუდწევთა.

— გოლამ სთევა, არაეის შეამჩნევინო, რომ აქ მარტინი მალხი კი ქუჩაზე ბევრი ფუსტუსებს. ვინ იცის, რომელია შემოგვიარებული მეთვალყურე? სემენარიაში მყოფ ჯაშუშებს გარეთ კიდევ სხვა თანაშემწერი ცყოლებათ, და იოსები რას იცნობს?

ფიქრობს იოსები და გზას მაინც განაგრძობს. მამადავითის მოედანსაც მიიღწია და მღელვარებამაც იმატა. აგრე, ის — ვინ არის? ვილაც საცემი კაცია: ტელეგრაფის ბოძს ამოცარებია და ქვეშ-ქვეშ გამოიყურება. იოსების დანახვაზე უცნობმა შებლზე კარტუზი უარესად ჩამოიფხატა და იოსებს ალმაცერად გამოიხედა... ჰო, ჰო, ეს ნამდვილად შემოჩენილი მეთვალყურეა, თორემ ბოძს უკან რას იმაღება? გაიფიქრა იოსებმა და თმები ყალყზე დაუდგა, ზურგში ერთანტელმა დაუარა.

იოსებს თავისი დაჩრდი კი არ აწუხებს, ამხანავებზე ფიქრობს. ღმერთია დაიცაროს, რომ ის ამხანავების საფრთხეში ჩავარდნის მიზეზად შეიქნეს. მერე ახლა რა საშინელი დრო დადგა. სემენარია ნამდვილ სატუსალის დაემსგავსა: წარამარა მერხების ჩხრეკა, დაძაბული თვალყურის დევნა-ლამდამობით კი საწოლ ოთახებში ქურდულად ზვერკა, რომ რაიმე საბუთს წააწყდნენ, რომელიმე შევირდი შეიპყრან და იმის საშუალებით შემდეგ სხვებიც გამოჩერიონ.

ეს ამბავი კი პეტერბურგიდან მიღებული საიდუმლო დეპეშით იყო გამოწვეული. შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისის უანდარმთა სამართლელის აუწყებდა: „მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით უშალეს და საშუალო სასწავლებლებში უკანასკნელ დროს ფარულ ორგანიზაციების შექმნამ იმატა და ამის გამო ადგილობრივ მოაგრომას ევალება ამ ბოროტების წინააღმდეგ სასტკი და გადამტრელი ზომები მიიღონ“.

ამის საერთოდ ყველა გრძნობდა, ასეთი მუხრუქი ყველას სუნთქვას უმძიმებდა. ამის მთავარი მიზეზი ზოგიერთებმა იცოდა, მაგრამ იოსები-სათვისაც ეს ამბავი ჯერ უცხო იყო.

— განა რას უშლით? ჩევნ მიწაწყალზე ვის უნდა ვაწუხებდეთ? პირიქით, ჩევნი ქვეყნის სიმღილერით ყოველმხრივ სარგებლობენ და ასე რომ გვდევნიან, განა ეს სამართალია!?

და აი ამიტომ ძლიერ ფრთხილობდა იოსები, რომ მისი მიზეზით ამხანავებს შეღმეტი უაიდაგლანი თავზე არა დასტერხოდა.

ამ მოსაზრებთ იოსებმა გეზი იცვალა და მარტინი, სულ სხვა ქუჩისაკენ შეუხევია. მიღის ხვეულებით, გული შიშით და ამხანავებისადმი სიყვარულით აქვს საესე, ცოტა ხნის შემდეგ ერთ ეიშრო გასაეალთან მიაღწია და უკან მოიხდა: არაეინ სიანდა. მამადავითის მთის კიდეც მისღვევოდა და იქ ისეთი სიწარეარე სულეედა, რომ იოსებს ტანში სიძმოენების ერთანტელმა დაურბინა. იგი გარინდდა და აკითლად დაკიდებულ პიტალ კლდეს გახედა: ამ წამს ზევიდან დაცურებულმა ფხეირმა მი-

წამ ეს დუმილი თავისებური ხმაურით რომ აავსო, ისექმები ჩედმეტი სიამოვნება. იყრინო და სრულიად დამშვიდდა.

— ამ ხეტიალში ალბად ნახევარ საათზე მეტი ფაჭაფუცუნულა ვინ იცის გოლა რას ფრქრობს?

გაახსენდა იოსებს, ფიცხლავ მარჯვნივ გაიხედა და ეკლესიისაკენ გაქრილ ფართო გზის კიდეც მიაღვა. გზის სიგრძეშე ირც ჰემოდ და არც ზემოდ არაენ სჩანდა. იოსებში ხრამ გაღმა გაიხედა....

ქაღალდ გაკრული ფანჯარა პაწია სახლისა თვალბისტიანიერთ საწყლად იცემირებოდა.

— პო, ის არის, ალაყაფის კარები მოტეხილ ფრთასავით ჰქიდია — გაიფიქრა იოსებმა და გულის ფანცქალით ხრამში ჩაირჩინა.

— ალბად კველა იქ არის და ბერბა კიდეც დაიწყეს... ვაი თუ სიმხდალეში ჩამომართებას გოლამ, დროზე რომ არ გამოვჩნდი?... ხელმეორედ გაიციქრა იოსებმა და პაწია ოთახის კარი მორიდებულად შეაღო. თმა წყვილმა თვალმა კარისაკენ მოუსევნრად გაიხედა.

— ოპო, ეინც მოვიდეს-გაუმარჯოს... წამოიძახა ცისფეროულება ზოსიმემ და იოსებს თავის ცვერდით ადგილი შესთავაზა.

არიქა, ბიქებო, ეხლა კი ჩეენი საქმე ალჩუშე დგება, რაკი იოსებ ბერი ჩვენთან მობრძანდა, ჩილაპარაკა კოლა ხახუტაშეილმა და იოსებს შარზე მსუბუქად ხელი წამოპქრა.

— ბიქო, შე სახე ძალლო, საცეცხლური ეის ჩააბარე, უშენოდ ხომ ჩაქრა და ჩანელდა? — გაეხუმრა ბართლომე მოსეშეილი და ჟველამ სიცილი ატება.

— ისემც ჩაპერობიათ, როვორც პაპაწემს ჩაუქრა პირში სული, — სიცილითვე უპასუხა ლალიაშეილმა და ზოსიმეს ცვერდით მიუჯდა.

იოსებმა გაზეთ-გადაფარებულ მავიდას გადახედა. ბიქებს ფრანგული წიგნი გადაეშალათ და რუსულ-ფრანგული სიტყვარი სახარებასავით წინ ედოთ, ვითომ ფრანგულს სწავლობდნენ და თუ ვინმე უდრიოდ მოხერებოდა, გაზეპირებული სტრიქონები ხმამალლა უნდა წაეკითხათ, რომ მოულოდნელ სტუმრებისთვის თავეზა აერიათ.

გოლამ სერიოზული სახე მიიღო და პატარა ჩაფიქრების შემდეგ მხანაგებს წყნარად მიმართა:

— მაშ განვაგრძოთ... იოსებ! შენ დავიგეიანდა, მაგრამ თავიდან ვეღარ დაიწყებთ, იმიტომ, რომ დღეს სალაპარაკოც ბევრი გვაქვს და ევებ ლუი ბლანიდანაც ერთი ორიოდ თავი წავიკითხოთ თორემ ვერაფერს ვერ მოვასწრებთ... რაც უშენოთ აქ ითქვა, შენ სხვა დროს ვავიზიარებ, — სთქვა აჩქარებით გოლამ და შეწყვეტილი სიტყვა უფრო დამძიმებული კილოთი განაგრძო.

— პო, და ჩეენთეის დღეს ის არის საჭირო, რომ თვითეული ჩეენთავანი სათანადო ცოდნით და განვითარებით აღვიშურეოთ. შემდეგში ეს ცოდნა და იდეები ხალხშიც უნდა გადვიტნოთ, ისევე როვორც ეს რუსეთში ხდება, ოღონდ უწინარეს ყოვლისა, მუშებს უნდა დაუუან-

ლოცდეთ, მათგან მეგობრული ურთიერთობა გავაჩალოთ, წერა-
კითხეა უნდა შევასწევლოთ და მერე ნელნელა დემოკრატიულ პატიუნების
მუშებისა და ვლეხების ცხოვრება გავაცნოთ, შემდეგ, წევა უზრუნველი
ცხოვრების მიხეზი უნდა აუხსნათ და თუ ისინი ჩვენს უზრუნველისტების
გაძყვებიან, მაშინ ამ უკულმართ ყოფილი თავის თავს თეოთონ ისნიან,
რაღაც ძალა მხოლოდ და მხოლოდ მათშია. მანამდისინ კი საჭიროა, რომ
ჩენ მუშები ისეთ თავისუფალ ორგანიზაციების გარშემო შემოვიტობოთ,
სადაც მათ ურთიერთ შეხვედრა ხშირად შეეძლებათ და ეტუც თუ მტერი
მიიტანს ისე ადვილად მშვე...

ამ ორგანიზაციებათ გოლამ სათეატრო წრე, საქვირაო სკოლები,
ბიბლიოთეკები, კომპერატიული არტელები, დამხმარე სალაროები და
მრავალი სხვა დაასახელა და შემდეგ განმეორებით დასძინა:

— მაგრამ ყველაზე დიდი იარაღი ეს ჩეენი ცოდნა და განვითარება
იქნება. უამისოდ, გახსოვდეთ, ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ჩეენ უნდა
ორმოციან წლების მოლვაშეთ, — ვერცენს, ბელინსკის, და სხვებს კარ-
გად უნდა გავეცნოთ, რომ შემდეგ ჩერნიშევსკის გაგება უფრო ადვი-
ლი იყოს, ვინაიდან ეს ბერბერაზი მოაზროვნე გერცენის და ბელინსკის
აზროვნების მსკლელობით იყო მომზადებული.

გოლამ სამოცანი წლების მოლვაშეთა შესახებ ცოტა კიდევ ილაპა-
რაკა და შემდეგ ლუი ბლანის წიგნი გადაშალა. გაევეთილის მსგავსად
წარითხულმა ლუი ბლანის მოძღვრებამ კომპერაციისა და მუშების შე-
სახებ შემათავას მალე ძილი მოძვერა და ძლიერ უხერხულ გარემოება-
ში ჩავარდა. იგი სცდილობდა გულდასმით მოესმინა, მაგრამ თავს ვე-
ღარ იკავებდა და წარამარა თვალებს ისრესდა, ხან ჩაახველებდა, ხან
თვალებს ფართოდ ახელდა, და თან გულში ფიქრობდა:

— იმ ოხერი ლობიოს ბრალია, კუპეზე ლოდივით დამაწვა და ძლი-
ერ დამამშიმაო.

ოსები ბარემ ყურს კარგად უგდებდა, მაგრამ ზოგჯერ კარტუზიანი
კაცი გაახსენდებოდა და გადაქრიც ფიქრობდა, რომ ის უსაოურდ მხვე-
რავი იყო, თორემ ბოძს რათ ეფარებოდა, ან ისე გვერდ-გვერდ რად მი-
ცემოდა.

— არა, ღმერთო ჩემო, რას ჩამციებია ის შემაძალლი... ხომ გამოვე-
პარე და რა დროს იმაზე ფიქრია, — ჯავრობდა გულში ისები და
თან გოლას თვალებში უცემოდა.

— ეხ, არა უშავს რა, დღეს პირველი დღეა და იმიტომ მომდის ეს
ამბავი... მშევადებდა ისები თავის თავს და ჩიტაქს მაინც თვალს არიცებდა.

— არია, გოლა, ახლა კი წასკლის დროა, თერამეტი წევთილა
დავერჩია — უთხრა უზნაძემ და უშველებელი საათი ისევ უბეში შე-
ნახა.

გოლა შეჩერდა... შემდეგი ქრების დღეთ პარასკევი დაატერზეს. სე-
მენარიელები ცალცალკე გამოვიდნენ, სხვადასხვა გზით თავსევ დაეშე-
ნენ და ათი წუთის შეძლევ სემენარიის კარებთან ეჭვიშვილის შეხე-
დნენ, ვითომ და ორაფერიაო.

ეზჯარხოსის ბარათი

რექტორი ჩუდეცი ტყავის ღრმა სავარძელში პირმოქუშული იჯდა
და სმენად იყო გადაქცეული. მის წინ თმაჩამიშვებული, ფერმერთალი
მღვდელი ნახევარ სავარძელშე უხერხეულად ბორგავდა და ნაცრისფერ
თვალებს ლაპარაკის დროს ხშირად ახამხამებდა. მის პირდაპირ, ხატე-
ბით საესე „კოსკში“ ზეთის ლამპრების ოდნავ ბეუტავდნენ. მღვდელი
ცდილობდა „კიოსკისათვის“ სახე როგორმე მოერიდებინა.

საბავგიეროდ როცა იგი პროფილით კედლისაკენ შემობრუნდებოდა
აღწევშე დამჯდარ კოჭივით წამოსუპტელი მისი უშნო ცხვირი კედელშე
სასაცილო ჩრდილს აყენებდა. მღვდელს მოკლე ცხვირშე მოლურჯო წი-
თელი კანი ნაცვეთ ხავერდივით გადაპერიდა.

— იყი მოგახსენეთ, ეს სასწავლებელი ძველადც აჯანყების ბუდეთ
ითვლებოდა, — თავის ქნევით და დამადასტურებელი კილოთი ლაპა-
რაკობდა იგი.

— ამიტომ იყო რომ უწინ, კუვშინსკის დროს, მთელი სემენარია
ვათოკილ მიზევრივით ძლიერ სუნთქვადა. კუვშინსკი ძლიერ მაგარი კა-
ცი იყო. ცოტა მიზეზი იყო ხაჭირი, რომ მრავალი სემენარიელი შარა გზა-
შე გაერეა და დაბატების დღი დაეწყელინებინა.

— მოუხედავად ამისა, რაც ამბავი და რაც „სკანდალი“ მის დროს
მოხდა, მაგვარი რამ არც წინად და არც მის შემდეგ არაფერი არ მო-
მხდარა, — ბოროტად ჩაურთო სიტყვა ჩუდეციმ და თავი ისე დაუკან-
ტურა, ზედ არ შეუხედია.

— დიახ, დიახ, — სწრაფად ჩამოართვა სიტყვა მღვდელმა, — თქვენ
ალბად დიდი მთავრის, ნიკოლოზის მიხეილისძის შესახებ ბრძანებთ.
რომა სემენარიელმა თავი რომ არ დაუკრა, — ჩენ ხომ მონები არ
ვართო, — დიახ, აი, სწორედ, მეც მანდა ვარ.. მაშ მე მართალი კუ-
ფილვარ, როცა ვაშბობ, რომ ეს სასწავლებელი ან მითლად უნდა დაიხუროს,
ან თუ დახურვა არ შეიძლება, სადმე შიდა რუსეთში ვადაიტანონ, რომ..

ჩუდეციმ უთანხმოების ნიშნად თავი გაიქნია.

— არა, ევ სულ არ შეიძლება. ეს სემენარია ქართველ სამღვდელო-
ების ხარჯით არის აშენებული და ქართველი სამღვდელოება ინახავს.

— მაშინ ის მაინც უნდა განხორციელდეს, რაც წინად იყო განხრა-
ხული, — ახალი ახრი დაურთო მღვდელმა და თვალები ისევ აახამხამა.

— ესე იყი, რუსეთიდან უნდა იქნას მთელი კადრი გამოწყეული,
რომ ეს თავმოყრილი მთლიანი ძალა „ტუშემცების“ ახალგაზრდობისა
შესამჩნევად ვაითქმითოს და შესუსტდეს.

— ჰო, ეს უკიე გათვალისწინებულია და მალე ამ შეცვალულ ატ-მოსფეროს გაწმენდას ქართველ მასწავლებელთა გაფანტურით დავიწყებთ, — სოქვა დეკანოზმა ჩუღეციმ და მლელელს საჭირო უშემდება... უკიე დეკანოზმა ჩუღეციმ და მლელელს საჭირო უშემდება...

— დიახ, მაგაშედაც უნდა მომებსენებინა, — უკიე დეკანოზმა მიაგება მლელელმა სიტყვა. — მიუხედავათ იმისა, რომ მასწავლებლებს ქართულად ლაპარაკი აქრძალული აქვთ, მე ხშირად ვხედავ, რომ ისინი შეგირდებს მაინც ქართულად ელაპარაკებიან და...

ამ დროს კარები დააკაკუნეს და მლედელმა სიტყვა შესწყვეიტა.

— ნუ!.. — გამოეხმარუა ჩუღეციმ ხმა მალლა. ეს „ნუ“ შემოპატიების ნებართვას ნიშნავდა და მალე კარი გილო და მისმა ცოლის დამ, უკატერინე მანქელიერ სერიოზული სახით ჩექტორს წერილი გაუწოდა და მოახსენა:

— „პისმით ოტ ევო პრეოსეიოშჩენსტვა“

ჩუღეცის სახეზე აღმურმა გადაქერა. მლედელმა კი უკან გამობრუნებულ ქალს კარებამდე თვალი აღმაცერად გამოიყოლა და შემდეგ, — როცა ჩუღეცის სახის გამომეტყველებას მოქერა თვალი, — ირონიულმა ლიმილმა იმისაც სახეზე წუთით გადაურბინა და მელასავით გაინაბა.

ჩუღეცი მოთლად იჯგავრა. სავარძელშე მოუსვენრად შეიჩხა, შებლზე რამდენჯერმე ხელი გადაისვა, წერილი ისევ კონვერტში ჩადო და უარესად მოლუშულმა შეწყვეტილი ლაპარაკი უკიე აღმფოთებული კილოთი განაგრძო.

— ვმ, მათ ძალურ ენას მალე მოთლად დაევალებ. მე უუჩერებ სეირს....

დეკანოზმა ერთ დავილას ელარ მოისვენა, სავარძლიდან წიმოვარდა და კუთხიდან კუთხემდე ბოლოთის ცემა დაიწყო.

— სემენარიის კედლებ შორის მათ ყეფის მოთლად ჩავალჩობ და დეკანოზ ჩუღეცის სახელს სამუდამოდ დავახსომებ!

— „გველნო ნაშობნო იქედნეთანო! ეითარმე განერჩეთ სასჯელსა მას-გვისისასა!“ აღმფოთებით წამოიძხა დეკანოზმა და კუთხიდან კუთხემდე სიარულს უფრო უმატა.

მლედელი კი იჯდა თავის აღვილას და აღარ იცოდა, როგორ მოქ-ცეულიყო. მისითანა აღლვებული კილოთი ჩექტორს მასთან არასოდეს არ ულაპარაკია, სემენარიის მოუსვენარი სულისკვეთების შესახებ მას ბევრი რამ დაუსმენია, მაგრამ დღეს სულ სხეანაირად აბობოქრდა დეკანოზი.

ჩუღეცის საღარბაზო ოთახიდან ფეხის მსუბუქი ბაჟუნი და ფარისის შრიალი შემოესმა.

— Отец Павел, лакей его преосвященства отвела ждет. —

კარებს უკიე და მოისმა ჩუღეცის მეულლის მოუთმენარი ხმა და უფრო თავზარი დაეცა.

— ახ, მართლა. — წამოიძხა მან და ბოროტებისაგან აღლვრეული თვალებით მლედელს წუთით შეხედა. მლედელი წამოლგა და რაღაც დამნაშავის სახით თვალები უარესად აახამხამა.

— მაშ ასე, — სოქევა ჩუდეცემ და მღვდლის ახლო ასური სახით გაჩერდა, რომ მას უკანასკნელი სიტყვა მოჩილებით უნდა მოესმინა და უსიტყვოდ გასულიყო.

თქვენ, თქვენი საქმე განაგრძეთ... მეტადრე იმ ცეცულების უკავშირელ მასწავლებლებს თვალი არ მოაშოროთ, და მე კი თქვენ მალე დაგაჯრებთ, რომ მათ კუვშინსკის დროს სანატრელად გადაუძლი.

წილაპარაკა ჩუდეცემ და სანამ მღვდელი აღგილიდან დაიძერებოდა, კარი გააღო და უწინ თვითონ გაეიღო.

მეორე ოთახში კი დეკანოზ ჩუდეცეის ცოლი, მარიამი, და მისი დაი, მანეულები რაღაც აზრი ჩუდებლებდნენ. როცა რექტორი იმ ოთახში შეეიღა, მანეულებმ მეორე ოთახს მიაშურა და კარი მაგრა გაიკეტა.

ნაზი მარიამი დელფინალივით მოკედლულებულიყო და მღელვარებით შექ შეუენებულ სახეზე უხვად „პედრი“ შეეყარა. რექტორი რომ შევიდა, მარიამი სარკეს ჩამოშორდა და კარგას საქმიანი სახით დასწერდა. თან სინათლისაკენ შეტრიალდა და ათრთოლებული ხელით ნემსის აგება დაიწყო.

— ვე! სატანას ქმნილებავ, ჯოჯოხეთის წიაღაიდან შობილო, — გესლიანათ გაიღლო გულში ჩუდეცემ, კბილები დააკრაჭუნა და წუთით ცოლს უსიტყვოდ დაუწიო ცქერა. თვალებიდან ცეცხლი ეკვესებოდა. გული ისე უცემდა, რომ ანაფორის ცალი კალთა თღნავ ერჩეოდა. ქალმა საშინელი უხერხულობა ივრძნო და ხელები უფრო სწრაფად დაფარურა.

— მისი მაღალეურობეევა სადილად გველის. — ქარის ზეზუნივით აღმოხდა ბოლმა დაკავებულ დეკანოზს და პატარა პაუზის შემდევ ღამის სიბნელეში მობუტბუტე ნავადის მსგავსად ხმა დაბლა გაურკვევლად ჩაილაპარაკა:

— მე... მე ეერ წამოვალ... საჩქარო საქმე მაქვს, შენ წადი!

დეკანოზმა ფოცხვერივით ამოიქმინა და გულს მოწიოლილი შხამი ურთხილად, მაგრამ მანც გადმოანთხია:

— შენ უნდა წახვიდე, ის შენ გელის... და უჩემოდ სადილი ალბათ უფრო გაუგემრიელდება!...

ქალი შეირჩა, ამრიზა, განრისმდა და ქმარს სიტყვა ამაყად შეუბრუნა:

— პაველ, ეს რა ამბავია? შეურაცყოფას მაყენებ? მე! მე?

ქალმა იცოდა საიდან უნდა მოევლო და ზეზე წამოიწია...

— მაშ იცოდე, პაველ! მე იქ არამც თუ არასოდეს აღარ წავალ, არამედ როცა ის თვითონ აქ მობრძანდება. თვალითაც აღარ დავენახვები და პასუხი შენ ვაეცი, ვემის?

ქალი უქმები სახით კარებისაკენ კაბის შრიალით ამაყად გაემართა, სურნელება უხვად დასტოვა და კარი გაირახუნა.

შეურთა დეკანოზი... წყნარი მარიამისაგან ამისთანა ფანცს არასოდეს არ მოელოდა და მწარედ შეფიქრიანდა. მაცდური დედაკაცისაგან ეს

ამბავი იდეილი მოსალოდნელი იყო და თუ მართლა ასე მზრეულია, მისგანვე დაწინაურებული დეკანოზი, ძლევამოსილი ეგმაზრებოსაცან, ხელადე პირუელმა დამიარხებოდა და მიწასთან გასწორდებოდა.

ჩუდეცის ერთ წამს კარიერის დამსრბა თვალშინ უნიმიტეს და ფანჯარიდან მოუსცენჩად გაღმოინედა: პირები მოგეხმარება

ეგზარხოსის კარეტა სადარბაზო კარებთან იდგა და ცხრათვალა-მხევე შეად ბზინავდა. თამამი ცხენები მიწაზე ტორს სცუმდნენ და ჩასუქებული მეტელე საღაევებს ძლიერ უკერდა. ჩუდეცის გულში შიში, სიბრაზე და შურისძიება წუთით გამოსავალს ეძებდნენ და აბობოქჩე-ბულ დეკანოზს ხან სიცხე და ხან სიცვე უჩხენდა ტანში.

— თუ.. ჩა მართალი იყო კალიგულა, როცა მან რომაელთათვის ერთი თავის გამობმა ინატრა, რომ ხმლის სწრაფი დაკვრით უცებ გაენადგურებინა. რომაელებს კი არა, მთელ კაცობრიობას უნდა ებას ეს ერთი თავი, რომ სამუდამოდ მოისპოს ის ცვალებაზი, ბოროტი ქმნილება, რომელსაც ადამიანი ეწოდება...

ამას ნატრობდა ფანჯარისთან მიმდგრად „ქრისტეს მოცეკვული“ კაცმიოყვარების მლალადებელი დეკანოზი ჩუდეცი და თან სახიდან სიმწრის ოფლს იქმნდდა.

რამდენიმე წამის შემდეგ მოწოდილი გრძნობათა ჭიდილი უკვე დამ-თავერდა: კარიერის დამხობის შიშმა ყოველივე ბრძნელ მოსაზრებას აჯობა და დეკანოზი მთლად მოლბა, მოდუნდა. რამდენიმე ნაბიჯი კარებისაკენ გადადგა და შედამ შეაგმა და რისიანმა კარებს უკან გაბზარული ხმით ძლიერ წარმოსთქვა:

— „პოსლუშია, მანია!...

კარებს იქიდან ხმა არაერთ გასცა. დეკანოზმა ჩაახველა, ხმას ცოტა ღონე მისცა და ხელმორედ მოკრძალებით შესძახა:

— მარუსენკა... მანია, გეუურება?

მანიამ იკოდა ეს ჩახლეჩილი ხმა რასაც ნიშნავდა და ქედიალლურად შეუძახა:

— ნე?!

დეკანოზს იმედი მიეცა, ცოლის კილო შერბილებულად ეწვენა, კარი მაინც გაუბედავად შეაღო და შეეიდა. მანია ხავერდის სავარეცელშია იჯდა და თვალებშე ხელი ჩამოეფარებინა.

— მანიჩა, ყური მიგდე, რად მიჯვარდები? მე შენ სიმართლე გითხარი....

ქალი არ განძრეულა და კრინტი არ დაუძრავს.

— შენ ლამაზი ხარ, — განაგრძო შეუპოვარი კოლოთი დეკანოზმა და მიუასლოვდა, — როგორც ყველის, იმასაც ისე მოსწონხარ. მე მარტო ეს კოქვი და რა არის აქ გასაჯავრებელი? ადექი, ადე! დროზე მოექნედე, უხერხულია კარეტა რომ ამდენხანს იცდის. —

ქოლს არშიის გულის პირი აუთოროლდა და კამებიც ცეკვები მარ-
გალიტიეთ ზედ დაეცეურა. ეს უკვე გამარჯვების ცრემლი იყო და ქა-
ლი ცრემლით ზეიმობდა.

— შენ ყოველთვის ეგრე იცი... უსამართლოდ შესჭირა — პოლუკდა
ქალს გული და მხრები უარესად შეითხოლოა. დეკანოზმა ბანჯველია-
ნი ხელი სახეზე მიფარებულ ცოლის ხელს წაავლო და სიბრაზით ისევ
გააერეოლა: ეგზარხოსის მიერ ნიჩუქარი ძეირფასი ოქროს სამაჯური
გველიეთ ცივად მოხედა და ეჭვებმა მთელ სხეულში ცეცხლიეთ და-
ურბინა.

— ო ო, საზიზლარო დიაცო... ის ძლიერია, მდიდარი და, აი რით
გვიძლიას ენებით ანთებული უწმინდესი მღვდელმთავარი.

როდემდის მოვითმინო, როდემდის?! — ბობოქრობდა ჩუდეცკის
შინაგანი შმა...

— მანია, ჩქარა, ჩქარა წავიდეთ, არ ეწყინოს და არ განრისხდეს, —
უცნაური ხმით ჩისძახა დეკანოზმა და გაშმავებით ისევ მეორე ოთახში
გავარდა. ცოტა ხნის შემდეგ ეგზარხოსის კარეტა ოქრომჭედლების ჭუ-
ჩით ეგზარხოსისაკენ მიაქროლებდა.

ჩუდეცკი კარეტის რბილ მისაყრდენს ავალმყოფიერი მიპყუდებოდა
და ქუთუთოებდახრილი მელოდიარე სახით მუხლებზე იცქირებოდა.

ლურჯი ატლასის კაბით მოჩაოდეს მარიამი მეტად მშეენოდა: და-
კულულებული თმები აქა-იქ ვაშის ნორჩი კაცებიერი ეკიდა და მოკრა-
ლებული თვალებით იცნებას ეთამაშებოდა.

ნახევ აბრეშუმის მსგავსი გრძელი ფათუკა წვერები... გალევივებულ
ცომიერი რბილი, ნაზკანიანი ხელები... გაშმავებული ალერსი და ლემე-
ლივით ცხელი სხეული... ქალს ერთანტელი უალიდა, კარეტის რყევას
მსუბუქად ჰყვებოდა და თვალებიდან კი ეშმაკურ ლიმილს აფრქვევდა.
მიახლოების დროს ერთ-ერთ მოსახვეში დეკანოზი ძალდატანებით
გასწორდა და ფანჯრიდან გაღმოიხვდა:

მარცხნა ტროტუარზე ორმა სემენარიელმა ლიმილით ჩაუარა. დე-
კანოზის დანახვაზე თავები მათ ეშმაკურად გაიქნიეს.

— ოო, წყეულებო... თქვენთვის მაინც მოვიცლი და თქვენზე ვიჟ-
რი ჯავრს.. — ბოროტებით გაიფიქრა მან და უკვე გაჩერებულ კარე-
ტიდან გაღმოსასელელად წამოიწია.

გოლა ჩიტაძის გამოსიცხვა

ბურსაკების ხმის ამილლებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რეს მო-
ხელეთა მაღალ სფეროში.

ისინი, რასაცირეველია, დარწმუნებულები იყვნენ, რომ სემენარიე-
ლები მარტო არ მოქმედებონენ, არამედ მათ ზურგს ქართველი ინტე-
ლიგენცია უმაგრებდა.

ამიტომ ჩეხი ჩამქრალი კერის ორად-ორი ნაკერაჩხალი, რომელ-
აც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ქართული საალ-

კილმამულო ბანკის სახელი ეწოდებოდა — რას მოხელეებს ჭირობით სძაგლათ.

თეოტომპურობელობის ერთგულნი კბილებს აკრაქტულებული უფრო მაღალი მიმებოდნენ.

სემენარიის აღმინისტრაციის ეს ორი დაწესებულება გაუდესავ ლურჯისავით ყველზე ადგათ, ქართველ მასწავლებლებს დაგეშილნი თვალყურს ადეკვებდნენ, რომ ბანკის, ან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებების კრებებზე თვალი მოეკრათ და შემდეგ ანგარიში გაესწორებინათ.

მაგრამ თუ ამ კრებებზე რომელიმე სემენარიელს მოკერავდნენ თვალს, იმის წირვა უკვე გამოსული იყო, სემენარიის უნდა სამუდაბოდ გამოსთხოვებოდა.

სწორედ ასე მოუკიდა ცნობისმოყვარე, ქვეყნის საერთო საქმით გატაცებულ გოლა ჩიტაძეს. სემენარიელთა ამბოხების ერთი კეირის შემდეგ ბანკის საზოგადო კრებაზე სკოლების სტაპენდიების საკითხი იყო დასმული და, რასაცირკელია, გოლაც დაესწრო. სალამოზე ჩუღეციმე ეს ამბავი უკვე იყოდა და, მომავალ პედაგოგიურ საბჭოს კრების ცალკე საკითხად მისი გამორიცხვის საკითხიც მიუმატა. მაგრამ გოლამ დასწრო, პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე სემენარიიდან წასულის განცხადება შეიტანა და ამოთვალისწუნებულ სასწავლებელს ჰქა მიაგდო.

ეს სწორედ დროულიც იყო. გოლა დღითი-დღე ჩუღუნდებოდა: რომ რევოლუციურ საქმიანობას დიდი დრო და ბეჯითობა სცირდებოდა.

ამდამად რუსეთიდან მოროზოვის ქარხნის შუშების გამარჯვების ამბავიც მოვიდა და მოძრაობით გატაცებულ ყმაშვილს ფრთხები იცხა. გოლა ხედავდა, რომ საქმე აქტიურ შუშაობაზე გადასვალს მოითხოვდა, მით უმეტეს, რომ ჩემი ქვეყნის ამოძრავებისათვის ორიოდ გამოვდებული სტაცენტი უკვე საქმარისი აჩ იყო და ინტელიგენცია კი მხოლოდ ფრანგოლოგით და ლამაზი უქსტებით ქაყაფილდებოდა.

— ეხ, ჩემო ძმაო, ჩემინი ნასწავლი ხალხი მარტო ბაქი-ბუქი და ცარიელი სიტყვა ხართ. თქვენ, შეილოსან, ჩიჩიაც გინდათ და ბაბაც-თქვენ ვერც ჩინოვნებოდა დაგრიმიათ და თან კითომ ხალხის გულშემატეირობასაც იჩემებთ, მაგრამ ახაյი ეს ორი საქმე ერთად ვერ მოხერხდება, — რასაცირკელია, ქარიერა ქვეყანას გირჩევნიათ.

ასე მწარედ წაულაპარაკა მიხა ჩოდრიშეილმა ერთ-ერთ უკანასკნელ კრებაზე გოლა ჩიტაძეს და ახაյი ეს თქმული გოლის აზრს და მის აწენას სრულიად ეთანმიმებოდა, მას სემენარია მსუბუქი გულით დასტოვა, ახლად-დაფრანგილ ბაზტავით დამოუკიდებლობის სიხარულით აღიმურვა და მოელ ქალაქს მოედო.

გოლამ დათხოვნის დღიდანვე საიუნიტო სასწავლებლის და საოსტატო სემენარიის რამდენიმე მოწაფე ინახულა, თავისი გადაწყვეტილება და მოსკოვის საინტრიესო ამბავი ამცნო და აკრძალული წიგნებიც შეავრა.

გოლამ მომავალ ქრებისათვის მათ გამისაზღვრული წაკითხვების და-
მუშავება დაავალა, დანარჩენი წიგნები ისევ გააძვია, ქლლიარი მოიდო
და ოთხის ნახევრისათვის კათოლიკთა ეკლესიისაკენ ფრეილუფლები

ეკლესიის ეზოში წამოსკუპებულ პატია დარჩევისას მას ჭრას-
ლალიაშეილი უცდიდა. ამხანავებმა ერთმანეთს შესცინეს.

— შენდობა, მამაო, — წაუჟუშრა სიცილით გოლამ, შესცლისთანავე.

— ვაკურობოს, შვილო, — ხუმრიობით პირჯვარი გადასწერა ით-
სტმა და ორივე უძვეშავებო ტახტზე ჩამოსხდნენ.

— აი, შე სახე-ძალლო, გიხარიან ვანა, რომ შენ მღედლობიდან თა-
ვი დააძრუინე და ჩვენც გადაბირების გზაზე დაგვაყენე? — უთხრა
იმსებმა სიცილით.

— ჰა, ბიჭო, ხომ არ ნანობ? — ჩაეკითხა გოლა და იმსებს თვალებ-
ში შეხედა.

— არა, კაცო, — სწრაფად მიავება სიტყვა იმსებმა, — ვნანობ კი
არა, ნეტავი თავიდანვე ამ აზრზე ვყოფილიყავ დამდგარი, — ქვეყანა-
ახლა სულ სხვანაირად მეჩვენება.

— არა, თუ?! — გახარებული კილოთი ჩაეკითხა გოლა და გახვეული-
წიგნები გაუწოდა. ამა ახლა ესენი წაიკითხე. ოლონდ იყი, ბიჭო, მანდ ჩერ-
ნიშვესკის რომანია, ევ ჯერ პორფილეს გადაეცი — დავპირდი, მმ დღე-
ებში მოვაწოდებ — მეოქი და დანარჩენი შენ დაიტოვე. სხვათა შორის, მანდ
“კოლოფოლის” უკანასკნელი ნომერია, საღაც ტიხომიროვის და დეიჩის
ფრიიად საინტერესო კამათია მოთავსებული. ოლონდ ფრთხილად იყავით,
ეს შესანიშნავი მასალა ხელში არავის ჩაუგდო თორემ ხომ იყი, დაგუ-
შილი ძალლებივით მაგისთანა რამებს სუნით ეძებენ.

— ეხ, ნეტავი შენ, რომ მავ საპურიობილეს თავი დაალწიო, — ამოთხვრით
უთხრა იმსებმა, წიგნები ჩამოართვა და პალტოს უბეში დამალა.

— ბრალი ჩევნი, თორემ შენ რა გიჭირს, ეხლა თავისუფალი მოქა-
ლაქე ხარ და რასაც გინდა, იმას გააკეთებ, იქვნარევი ლიმილით განავრ-
ძო იმსებმა.

— შე დალოცვილო, მაგას რაღა ნატერა უნდა? ადექი და თქვენც
ავრე მოიქეცით.

— არა, ძმაო მაგისთანა ნაბიჯის გადადგმას ერთგვარი ხელის შემ-
წყობი მდგომარეობა და გაბედულება აიძულებს, — უკვე სერიოზული
კილოთი უთხრა იმსებმა.

— ნე გეშინიან, იმსებ, — მხარზე ხელის დაკვერით ჩამოართვა
სიტყვა გოლამ, მე გხედავ, რომ ქვეყანა ისეთი გზით მიიმართება, რომ
ევ მდგომარეობა თქვენც ალბათ მალე წამოგეწევათ და თქვენ უფრო
გაბედულები შეიქნებით...

გოლას სიტყვებმა იმსებს მზის ანარეკლივით გული მქრთალიდ გა-
უშუქა, მავრამ სითბო კი ვერ აერთიობინა. იმსები ზეზე წამოდგა.

— მაშ ადრე უნდა წაეიდე, პორფილე ეინახულო, თორემ როდისლა-
გადავცემ ამ წიგნებს?

— პორფილეს რა ნახვა უნდა, ბიჭო? საღამოს მეცაონეობის ურთად არ იქნებით?

— ჰო, მართლა, დამაკიწყდა, რომ მეთქვა... ტრატორულა: გუშინ საავადმყოფოში მოათავსეს. ფეხები ძლიერ ასტავდო და: საშიში კუ საღამოს შემიშვან, რომ ეს მძიმე ბარგი მოვაშორო, წიგნი უფრო ძნელი დასამალია, ვიდრე ბროშურები და კურნალები.

— ჰო, კარგია! საწყალი ბიჭი, პატარას დაისვენებს და ამგვარ წიგნების წაკითხვას იქ უფრო მოახერხებს, — სოქვა გოლამ და ისიც ზეზე წამოდგა.

— მართლა, ბიჭო, ჩემ შემდეგ რაიმე ცვლილებას ხომ არ იტუობთ! ჩენმა პროტესტმა რა ნაყოფი გამოიღო?

იოსებს ირონიულად გაელიმა, მან ახალ ხალათზე ხელი წაიკლო და უკმაყოფილო კილოთი უთხრა:

— აი, ხედავ, ხალათები დაგვირიგეს, შექრისა და ჩიის ნორმა აღადგინეს, პურიც, როგორც ბულკი, ისეთი თეთრი მოვეიგდეს, მავრამ თანაც კულში თოკი ისე მავრა ჩაგვიკირეს, რომ ჩენი მთავარი მოთხოვნილების შესახებ კრინტს ვიღა დასძრავს?

— მაშ ქართული ენის აღდგენის შესახებ არაფერი ისმის?

— რას ლაპარაკონ? შენს შემდეგ უფრო ისე გაცოდიანდნენ, რომ მჟად არიან ოდნავ ხმის ამოლებაზე ყალში ვეეძგერონ და გამოგვლად რონ.

— ეგ არაფერია. რუსები ამბობენ: „ჩემ ხუდი ტიმ ლუჩშე“—ო... გოლამ ეს ისეთი რწმენით და ისე მტკიცეთ წარმოსთქვა, რომ იოსებს თვალებში შეუქი შეუთამაშდა.

— მართლა ეგრე ყოფილა, — უფრო ხალისიანად გამოეპასუხა იოსები.

— გუშინ ხმა გავარდა, რომ ყველა ორატორებს, რომელნიც კი ჩუდეცის წინ წარსდგნენ, ითხოვენო. მა სმებით ბიჭები ისეთი გაალმასებულნი იყენენ, რომ ყველა კბილების კრატუნით გაიძახოდა:

— დედას უტირებთ, ერთი დაგვითხოვონ და მერე ჩენ ვიციოთ.

— აი, ყოჩალ, ბურსაკებო!! — გახარებით წარმოსთქვა გოლამ და მერე კილოს ისევ დაუშდაბლა:

— ფრთხილად იყავით... წიგნებს ხელში ნუ ჩაუგდებთ და ჩეუნ მაინც ჩეენსას უნდა ვეცადოთ... ბრძოლა ბოლომდე უნდა განეაგრძოთ. ორივე კარებისაკენ გაემართა.

— იოსებ, მართლა, ოთხშაბათს კრება ისევ კუკიაში გვექნება და ბიჭებს უთხარი არ დაიგვიანონ.

— აბა, მაშ ყოჩალად იყავით. პორფილეს უთხარი, ფეხები რა ჩემი ფეხებია, თუ მაგოდენა ვაკეაცს დაგვაბინისთქო, — მა სიტყვებით ამხანგები ეზოს კარს მიუახლოვდნენ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და სხვადასხვა გზით გაეშურნენ.

(გაგრძელება ცემლებ ნომერში)



ვლ. უგილაშვილი

მეგრული ნანა

სისო! ტურა მოდის, ნანა,
მოალაჯებს ტყიღან ფათვი,
მელიებიც გზაზე ჩანან
აზუზუნდნენ ხმები მათი,
სისო! ტურა მოდის, ნანა.

დაიძინე მახარია,
ჩა ხანია, რომ შებინდდა,
გარეთ ქარის ჯახანია,
ო, მეც ძლიერ შემეშინდა,
სისო! ტურა მოდის, ნანა.

აბარჩხალდი დილით ისევ,
გაახილე ქორფა თვალი,
მშეც იფეთქებს, მოგიზგიზე
ლაგვეფრევეა მხრებზე ლალი,
აბარჩხალდი დილით, ნანა.

გამეზარდე მერე ვაერ,
აგვამლერე, გაგვაზარდე,
იყვავილე ჩვენს დიდ ბალში,
ჩვენც ვარდები ლაგვაყარდე,
გამეზარდე ვაერ, ნანა.

ახლა დატები მახარია,
რახანია, რომ შებინდდა,
გარეთ ქარის ჯახანია,
დაიძინე, თორებ მინდვრად
სისო! ტურა მოდის, ნანა.



ლალო ასათიანი

გევანენოს სამარბლოში

როცა ველებზე დაბრძანდება წითლად დაისი
მიღის ქალწული მის საფლავთან ნატვრის თვალებით,
მღერის ნაჩნარად სიმღერების გაბრწყინვალებით...
ირგვლივ ფერადი ჟუვავილებით ცეკვავს მაისი.
ულამაზესი, უნაზესი ხმები გაისმის,
დიდი პოეტის უკვდავებას უმღერს ყოველი,
დუღუნებს ღნეპრი-ბობოქარი, დაუღვრომელი,
იმედიანი და ცოცხალი, როგორც გაისი.
ამოდის მოვარე პატარძალის ტურფა მშვენების,
მღერის ქალწული განაბული ხმავარინდებით
და სცვივა ციდან ვარსკვლავების მარგალიტები.
ქალწულთან ერთად იმღერიან ერცყლი ველები,
რომ მარადია დიდებული მეოსნის სახელი —
მშვენიერების უკვდავების გამომსაწველი.

მისახა ფარალი ახალი გვ. (საბუძი)

კუპინის გარდაცვალებაზე

ძილვამქრთალმა ჩემს გულს ლაშით მიემართე და ვებუტბუტე=
ღმულო! გულო! საიდუმლო პატიოსან თვალთა ბუდე,

სოჭევი, რა მოხდა რომ ბულბულმა მიატოვა მინდობ-ველი,
ან ზორაყი რათ დადუმდა მოეწე და მჟერმერბელი?

რად შეუწყდა გზა ტებილ სიტყვას, მონარნარე პანგთან ერთად,
ან ოცნების იქვრივისი ვისთან არის, რად განერდა?

გაზაფხული შემოვიდა... მცენარეთა ზღვა ქალწული
კილულობს და ყელს იღერებს, მზის ალერსით დაქანცული

ნაყადულის ნაპირები ლურჯ იებით შეიმოსა,
ცალკლოვანი ვარდის ყლორტი საშიკოდ იწვევს მეოსანს.

ველი მწვანით მოიქარება, ტებილ სურვილებს პფანტავს კრიალებით
და ელვარებს ძვირფას თვლებით, ვით უმანქო პატარძალი.

შეა ბალში თაემომწონედ ძაბართულა მთელი ტანით
ჭავალების ჯილაღმული გადაშლილი ხე — სულთანი.

ზამბახი და სუსამბარი მოსდებია ირგვლივ მდელოს
და ყაყაჩოს თასებიდან სეამენ იმის სადღეგრძელოს.

სე კოხტად გადიპენტა იასამნის ბუჩქეხილი,
რომ ნარგიზი განცვიფრებით დარჩა თვალებ-გახელილი.

თვით ბულბულიც გაზაფხულის ჭარბ ავზნებას ეელარ უძლებს,
ტებილ ნისკარტით ნაზად აწყობს სტუმრებისთვის ვარდის ფურცლებს—

ცვარნაჯრები ცის ლრუბელი ნამს უგზავნის ცვავილნარებს,
ზეფირი კი სურნელებას ეზიდება ყოველმხარეს.

ისინა, ფრთისანთ გუნდი ავარდა და ხმა დახლართა:
„ო, მწვანეთის პატარძალო გადაიძრე მიწის კალთა!“

ცველა ერთურთს ეცილება, ჰემნას სიკეთე საზრახელი.
რომ ბუნების გაშლილ ბაზარს მიეგებოს სავსე ხელით.

რიგი აფენს სილამაზეს, — რაყიფების გულის მკოდავს, —
რიგი მლერის, რიგი ოხრავს, რიგი ტრუობის ლექსებს ბოლაფს—

ო, შენს გარდა, გულო ჩემო, ყველა ლალობს მხიარულად,
კაეშანი აღარია აქვთ ერთმანეთის ზიარულად.

ამ საერთო აღტაცების შენ არა ხარ მონაწილე! პირდაპირი
ძილისაგან გაერკვიყ! თვალებს ლიბრი მოაცილე!

ნუთუ გულის შინასკენელში არ გიღვიგის ნატყაა სულის,
არ გიზიდავს დიდების ხმა და ოცნება სიყვარულის?

შენ ხომ ისევ ის გული ხარ, კინც კიდოდა ფიქრთა ზღვაში,
კინც როკაედა ზღვის ტალღებზე ძვირფასეულ ჩითმის ტაშით.

აშენგონდა მის ფსკერიდან მარგალიტი ფენა-ფენად
ლამაზმანი ხათუნების ბროლის ყელის დასამშვენად.

მაშ საიდან ჭარმიოშვა შენი სცდა, შენი ურვა,
კირისუფალს დაემსგაესე, თითქოს გდევდეს წყელი-კრულეა!“

გულმა ასე მიპასუხა: გოხოვ დამტოვო ჩემთვის მარტო,
შეყვდროებას ნუ მიშეფოთებ, მსურს ვიტირო, მსურს ვიდარდო.

მე რომ მსგავსად ფარეანასი, არ მესმიდეს ის ცის ძალი,
რომ ზაფხულის სისს მოსდევს შემოდგომის ქარიშხალი,—

მყის სიტყვის ხმალს შეეირტყადი, დავიწყებდი ერთზე მღერას
და დიდების მოსახვეჭად გაექცელავდი ლექსის შერანს.

მაგრამ ვიცი, თუ რამდენად მუხთალია ეს სოფელი,
ჩემი ყოფის დასასრული, სასტიკი და ულმობელი.

გიგს ვუწოდებ, ჩიტს, რომელმაც დაალწია თავი მახეს
და საკენკის ასაკრებად ისევ იქით მიცახცახებს.

იცოდე რომ დიდების ხმა, ასე რომ ჰქებს ათასუერად,
სხვა რა არის, თუ არ მხოლოდ ცარიელი ხმა და ბგერა!

ოცნებაზე ჩქამს ნუ დასძრავ, კარგად ვიცნობ ხალხს მედროვეს,
პოეზიის პირმშო შეიღებს, თუ რა ხეედრით აჯილდოვებს.

ამ ქეეყნისა აღარი ხარ? არაფერი შეეიტყვია?

პოეზიის თავი არ გვყავს, გულს ახალეს ცხელი ტყვია.

ვინ არ იცნობს პუშკინს, პუშკინს ვინ არ აქებს არ ადიდებს,
მოლივლივე მისი ლექსი მოფენილა კიდით-კიდეს.

თვით ქალალდასაც უხაროდა, დაეკარგა სპეტაკობა,
ოლონდ პუშკინს აღებეჭდა ზედ თავისი სიტყვის წყობა.

შისი სიტყვის ცისარტყელა ევლებოდა მოებს და სერებს,
ფარშეევანგის ბოლოსავით გამოსცემდა ნაირფერებს.

ლომონოსოეს უთხრეს: შენ ხარ საღარბაზოდ ლექსთა ბაში!
პუშკინი კი საბოლოოდ მტკიცედ დარჩა ამ დარბაზში.

დერეავინშა პოეზიის სასახლეში ჰქონა,
 მაგრამ ყველას პირველობა კელაც პუშკინშა აერძნობინა.

 კარაშინიშა ცოდნით ამოაესო შეის სამიისი, ურარაცები
 პუშკინშა კი მთლად ძირამდე გამოსცალა კიქა შისი მიმდინარეთისა
 ივი ყველგან განთქმულია, მისი ქება აღწევს კამდე,
 როგორც რუსთა მფლობელობა სათათრეთით ჩინეთამდე.
 როგორც დიად აღმოსავლეთს სწამს ნაშეგალი ნორჩი მთვარე,
 ისე ვერეტდით ჩრდილოს ცახე ჩვენც პუშკინის კევიან თვალებს—
 შეიდ ცასა და ოთხ სტიქიის აზ ჰყოლია ჯერედ შეილი —
 პუშკინივით გონიერი, მაღლიანი, დალოცვილი.
 ეხლა მითხარ, ის შშობელი ჩაითვლება კაცურ კაცად,
 ვინც გასწირა გენიოსი ასე უღვთოდ, ასე მკაცრად!
 სასიკედილო ისარი ჰერეს მის ძარღვიან ჯეელ სხეულს,
 და გრძლეშვილად დაპუზურებენ უმანქო სისხლს ძირს დანთხეულს.
 შევ ღრუბელმა სეტყვა შეპერა, მოაფინა სწრაფად ჩრდილო,
 და სიცოცხლის ხის ნაყოფი ჩამოაგდო სასიკედილოდ.
 სიკედილეთის ქარაშოტმა შეარყია ირგვლივ მთანი,
 ჩაგერიო და ჩაანაელა მისი სულის ჩირალდანი.
 ხანდაზმულმა მეწალეოტემ მოიქნია ბასრი ცული,
 ძირიანად გადასხიპა ვარდი ტორზე ამოსული.
 მისი თავი — საგანმური — ბრძნულ სიტყვებს რომ სთლიდა, ჰკერეთდა,
 შრარე ბედის განაჩენით გველის ბუდეთ გადაკეთდა.
 მისი გული — ვარდის ბუტყო — აქეთიქით სუნს რომ ჰფენდა,
 დაიფერფლა და ეხლა იქ ნარევალი აღმოცენდა.
 მისი სულის ჩიტუნია ამოფრინდა ყაფაზიდან.
 ხნიერმა და ახალგაზრდამ მწუხარება ერთად ზიდა.
 გმინავს მიწა რუსეთისა, ჰკოდებს ხმითა დამდალველით,
 — ჯალათების წმინდა მსხვერპლო, შენ დაეცი მტრების ხელით!
 შენ სიმართლის თილისმაც ვურ გიშეელა, ერ დავიხსნა
 და ჯადოქარ ბედისწერამ დაგატეხა მძიმე რისხეა.
 შენ დასტოვე მეგობრები, გემგზავრე სადღაც შორეთს.
 დაე, ზეცამ გიამბორის, შევყარო სულის სწორებს.
 ბაღნისარის შადრევენი შენი ვარდის წექტრის ნობათს
 გაზაფუხულის სიოთ გაფრქვევს უკვდავ ნეშტის შესამკობად.
 და ჭალარა კავკასია კრძალვითა და მოწიწებით
 მწირ საბუხის ლექსით ვლოვობს შენს უდროოდ დამიწებას.
 თარგმანი ი. გრიშაშვილისა...

აპატი პრეზი

მანონ ლესკო *

ჯარჩინებული ადამიანის მოგონიაბი

მანონმა მიამბო თუ როგორ დააბნია იგი ტიბერიის ნახეამ. „მახვილი გულში ნაელებად ამიმღვრევედა სისხლს, — დაუმატა მან — ოთახიდან გავედი, რაღაც ვეღარ შეესძლი მასთან დარჩენა“.

მანონმა ისიც მიამბო, თუ როგორ გაიგო ჩემი პარიზში ყოფნა, რა ცვლილება მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი გამოცდის შესახებ სორბონში. იგი მარწმუნებდა, პაექტობის დროს ისე აღლელდა, რომ ძლიეს შეკვედა ცრემლები, ოხერა და კენესა. დასასრულ მიამბო, როგორ გამოვიდა ყველაზე ბოლოს დარბაზიდან ჩათა დაუმატა თავისი მღელვარება. მხოლოდ თავისი გულისა და დაუძლეველი სურვილის კარნასით გამოსწია პირდაპირ სემენარიისაკენ, იმ გადაწყვეტილებით, რომ, თუ არ ვაპატივებდი, იქევ მომკედარიყო.

სად მოიძებნება ისეთი ბარბაროსი, რომლის გულსაც არ მოალბობს ესოდენ ცხოველი და ნაზი სინანული? მე ვკრძნობდი, რომ იმ წუთში მანონს შექმნირავდი საქრისტიანო სამყაროს ყველა ეპარქიას. ვკითხე — რა აზრისაა ჩეენი მომავალი ცხოვრების მოწყობის შესახებ. მან მიპასუხა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ სემინარიის დატოვება და სადმე საიმედო თავშესაფარის გამოძებნა. მე უყოყმანოდ დაევთანხმე. იგი ჩაჯდა თავის ეტლში, რათა ქეჩის მოსახვეში დამლოდებოდა. ერთი წამის შეძლებ მეც გავიპარე, გავიპარე ისე, რომ მექარეს არ შეუმჩნევიავარ. ეტლში ჩავუჯექი და ორძისაკენ გაესწიოთ. კვლავ ხიფთანში გამოვეწევ და დაშნა ჩამოვიყიდე, ფულს მანონი იხდიდა, რაღაც თან არაფერი მქონდა მან ნება არ მომცა ერთი წუთით მაინც შევსულიყავ ჩემს ოთახში ფულისათვის, ამასთან არც თუ ბევრი რამე ვამაჩნდა. ის კი ბ-ნ ბ-ს სიუხვით ისე გამდიდრებულიყო, რომ ეს ხარჯი შეეძლო არაფრად ჩაეგდო. ჩეენ დუქანშივე შეეთანხმდით, როგორ უნდა მოვქცეულიყავით.

ჩათა უფრო მეტად დამეფასებინა ის მსხვერპლი, რომელიც მან ჩემი გულისათვის გაიღო, მანონმა გადასწყვიტა ყოველგვარ ახსნა-განმარტების გარეშე გაეწყვიტა კავშირი ბ-სთან. „მე დავუტოვებ მთელ მოწყო-

* გავჩერება. დასაწყისი ის. „მათონი“ № 11

ბილებას,—ხოქვა მან, — იგი მას ეკუთვნის, მაგრამ სრული უფლება მაქვს თან წამოვიღო სამეცული და სამოციოდე ათასი ფრანგი, რამეციც თრი წლის განმავლობაში დავტებული მე არავითარი ვალდებულებების. მარა ვარ მასთან დაკავშირებული, — დაუმატა მან, — სრულისა და უწმისა შეგვიძლია დავრჩეთ პარიზში, დავიქირავებთ კარვ ბინას და ბედნიერად ვიცხოვებოთ".

მე შევნიშნე, რომ თუ ეს მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ჩემთვის მეტად გაძელული ნაბიჯი იქნება, რადგან ადრე თუ გვიან მიცნობენ, ამასთან მუდამ უბედურების მოლოდინში უნდა ყოფილიყავ, რაც მე ერთხელ უკვე გამოვცადე. მანონმა მაგრამობინა, რომ პარიზის დატვება ენანებოდა. მე იმ ზომამდე ვერიდებოდი მის წყენას, რომ არ ვიცი, რა საფრთხე უნდა ყოფილიყო, რომ ავრიდებოდი, ოღონდ მისთვის ყოველივე ამესტრულებინა. ბოლოს ჩენ მაინც მოვნახეთ გამოსავალი. დავიქირავებთ სახლს რომელიმე სოფელში, პარიზის მახლობლად, საიდანაც ადვილი იქნება ქალაქს ჩასვლა, როცა ამას საჭიროება და სურვილი მოითხოვდა. აეირჩიეთ შაიო, რომელიც სულ ახლოს მდებარეობდა. მანონი დაუყოვნებლივ დაბრუნდა შინ, ხოლო მე ტიულერის ბაღის კარებთან ველიდებოდი.

ერთი საათის შემდეგ მანონი დაბრუნდა დაქირავებული ეტლით. მოახლეს თანხლებით და რამდენიმე სკიურით, რომლებშიაც ტანისამოსი და ძეირფასი ნიეთები ეწყო.

მაღა მივაღწიეთ შაიოს. პირველი ლაშე სასტუმროში გავატარეთ, მეორე დღეს უნდა მოგვენახა სახლი, ან ყოველ შემთხვევაში მოხერხებული ბინა. მეორე დღეს მართლაც შევარჩიეთ ჩვენი გვემოვნების ბინა.

თავდაპირველად ჩემი ბედნიერება ურყევი მეგონა, მანონი ნამდვილი სინაზის და თავმდაბლობის განხორციელება იყო. იგი ისეთი მზრუნველობით მეპყრობოდა, რომ დამავიწყდა გადატანილი ტანჯვა. უკვე მოვიპოვეთ ორივემ მცირედი გამოცდილება და შეგვეძლო უკეთ აგვეწონ-დაგვეწონა ჩვენი ქონებრიერი მდგომარეობა, სამოცი ათასი ფრანგი, რაც ჩვენი ქონების საფუძველს შეადგენდა არ წარმოადგენდა ისეთ თანხას, რომელიც მთელს ჩენს სიცოცხლეში გვეყოფოდა. მეორეს მხრით, ჩენ არ ვიყავით განწყობილი იმისათვის, რომ ხარჯები შეგვემცირებინა. მანონის მთავარ სათნოებას, ისევე როვორც ჩემსას, არ შეადგენდა მომჟირნეობა. მე ასეთი გეგმა წარუდგინე: „სამოცი ათასი ფრანგი ჩვენ თ წელიწადს გვეყოფა. თუ შაიოში განვაგრძობთ ცხოვრებას, წელიწადში თრი ათასი ეკიუ საკმარისი იქნება. ჩენ ვიცხოვებოთ არც ისე მდიდრულად, უბრალოდ. ერთად-ერთი ჩვენი ზედმეტი ხარჯი იქნება ეტლი და თეატრი. ანგარიშიანად ვიცხოვებოთ. თქვენ თქერა გიყვართ, იქ ვიკლით კვირაში იმჯერ. ისე შევიზუდავთ თავს ბანქოს თამაშში, რომ არასოდეს არ პისტოლზე მეტს არ წავავებთ. შეუძლებელია, რომ ათი წლის განმავლობაში ჩემს ოჯახში რამე ცელილება არ მოხდეს,

მამაჩრდი ახალგაზრდა აღარ არის, ყველას ბოლო სიკუთხლია, სიკვ მოკუდება. მიცილებ მემკვიდრეობას და შიში უკან მოკიტოვებთ.

ასეთი გადაწყვეტილება არ იქნებოდა ჩემს ცხოვრებულ აუდილაშე უგუნდრი, რომ ჩვენ საკმაოდ გონივრები ცყოფილიყველებულაშე მიუდიდები მას დაცვომოდით. მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება თვეზე მეტ ხანს არ გავრჩელებულა. მანონს გართობა უყვარდა, მე კი იგი მიყვარდა. არ იყო წუთი, რომ ხარჯისათვის ახალ-ახალი საბაბი არ გამოჩენილიყო. არ მენანებოდა ფული, რომელსაც მანონი ხშირად უხვად ფანტაზია და მე პირველი მზად ვიყავ ყველაფური ჩამედინა, რომ მას სიამოენება განეცადა. შაიოში ყოფნა მანონს უკვე ეძნელებოდა.

ზამთარი ახლოვდებოდა, ყველანი ქალაქში ბრუნდებოდნენ. სოფელი ცარიელდებოდა. მანონმა წინადადება მომცა პარიზში გადასახლებულიყავით. მე უარზე ვიყავი, მაგრამ მცირედ მაინც რომ შესიამოვნებანა მისთვის, უურჩიე დაგვექინავა ქალაქში ავეჯით გაწყობილი ბინა, სადაც ასამბელების შემდეგ ლამეს გავათევდით. ასამბელებზე კვირაში რამდენჯერმე ჩატარდით ქალაქში და იქიდან გვიან დაბრუნების უხერხულობა იყო მიზეზი იმისა, რომ მანონმა ქალაქში გადასახლების სურვილი გამოსთვეა. ამრიგად, ჩვენ ორი ბინა გავიჩინეთ: ერთი - ქალაქად, მეორე სოფლად. ამ ცელილებამ საბოლოოდ აწეშ-დაწერა ჩვენი საჭმეები და გადაიქცა ორი მოვლენის მიზეზად, რამაც დალუპვამდე მიგვიყვანა.

მანონს პყავდა ძმა, რომელიც გვარდიაში მსახურობდა. ჩვენდა საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ის პარიზში იყო და იმავე ქარხაზე სცხოვ-რობდა, სადაც ჩვენ დავბინავდით. ერთხელ დილით მან ფანჯარიაში თავისი და იცნო და მაშინვე შემოვარდა ჩვენს ოთახში. უხეში და უპატიონსო აღამიანი იყო. შემოსელისთანავე დაიწყო საშინელი ლანძლვა-ვინება. მან იკოდა ზოგი რამ თავისი დის თავგადასავალიდან და საყვედურით, შეურაცყოფით ააგვი იყო.

მე ის იყო გარედ გავედი, უკველად ჩემდა, ან მისდა საბედნიეროდ, რადგან აზაფრისათვის არ ვიყავი ისე ნაკლებ განშეობილი, როგორც შეურაცყოფის ასატიანად. დაებრუნდი შინ მაშინ, როცა იგი უკვე წასული იყო. მანონის მწუხარებამ მიმახვედრა, რომ რაღაც აზაფრეულებრივი უნდა მომხდარიყო. მან გადმომცა თავისი ძმის უხეში მუქარის ამბავი. მე ისე აღვშეფოთდი, რომ მზად ვიყავ დაედევნებოდი შეურაცყოფელს, რომ მანონის ცრემლებს არ შეექმნებინე.

სანამ მომხდარ შემთხვევაზე კლაპარაკობდით, ჩემს ოთახში დაუკითხავად შემოვიდა გვარდიელი, მხიარულად მოვევსალმა, ბოდიშიც კი მოიხადა მანონის წინაშე ჩადენილი თავეცლობისათვის და თან განუმარტა: პირველად ეჭვი შემეპარა, მეგონა მანონი გარყენილ ცხოვრებას ეწეოდა, და ამ აზრმა აღმაშეოთაო. მაგრამ მიუმართავს ჩემი მსახურისთვის და მას იმდენად კარგი ცნობები მიუწოდებია ჩემშე. რომ დაპატიჟებია სურვილი ჩვენთან კეთილი ურთიერთობის ჩამოვდებისა.

თუმცა ის, რომ მსახურისათვის მიუმართავს, საკმაოდ უძლიერი და სათავილო იყო, მაგრამ მე მინც მრავალმებაშვი ზრდოლომისათვის უკასუებეს. ჰით მინდოდა მანონის გული მომეგო. ეტყობოდა, მანონის უხარიდა მის დამშვიდება. ჩვენ იგი საღილად დავტოვერჩავითია კარგი და

იმდენად დაგვიახლოედა, რომ მოქმერა თუ არა უკრი — შაიოში დაბრუნებას პირებენ, გადასწყვიტა აცელებლად გამოგვყოლოდა. იძულებული გავხდით ადგილი დაგვეთმო ჩვენს ეტლში. ეს უკვე მფლობელობაში შესევლის ძეტი გახლდათ, რადგან მალე ისე მოშინაურდა, რომ ჩვენი სახლი თავის სახლად მიაჩნდა, ხოლო ჩვენი ნივთები თავის საქათარ ნივთებად. იგი მქას მექანდა და ძმობის უფლებით ყველა თავის მეგობარს შაიოში ეპატივებოდა და ჩვენს ხარჯზე უმასპინძლდებოდა. ჩვენს ხარჯზეც შეიკრია საუცხოო ტანისამოსი. გვაიძულო აგრეთვე გადაგვეხადა ყველა მისი ვალი. მე თვალებს ვხეკვეცი ასეთ თავხედობაზე, რათა ამით მანონისათვის არ მეწყვინინებინა. თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ვერ ვამჩნევდი, როდესაც იგი დროიდალო საქმით დიდ თანხას ართმევდა მანონს. იგი ხელგაშლილად თამაშობდა ბანქოს და თუმცა იმდენად სინდისიერი იყო, რომ როცა ბედი გაულიმებდა, ნაწილნაწილ აბრუნებდა ფულს, მაგრამ ჩვენი საღსრები აშკარად საქმით არ ლმოჩნდა იმისათვის, რომ დიღხანს დაეფარა ესეთი უწესრიგო ხარჯები. მე უკვე ვაპირებდი მასთან საფუძვლიან მოლაპარაკებას და მის თავიდან მოშორებას, როცა საბედისწერო შემთხვევაში გადამარჩინა ერთ უბედურებას, მაგრამ თავს დამატება მეორე უბედურება, რომელმაც ჩვენი დალუპეა დაისრულა.

ერთხელ, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, პარიზში გავათიერ ღამე. მოახლე. რომელიც ასეთ შემთხვევებში შაიოში მარტო რჩებოდა, ჩამოვიდა დილით და მაცნობა, რომ ღამით ჩვენს სახლს ცეცხლი გაუჩნდა და დიდის ვაივაგლაბით ჩავაქრეთო. ვკითხე, დაზიანდა თუ არა ჩვენი ავაჯეული. მან მიპასუხა, რადგან აუარებელი ხალხი მოვიდა მოსაშეელებლად. ისეთი არეულობა იყო, რომ დანამდებილებით ერთაფერს ვერ ვიტყვიო. შეშინებული, რომ არ დაკარგულიყო ჩვენი ფული, რომელიც სკირზი მქონდა ჩატურილი, სასწაროდ გავეშურე შაიოში. ამა იყო ჩემი აჩქრება — სკირი იქ აღარ დამხვდა.

ჩემს თავზე განვიცადე მაშინ, რომ შეიძლება ძუნწი არ იყო, მაგრამ ფული კი გვივარდეს. ფულის დაკარგება იმ ზომამდე შემაწუხა, რომ შემეშინდა ვონება არ შემრყეოდა. სწრაფად წარმოვიდგინე, რა ახალი უბედურება მომელოდა. სილატკე არ იყო ყველაზე დიდი უბედურება. მე უკვე ეიცნობდი მანონს კარგად და გამოვცადე ჩემს თავზე. რომ რაც უნდა ერთგული და დაახლოებული არ უნდა ყოფილიყო იგი ჩემთან ბედნიერების დროს, უბედურებაში მასზე დანდობა არ შეიძლებოდა. მას ისე ძლიერ უყვარდა ვანკერომა და სიამოვნება, რომ შეეძლებელი იყო ჩემი გულისთვის ხელი აელო მასზე. „დავკარგე იგი! — წმინდასხე მე. საბრალო მალტიელო რაინდო, შენ ხელახლა ჰკარგავ ყველა-

ფერს, რაც გიყვარდა!“ ამ აზრმა ისეთი თავშარი დამტკიცის თამაღლენის წუთის განმავლობაში ცყოფიანობდი, ხომ არ სჯორდა კველა ჩემს უბედურებას სიკედილით მოულო ბოლო მეტე. უროვნეული

საბედნიეროდ, იმდენი ძალა კიდევ შემრჩა, რომ ქმარებული არ დამრჩა ჩაიმე გამოსავალი. განვებამ ერთი აზრი შთამაგნა, რომელმაც გამომიყვანა სასოწარკვეთილებისაგან: გაფიციქრე, დამემალა მანონისათვის ფულის დაკარგვა, ხოლო შემდევ ჩაიმე მოხერხებით, ან ბედნიერი შემთხვევის წყალობით ეგებ შევძლო ვაცხოვრო ისე. რომ გაკირვება არ იგრძნოს.

ვანგარიშმობდი და თავს კიმშვიდებდი, რომ ოცი ათასი ქაური ათ წელიწადს გვეყოფოდა. წარმოვიდვინოთ, რომ ათმა წელში განველო და ჩემს ოჯახში არავითარი ცელილება არ მოხდა. რა ზომებს მივმართავდი მაშინ? მე ეს კარგად არ ვიცოდი, მაგრამ ვინ მიშლის, ეხლა მოექცე ისე, როგორც მაშინ მოვიქცეოდი? რამდენი ადამიანი სცოცვრობს პარიზში, რომელთაც არა აქვთ არც ჩემი ჭიუ, არც ჩემი ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ პოლონების საჩინს იმ უნარის მეოხებით, რაც გააჩნიათ.

„განა განვებამ ბრძნულად არ განაწევა ეს ქვეყანა? — განვაგრძობდო ფიქრს ცხოვრებაში ადამიანთა მდგომარეობის განსხვავებაზე. — მდიდრებისა და დიდაცების უმრავლესობას ბრიყვები შეადგენენ. ეს ცხადია უკელასათვის, ვინც ოდნავ მაინც იყნობს ქვეყანას. და, სწორედ ამაშია უდიდესი სამართლიანობა. მათ რომ ჰეუაც ჰქონდეთ და სიმდიდრეც, ისინი მეტისმეტად ბედნიერნი იქნებოდნენ, ხოლო კაციაბიობის დანარჩენი ნაწილი — უაღრესად უბედური. სხვებს ენიჭებათ ხმრციელი და სულიერი ღირსებანი, როგორც გაჭირვებიდან და სილატაეიდან თავის დაღწევის საშუალება; ზოგნი თავიანთ წილს ლებულობს დიდებულთა სიმდიდრიდან იმით, რომ ართობენ მათ. ნამდვილად კი ასულელებენ; სხვები ეხმარებიან მათ აღზრდაში, ცდილობენ პატიოსანი ადამიანები გამოიყვანონ; მართალია, ამას ისინი იშვიათად აღწევენ. მაგრამ ამაშია არ არის ლეთაებრივი სიბრძნის აზრი: ისინი ყოველთვის ლებულობენ თავიანთი შრომის ნაყოფს. რადგან სცოცვრობენ იმათ ხარჯზე. ვისაც წვრთნიან. რა მხრიდანაც არ უნდა შეეხდოთ საქმეს, მდიდრებისა და ამა ქვეყნის დიდებულთა სისულელე. შემოსავლის საუკეთესო წყაროა.

ამ აზრებმა ოდნავ დამიმშვიდეს გულიც და თავიც. გადავწყვიტე მენახა ბ-ნი ლესკო, მანონის ძმა და ჩევევა მეკითხნა. ის პარიზს კარგად იცნობს. მე არა ერთხელ მქონია შემთხვევა დაერწმუნებულიყავ, რომ მისი შემოსავლის მთავარ წყაროს არ შეაღვენს არც მისი პირადი ქონება და არც მეფის ჯამაგირი. მე ოცი პისტოლი-ლა დამრჩა, ეს ფული ჩემდა ბედად ჯიბდეში ჩამრჩენოდა. უშიერენ ბატონ ლესკოს. ჩემი ქისა, აუხსენი ჩემი უბედურება და გაჭირვება და ვკითხე, არსებობს თუ არა ჩემთვის სხვა არჩევანი, გარდა შიმშილისაგან სიკედილისა, ან თავის მოვლისა, მან მისასება, რომ თავის მოკვლა სულელთა ხელირია. ხოლო რაც შეეხება სიმშილით სიკედილს, ბევრი გონიერი ადამიანი მა-

სულა ამ მდგომარეობამდე, როდესაც თავისი ნიჭის გამოყენება, არ მოუსურებია. მე უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვარებით — რეს უნარი მაქეს. ბ-ნი ლესკო მწარ არის დამეხმაროს და ხელჯ, შემზღვების ყველა ჩემს წამოშეყებაში.

„ჩველაფერი ეს მეტად ბუნდოვანია ბ. ლესკო, — ვერასუხე მე, — ჩემი მდგომარეობა მოითხოვს დაუყონებელ დამარებას; რა უნდა უთხ-რა მანონი?“ „რატომ გაშუოთებო მაგრე მანონი? — მოიგო მან, — მას-თან შეგიძლიათ დამშევიდებული იყოთ. მაგისთანა ქალიშეილმა ყველანი უნდა გვაცხოვროს — თქვენც, მეც და თავისი თავიც“. მან არ დამატადა ლიტერატული პასუხი მიმეცა ამ უმსგავსობაზე და დაუმატა: მე თუ თა-ნაბმა ვიქნები, იგი კისრულობს საღამისათვის ათასი ეკიუს შონას სა-ნახევროდ. იგი იცნობს ერთ დიდ კაცს, რომელიც უყოფმანოდ ვაღაიხ-დის თას ეკიუს ოლონდ დასტებეს ისეთი ქალიშეილის ალექსით, რო-გორიც მანონია.

სიტყვა შევაწევინე. „თქვენშე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავ. — ვუთხარი მე, — ვაფიქრობდი, რომ თქვენი მეგობრული გრძნობები ჩემს შიძირთ ნაკარნახევი იყო სრულიად წინააღმდეგი შეხედულებებით“. მან უტიურად გამომიტხადა რომ მუდამ ამ აზრისა იყო, და რაკი მისმა დამ ერთხელ გადალანა თავისი სქესის მოვალეობანი, თუნდაც ისეთი კაცი-სათვის, რომელიც მას უყვარდა, იგი შეურიგდა მხოლოდ იმ იმედით, რომ რამე სარგებლობას მიიღებდა მისი ცუდი ყოფაქცევიდან.

ჩემთვის ადვილი მისახევდრი იყო, რომ ამდენ ხანს იგი გვასულელებდა როგორც მე, ისე მანონს. ძალზე ამაღლება მისმა ვანცხადებამ, მაგ-რამ აუცილებლობამ მაიძულა სიცილით შემენიშნა, რომ მისი რჩევა უკა-ნასკნელი საშუალება იქნება, რომელიც უკიდურესი მდგომარეობისათვის უნდა შემოვინახო-მეთქი, კათხოვე გამოწენას სხვა გზა.

მან მირჩია გამომეუყენებინა ახალგაზრდობა და სილამაზე, რომლითაც ბუნებამ დამაჯილდოვა. და დავვახლოვებოდი რომელიმე გულუხე მოხუც დედაკაცს. ეს ვეგმა ჰქონაში არ დამიჯდა, რადგან ის მაიძულებდა მეღა-ლატნა მანონისათვის.

სიტყვა ქალალის თამაშზე ჩამოვუგდე. როგორც ჩემ მდგომარეობა-ში ყველაზე შესაფერ და ადვილ საშუალებაზე. იგი დამეთანხმა, რომ ბან-ქო მართლაც შეიძლება გახდეს შემოსავლის კარგი წყარო, მაგრამ აქ საქირო ერთგვარი გარკვეულობა; რომ შეუდგე თამაშს იმ იმედით — შოგიებო, ეს საუკეთეს საშუალება იქნება იმისა, რომ საქმე დამთავ-რო გაქოტრებით. მეტად სახითათო საქმეა დამოუკიდებლად და სხვების დაუსმიარებლად მიმართოს სხვადასხვა პატარა ხერხს, რის მეოხებითაც ზოგჯერ კაცი ახერხებს ბეჭის გამოსწორებას. არსებობს შესამე გზა — ამ-ხანაგობაში შესელა მაგრამ აფექტებს ჩემი ახალგაზრდობა და ეშინია, ვი-თუ ამხანავებმა არ მოისურეონ ჩემი მიღება ლიგაში. მიუხედავად ამისა, დაპირდა, რომ რეკომენდაციას გამიშვევს, და რასაც მე სრულიად არ მოეც-ლოდი მისგან, — უკიდურეს გაჭირვებაში ცულად ღამიარებასაც გამიშვევს.

ერთად-ერთი სამსახური, რაც მე ვთხოვე იყო ის, რომ მანონიან კრინტი არ დაეძრა არც ფულის დაქარგვისა და არც ჩვენი საუბრის შესხვება.

მე ნაკლებ კმაყოფილი გამოვედი მისგან, კიდრე მაშინ, როგორ მივ-დიოდი მასთან: კანონდი კიდეც, რომ გავანდე ჩემის შესხვებას. ჩემ-თვის ისეთი არაფერი გაუკეთებია, რასაც ჩემი გულაზრილობის ჭრეშე მეც თითონ ვერ მივაღწევდი. გარდა ამისა, ძალზე მეშინოდა, არ დაერ-ლეთ მას დაპირება და არ გადაეცა ცველაფერი მანონისათვის. მისმა მოსახურებამ შემაშეოთა: შეშინოდა არ განეხორციელებინა თავისი გან-ზრახვა და, თანახმად მისი გამოთქმისა, არ მიეღო სარგებლობა მანონი-საგან — არ გამოეგლიჯა იგი ჩემი ხელიდან, ან, თუნდაც, არ უჩინა მანონისათვის დაენებებინა ჩემთვის თავი და მოეძებნა უფრო მდიდა-რი და ბედნიერი საყვარელი. ჩემმა დაუსარულებელმა ფიქრებმა ამ თე-მაზე, გაათეულა ჩემი ტანჯვა და კვლევ სასიქარკვეთილებამდე მიმი-უვანა. ისევე, როგორც დილით, რამდენჯერმე მომიერდა აზრად — მი-მეწერა მამისათვის და ახალი მოჩვენებითი სინაულით გამომეტყვა მისთვის უფლადი დახმარება, მაგრამ იმავე წუთს მომავონდა, რომ, მიუ-ხელავად თავისი გულეკთილობისა, მან ჩემი პირველი შეცდომისათვის ექვს თვეს გამატარებინა შეაცრ ტუკუობაში; დარწმუნებული ვიყავ, რომ სემინარიიდან ისეთი სამარტივონო გაპარევის შემდეგ უფრო სასტიკად მომექცეოდა.

ბოლოს, ასეთ არეულ მდგომარეობაში მყოფს, ერთი აზრი მომიერი-და, რომელმაც ერთბაშად დამამშეიდა. გამრკვირდა კიდეც, რატომ მა-ნამდე არ გამასხენდა ის. ეს აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ მიმემარ-თა ჩემ მეგობარ ტიპერებისათვის; დარწმუნებული ვიყავ. რომ მასში ვპოვებდი მეგობრულ დამოკიდებულებას. არაფერი არ არის იმაზე წარ-მტაცი და არაფერი არა ხდის სათხოებას ისე სასიქადულოს, როგორც ნდობა, რომლითაც მიმართავ ადამიანს, რომლის პატიონსებაც წინა-წარ ცნობილია; იცი, რომ ასეთ მიმართვაში არაფერია საშიში. მაშინაც კი, როცა იგი ვერ აღმოგინებს დახმარებას, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ გულთბილად და თანაგრძნობით მოვეცყრობა გული, რომე-ლიც მაგრა ჩაკეტილია სხევებისათვის, თავის და უნებურად იშლება ასეთ ადამიანის წინაშე, იშლება ისევე, როგორც ცვავილი შინის ცხოველმყო-ფელი სხივებისაგან.

ზეცის მფარველობად მიერჩიე, რომ ტიპერეტი ასეთ დროს მომავონდა და გადავწყვიტე შენახა იგი დღის დასასარულამდე. დავპრუნდი შინ, რომ მიმეწერა მისთვის და დამენიშნა ადგილი, საღაც შევხედებოდი. ესთხოვდი, ყოველივე ეს საიდუმლო შეენახა, რითაც ჩემს მდგომარე-ობაში მყოფს, უდიდეს სამსახურს გამიშვევდა.

სიხარულშა, რომელიც მისი ნახევის იმედმა მომანიჭა, წაშალა მშეხა-რების კვალიც კი, რომელსაც მანონი უცემელად ამოიკითხავდა ჩემს სახეზე. შაიოში მომხდარი უბედურება მანონს უკამბე როგორც უმნიშვ-ნელო აამ, რაც არ ღირდა შეწუხებად, რადგან მანონს პარიზში ყოფნა

კველაზე შეტაც მოსწონდა, მას არც გამოუთქვამს სინანული იმის ვამო, რომ ჩევნ პარიზში დარჩენა მოგვიხდებოდა იქამდე, ზანამ პირში არ შეაკეთებენ ხანძრისაგან მიყენებულს უმნიშვნელო ზარალი და უკანას.

ერთი საათის შემდეგ მომივიდა ტიბერიუს პასუხული უზრუნველყოფის დონა დანიშნულ ალაგას მოსულის. მე მოუთმელად გავიშუო იქითეკო. თანაც კეშმარიტად მრცხევნოდა დაენახე მეგობარს, რომლის იქ ყოფნაც კი საყვედლური იყო ჩემი თავაშვებულობისათვის, მაგრამ მისი გულ-კეთილობის იმედი და მანონშე ფიქრი აძლიერებდა ჩემს გამბედაობას.

მე მას გხოვედი შემსევდოროდა პალე-როიალის ბაღში. იგი ჩემზე აღრც მისულიყო. დამინახა თუ არა, მომვარდა და გადამეხვია. დიდაბანს ცყავდი გულში ჩაერული და ვერძნობდი, რომ ჩემს სახეს მისი ცრემლები რწყავდა. ვუთხარი, რომ მრცხევნოდა მასთან შეცვედრა და რომ გულში ვატარებ ჩემი უმაღლერობის ცხოველ გრძნობას. უპირველესად ყოვლისა დავაფიცე ეთქვა, შემიძლია თუ არა კვლავ ვიგული იგი ჩემს შევობრად, რადგან მე საცემით დაეიმსახურე დაეკარგა ჩემდამი პატივისცემა და სიყვარული. მან ნაზი სიტყვებით მისასწა, რომ, არაფერს არ შეუძლია უარყოს ეს სახელშიდება, და რომ სწორედ ჩემთა უბედურობამ, და თუ ამისი თქმის ნება ექნება, ჩემთა მოქმედებამ და ჩემთა დაცუმამ გააორეცება ჩემდამი სათუთი გრძნობა; მაგრამ ამ სათუთ გრძნობას თან ახლად ცხოველი მწუხარება, რომელსაც განვიცით მაშინ, როცა გხედავთ, რომ საყვარელი აღამიანი შენ თვალწინ იღუპება და შენ კი შველა არ შევიძლია.

მერჩხე ჩამოსხედით. თქვენი თანავრმნობა, გულამოვენესით ვუთხარი, უსაზღვრო ყოფილა, ჩემთა ძეირიფასო ტიბერ, თუ ის, როგორც თქვენ ამბობთ, ჩემს ტანჯვას უდრის. მრცხევნიან, ვაღავიშალოთ ეს ტანჯვა რაღვან გამოვიტყდებით მისი მიზეზი სახახლო არ არის, მაგრამ შედეგი იმდენად სამწუხაროა, რომ რაც უნდა მცირედ გვვარებოდით, მაინც შემიბრალებდით.

მან მოხვევა, ნიშნად მეგობრობისა, გულშრტელად მემბნა ყოველი-ე, რაც სემინარიიდან გაქცევის შემდეგ შემემთხეა: მისი სურეილი და-ვაკებულფილე. მე სულაც არ ვფიქრობდი, დამემახინჯებინა სინამდვილე, ან თავი გამემართლებინა. ეუამბე ჩემთა სიყვარულის სტორიის შესახებ, თუ რა სიძლიერით დამეუფლა იგი. ისე გამოვხატე ეს, როგორც ბედის ერთ-ერთი ლაშვარი, რომელსაც აღამიანი დალუპეისაკენ მიჰყავს, ისე რომ თვით სათორებაც უკი აღუდგება წინ და ერთ ერთი სიბრძნე ვერ გაითვალისწინებს მას წინასწარ. ცოცხლად დავუხატე სურათი ჩემი მღელვარებისა და შიშისა, აგრეთვე — ის სასოწარკეეთილება, რომელიც ამ ორი საათის წინ განვიცადე და რაც კიდევ მომელის, თუ მეგობრები ისევე უწყალოდ მომექუეიან, როგორც მომექუება ჩემი ბედი. მე იმდენად ავალელე კეთილი ტიბერი, რომ მისი ტანჯვა ჩემს საკუთარი ტანჯვას ეღარებოდა.

იგი მეხვეოდა, მამხნევებდა და მამშეიღებდა. მაგრამ მრთელავად ამისა, დაუინტებით მოითხოვდა, განეშორებოდი მანონი. მე მის წათლად ვაგრძნობინე, რომ სწორედ ეს განშორება მიმართა უფრო ფრენები უმჭდელებად და რომ მე მზადა ვარ არა თუ გადავიტანო უკრიტულესი მუპნებებება, არამედ უსაშინელეს სიკვდილსაც არ დავერიდო ოლონდ მანონი ჩემთან იყოს.

„მაშ გამაგებინეთ, — მითხა მან, — რა დახმარება შემიძლია აღმოვინოთ“ თუ უცელა ჩემს რჩევა-დარიგებას ასე ეწინააღმდევებით?“ ვერ გაეცელე მეთქვა, რომ დახმარებას მისი ქისისაგან ესაკიროებდი. ბოლოს თვით მიხვდა. ერთხანს გაჩუმებული იდგა იმ დამიანივით, რომელიც ყოყმანობს ორი გადაწყვეტილების შორის. „არ გეონოთ, — ისევ დაიწყო მან, რომ ჩემი ყოყმანი მით იყოს გამოწვეული, თითქოს თქვენდამი კეთილგანწყობილება და მეგობრობა შემინელდა; მაგრამ რა გამოუვალ მდგომარეობაში მაყენებთ: ან უნდა უარი გითხრათ იმ ერთადერთ დახმარებაში, რომლის მიღებაც თქვენ გსურთ, ან თუ ამ დახმარებას აღმოგიჩნოთ, უნდა შევლახო მოვალეობის გრძნობა. განა თქვენთვის ხელის შეწყობა უზნეო ცხოვრებაში, არ ნიშნავს მასში მონაწილეობის მიღებას?

„მაგრამ ამასთან ურთად განავრით მან წუთიერი ჩაფიქრების შემდეგ მე ვფერიობ, რომ მხოლოდ ის მძიმე მდგომარეობა, რომელ-შიაც უსახსრობა გაყენებთ, ან გაძლევთ საშუალებას უმჯობესი გზა აორინოთ. მხოლოდ სცლიერი სიმშვიდის დროს შეიძლება ღირსეულად შეაფასოთ სიბრძნე და სიმართლე. მე აღმოვაჩინ საშუალებას, რათა ფულადი დახმარება ვაგიწიოთ, მხოლოდ მომეცით ნება, ძვირფასო შევალიერი, — დაუმატა მან და გადამეცხვით, — ერთი პირობა მოვთხოვოთ: შითხარით სად სცხოვრობთ და ნუ უკუაგდებთ ჩემს ცდას დავაუყინოთ სათნოების გზაზე, რომელიც, როგორც მე ვიცი, თქვენ გიყვართ და რომლისაგანაც მხოლოდ თქვენმა მძაფრისა ვნებამ ავაციინათ“.

მე გულწრფელად დავთანხმე კველა მის მოთხოვნილებას და ცსოხვე თანავრძნობა ჩემს ბედუეულმართობაში, რომელიც საშუალებას არ მაძლევდა მესარებლა ქსოფენ სათნო მეგობრის რჩევა-დარიგებით. მან მიმაცილა თავის ნაცნობ ბანკირთან, რომელმაც მომცა ასი პისტოლი მისი თამასუქის ჭვეშ, რადგან თითონ მას ფული არ აღმოაჩნდა. მე უკეე მოგახსენეთ, რომ ის ხელმოყელე კაცი იყო. ბენეფიცი მის ათას ეკიუს აძლევდა, მაგრამ რადგან იგი მხოლოდ ერთ წელიწადს სარგებლობდა მით, ჯერ არ გააჩნდა არაეითარი შემოსავალი: მან ეს ფული მომავალ შემოსავლიდან მასესხა.

აშენად ვიგრძინი მისი გულუხვეობა. ვაჯასებდი მის სულვარქელობას. ამან იმდენად ამაღლევა, რომ ცრემლებიც კი მომერია. დაესტიროდი საბედისწერი სიყვარულით ჩემს დაბრმავებას, რომელიც მაძულებდა უკუმეგდო ყოველგვარი მოვალეობა. რამდენიმე წუთის განშევლობაში სათნოების ძალა იმდენად იყო ჩემში, რომ იგი აღდგა ვნების წი-

ნააღმდეგ, და მაშინ, ამ ნათელ წუთებში, ვკრძნობდი, რა სამარცხენო მდგომარეობამდე მივედი. მაგრამ სულიერი ბრძოლა პლაილად დაეკლიე და დიდხანს არ ვაგრძელებულა. მანონის დანახვამც ჟულიუს ფესტივალი ციდან, და როდესაც ისევ მის გვერდით ვიდექი, გატრიტლის შემსრულებელი მემეძლო ერთი წუთითაც ეი სამარცხენოდ მიმართ თაყვანისცემა ესოდენ მშვენიერი არსებისა.

მანონი ძალზე უცნაური ქმნილება იყო, არც ერთი ქალი არ იყო ისე ნაკლებად მიჯაჭეული ფულზე, როვორც ის. მაგრამ იგი პკარგვედა მთელ თავის სიმშვიდეს, როდესაც ჩნდებოდა ფულის შემოქლების ოდნავი საფრთხეც კი. მას უყვარდა გართობა, სიამოვნება და არ სურდა ერთი სუს დაბარვევაც კი, თუ შესაძლებელი იყო მხიარულება ისე, რომ არაეითარი ხარჯი არ ვაეწია. მას არ აინტერესებდა ჩევნი სიმდიდრის წყარო, ოღონდ დღე სიამოვნებაში გაეტარებინა; იგი მანც ცადამაინც არ ერთანებოდა თამაშს, არც დაბრმავება შეიძლებოდა მისი დიდი თანხების ფლანგვით; ადგილი იყო მისი დაქმაყოფილება, თუ მისი გემოვნების მისედევით ყოველდღიურად ასიამოვნებდით. მაგრამ სიამოვნება იმდენად აუცილებელი იყო მისთვის, რომ უამისოდ შეუძლებელი იყო დარწმუნებული ყოფილიყავით მის კარგ განწყობილებასა და ერთგულებაში. მანონი მენაშად ვეყვარდი და, მისი გულწრფელი ალიარებით, მე ვიყავი ის ერთადერთი ადამიანი, რომელიც განაცდევინებდა მას სიყვარულის სიტყვბოებას. მიუხედავად ამისა, მე თითქმის დარწმუნებული ვიყავ, რომ მისი სათუთი ვრჩნობა ვერ გაუძლებდა განუსაზღვრელ საფრთხეს, რომელიც მასში ჩაისახებოდა. საშუალო შეძლება მანც რომ მქონდა, იგი მთელს ქვეყნიერებას მაჯგობინებდა, მაგრამ ოღნაეთ ეჭვი არ შემდიოდა, რომ იგი სწრაფად გამცელიდა ახალ ბ-ზე თუ მას, გარდა ჩემი მუღმიერი ერთგულებისა, სხვა არაფერს არ შევთავაზებდი.

ამიტომ ვადაქმუყვირე ძალზე შემეკვეცა ჩემი პირადი ხარჯები, რათა მუდამ შეძლებოდა მანონის ხარჯების დაფარვა. მზად ვიყავ, უარი მეტება ათას აუცილებელ მოთხოვნაზე, ოღონდ დამეკმაყოფილებინა მისი თუნდაც გადაჭარბებული მოთხოვნა. ყველაზე უფრო ეტლი მაშინებდა, რადგან არაეითარი საშუალება არა მქონდა ცხენებისა და მეტლეს შენახვისა.

ჩემი ვაჭირება ბ-ს ლესკოს ვაცნობე. არ დამიმალიეს მისთვის, რომ მეგობრისაგან ასი პისტოლი მიეკიდე. მან ვანმიმეორა, თუ მსურს ესკადო ბედი თამაშში, იმედი აქვს, რომ მისი რეკომენდაციით მიღებული ვიქნები ლიგაში, თუ ასიოდე ფრანგს დაეხარჯავ ამხანავების გამასპინძლებაზე. თუმცა თალღითობა ძალზე მეზიზლებოდა, მაგრამ მკაცრა აუცილებლობამ მაიმულა დაეთანხმებოდი.

ბ-ნმა ლესკომ იმავე საღამოს წარმადგინა, როვორც თავისი ნათესავი, თან დაუმატა, რომ იმედი აქვს ჩემი წარმატებისა, ეინაიდან ესაჭიროებ ბეღისაგან ხელის შეწყობას. ამასთან, რათა ეჩვენებინა მათთვის, რომ მე გლახავი არა ვარ, ვანაცხადა, რომ მე ვანზრახული მაქვს ვაუ-

მასპინძლდე შათ ვახშიოთ. წინადადება მიიღეს. საუცხოოფ / გუცუმას-პინძლდი. ბევრი ილაპარაკეს ჩემს კეთილშობილ გარეგნობასა და ბედ-ნიერ ნიჭე, გადასწყვიტეს, რომ ჩემგან ბევრი რამ არის, მოსალოდ-ნელი, რადგან ჩემის სახის მოხაზულობა ისეთი კეთილშემსრულებელი რომ ექვს არავინ შეიტანს ჩემს ხერხებში. დასასრულ, მიუწოდებული შექმე-კოს, რომ მან ორდენს ასეთი ლირსეული წევრი შემატა და ერთ-ერთ რანდს დავლეს, რომ მასლობელ დღეებში მოეცა ჩემთვის აუცილებე-ლი მითითებანი.

ჩემი საგმირო საქმეების მთავარ ასპარეზად უნდა გამხდარიყო ტრან-სილვანის სასტუმრო. იქ ერთ-ერთ დარბაზში სათამაშო მავიღა იდგა ფარაონისათვის, ხოლო შესაბანდში თამაშობრნენ შენჯოს და კამა-თელს. ეს სათამაშო სახლი ეკუთვნოდა პრინც რ...ს, რომელიც კლანი-ში ცხოვრობდა, ხოლო მისი ოფიცირების უმრავლესობა წირმოადგენდა ჩემის საზოგადოებას. მრცხვენია გამოვტყდე, მაგრამ ძალიან ვისარგებ-ლე ჩემი მასწავლებლის გაკეთილებით. ვანსაკუთრებულად დავხელო-ვნდი ვალტ-ფასში და ქალალდის შეცოლებაში. გრძელი სახელურების შემწევით ადვილად ცვხვევდი თვალებს მეტად გამჭვალად გამოხედ-ვასაც კი. სრულიად დამშევიდებით ვაკოტრებული ბევრ პატიოსან მოთა-მაშეს. ჩემი თითების განსაკუთრებულმა სიმარდემ მაღა ისე გააღიდა ჩემი ქონება, რომ რამდენიმე კეირი: უპოვა ჩიმი; განკარგულებაში იყო საკოდ მოზრდილი თანხა, იმის გარეშე, რასაც მე პატიოსნად უწანწი-ლებდი? ჩემს მოკავშირეებს.

ესლა უკვე ალარ მეშინოდა მეამნა მანონისათვის შაიოში ფულის დაკარგების შესახებ და რომ შემეფერადებინა ეს არა სისიმოვნო ამბა-ვი, დაიქირავე ავეჯით მოწყობილი ბინა, საღაც საუცხოვოდ უზრუნვე-ლად ცცხოვრობდით.

ამ ხნის განმავლობაში ტიბერიე ხშირად მნახულობდა. იგი განუ-წყვეტლივ შარიგებდა, დაერნებით მითვალისწინებდა, რა ზიანს ვაყე-ნებდი ჩემს სინიდის, პატიოსნებას, მღვმერეობას. მე მევობრულიდ ვისმენდი მის რჩევა-დარიგებას და თუმცა არაეითარი სერეილი არა მეონდა ამ დარიგების მიღებისა. მაინც მადლიური ვიყავ მისი ერთგუ-ლებისა, რადგან ჩემთვის გასაგები იყო თუ საიდან მოღიოდა ის. ზოგ-ჯერ ხემრობით დაეცინოდი თვით მანონის თანადასწრებით, უურჩევდი არ ყოფილიყო ბევრ ეპისკოპოზზე და წარჩინებულ სასულიერო პირზე უფრო სინდისიერი, რომლებიც ძალიან ქარგად ახერხებდნენ ბენეფიცი-ბისა და საყვარლების შეთავსების. „შეხედეთ მხოლოდ. — ვეუბნებოდა და თვალით ჩემს სატრიფოზე ვანიშნებდი, — და მითხარით, ვანა არსე-ბობს ისეთი შეცოდება, რომელიც ამ წარმტაცმა მიზეზმა არ ვაამართ-ლოს?“ იგი ყოველივე ამას მოთმინებით ისმენდა. უსაზღვრო იყო მისი მოთმინება, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ჩემი სიმღიდორე მატულობდა, როდესაც არა მარტო დავუბრუნე ასი პისტოლი, არამედ ახალი სახლიც დავიქირავე, ხარჯები გავაორეცეცი და უფრო ღრმად შევტომე სიამეთა 7. მნათობი № 12.

მორეეში, მან მკუცორად შესცვალა ტონი და მოპყრიდა. რომ ტჩილდა ჩემს გაუსწორებლობას, მემუქრებოლდა ციურ რისხეს და მოწინაშეარმე- რცვალებდა მომავალ უბედურებას, რომელმაც არ ჰქილავთ მალე თავს დამატებდა. „შეუძლებელია, — მეუბნებოლდა იგი, რომ ჩემი ჩემი დიდ- რე, რომელიც ხელს გიწყობთ ასეთი ფუქსავატად ცხოვრებისათვის, პა- ტიოსანი გზით გქონდეთ შეძენილი. თქვენ მას უსამართლო გვით იძენთ და ასევე დაქვარვავთ. ყველა ჩემი დარიგება, — დაუმიტა მან — ფუჭი გამოდგა თქვენთვის და ვგრძნობ, რომ მალე იგი მოგბეზრდებათ კიდეც. შევიღობით, უმაღლერი და სულმოქლე მევობარი! ეისურვებ ჩემდილი- ვით გამქრალიყოს თქვენი დანაშაულებრივი ნეტარება! უკვალოდ გა- ფანტულიყოს თქვენი ფუქსავატი განცხროშა და ფული! როდესაც მათ- ხოვრად გადაიქცევით და შეიგნებთ სიამეთა ამაოებას, რომლითაც თქვენ უგუნტრებამდე ხართ დამთერალი, მაშინ იპოვით ჩემში მევობარს და თანაშემწეს. დღეს კი ვსწავი უკველგვარ კავშირს თქვენთან და მძავს ცხოვრება, რომელსაც თქვენ ეწეოთ“.

ეს მოცეკვლებრივი ქადაგება მან ჩემს ოთახში წარმოსოდეა მანონის თანადასწრებით. იგი წასასელელად წამოდგა. მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ მანონმა წამჩურჩულა: ვიგია, დევ, წავიდესო.

მისმა სიტყვებმა ჩემშე ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა. მე ავლ- ნიშაა სხვადასხვა შემთხვევას, როცა ჩემს გულში სიკეთისაღმი მიღრე- კილებაც წარმოიშეებოდა ხოლმე, რადგან მათი მოგონება ცხოვრების უსაშინელეს წუთებში ძალას მშატებდა.

მანონის ალერსმა მყისვე გამტანტა ის მწუხარება, რომელიც ამ სცე- ნამ გამოიწყია. ჩემი განვაგრძობდით სიხარულით და სიყვარულით ცხო- ვრებას. სიმდიდრის ზრდამ ჩენი სიყვარული გააორკეცა. ვენერას და ფორტუნას არა ჰყოლიათ უფრო ბეღინიერი და ნაზი მოსაცები. ლერთო ჩემო, განა შეიძლება უწოდო ამ ქვეყანას მწუხარების ადგილი, როდე- საც ძალგიძს ივემო ესოდენი ნეტარება და სიამე? მაგრამ — ვავლახ! — მათი სუსტი მხარე მათი სწრაფწარმავლობაა. და განა, ისურვებს კაცი ახალ ნეტარებას, რომ ძეელი მუდმივი და დაუსრულებელი იყოს? ჩემის ნე- ტარებასაც საერთო ბედი ეწია; მე მინდა ესთქვა, რომ ისიც ხანმოქლე ვამოდგა და მას სამუდამო სინანული მოპყვა.

ჩემი მონაგები იმდენად დიდი იყო, რომ ვაპირებდი ფულის ნაწი- ლი სადმე მომეთავსებინა. ჩემნმა მსახურებმა, განსაკუთრებით კი ჩემმა ხელშე მოსასახურებ და მანონის მოახლემ, იცოდნენ ჩემი მოგების ამ- ბავი; მათთან ჩენ ხშირად დაურიდებლად ვლაპარაკობდით ამაზე. მო- ახლე ლაშაზი გოგო იყო. ჩემს მსახურს უყვარდა იგი. მათ საქმე ჰქონ- დათ ახალგაზრდა ლმობიერ ბატონთან და იფიქრეს, ადვილად მოვატ- უებთო. შეაღვინეს გეგმა და ჩემდა საუბედუროდ ისე შეასრულეს თავიანთი განზრახვა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაგდეს.

ერთხელ, ბ-ბ ლესკოსთან ვახშმობის შემდეგ, დაბხლოვებით შეაღამისას დაებრუნდით შინ. მე ჩემს მსახურს დაუკავახ, მანონმა თავის მოახლეს.

არც ერთი და არც მეორე არ გამოცხადდა. გვაცნობეს, რომ /ასთა რე საათზე წავიდნენ/ და მას შემდეგ არავის უნახაეს, მანამდე კი ჩადედნიმე ზანდუკი გაიტანეს, თითქოს ჩემის ბრძანებით. ნაწილობრივი უკი კი გვიგრძენი რაშიაც იყო საქმე, მაგრამ იმან, რაც ჩემს, სამართლებრივ უფრო არის გადაქარბა. ჩემი განჯინის კლიტე გატეხილი იყო და ჩემი ფული ტანისამოსთან ერთად გატაცებული აღმოჩნდა. სანამ მე მარტო კუიქრობდი მომზღარ ამბავშე, შემოვიდა მეტად აღელვებული მანონი და გადმომცა, რომ მისი ოთხიც ასევე გაუმარცვავთ.

უბედურება იმდენად საშინელი მეჩეენა, რომ ყველილისა და ცრემლებისაგან მხოლოდ დიდი გაერიცებით და გონიერი მოურეცით შევიკავე თავი. იმის შიშმა, რომ ჩემი განწყობილება მანონს გადაეცემოდა, მაიძულა თავი დამშეიცებულად მომზერენებინა. ხემრობით მიემართე, რომ მთელ ზარალს ტრანსილვანიის სასტუმროში გინმე ბრიყეს გაზლევინებ მეტქი, მაგრამ მანონი ამ უბედურებით იმდენად შეწუხებული მეჩეენა, რომ მისმა მწუხარებამ დასძლია ის მოჩეუნებითი სიმხიარულე, რომლითაც ვამშეიცებდი. „დავილუპენით“, — მითხრა მან თვალცრემლიანმა. ამათდ კუდილობზი ალექსით დამემშეიცებინა. თვითონ ჩემმა ცრემლებმა გამოამდინარეს, რა ზომამდე ერთა სისოწარკეთილი და თავზარდაცემული. მართლაც, ისე კუყავით გაძარცული, რომ პერანგიც აღარ შევგრჩნოდა.

იმ წამსევ დავიბარე ბ-ნი ლესკო. მან მიჩინა, დაუყოვნებლივ წავსულიყავ ბ-ნ პოლიციის ლეიტენანტთან და პარიზის მთავარ მოსამართლესთან. მეც გავეშეტრე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, სამართლის ამ ორი მოხელის მიერ მიღებული ჟომები ამთ გამოდგა. ამას გარდა, მე დრო მიეცი ლესკოს მოელაპარაკნა დასთან და ჩემი იქ. არ ყოფნის დროს, ჩაევონებია საშინელი გადაწყვეტილება. მან უაშმო მანონს ბებერ მსუნავ ბ-ნ გ-მ-ზე, რომელიც უხე სასყიდელს იძლეოდა თავის სიამოვნებისათვის. ძამი იმ სახით დაუსურათა დას ხასად ყოფნის სარგებლობა, რომ მანონი, რომელიც მომხდარი უბედურების გამო, კონება დაბნეული იყო, დაეთანხმა. ეს მორიგება ჩემს დაბრუნებამდე დასრულდა და შესრულება მეორე დღისათვის გადაიდო.

ლესკო ჩემს ბინაზე მიცდიდა, მანონი თავის ოთხში დაწოლილიყო. ხელზე მოსამსახურისათვის ებრძანებინა, გავეფრთხელებინე, რომ მას მოსცენება ეჭირვება და არ შემეწუხებინა. ლესკო გამომემშეიდობა და ამდენიმე პისტოლი შემომთავაზა. მეც გამოვართვი.

თითქმის ოთხი საათი იყო, როცა დავწექი. ჩემი თავი დატეირთული იყო სხვადასხვა საშუალებით, როთაც კუიქრობდი ჩენი კეთილდღეობის აღღენას. ჩამეძინა ისე ვვინან, რომ ვამომელვიძა დღის თორმეტ საათზე. სასწრაფოდ ავდექი და გაერმერე მანონის სანახავად. მითხრეს, რომ მანონი ერთი საათის წინად წავიდა თავის ძმასთან ერთად, რომელიც ნაქირავები ტრლით მოსულიყო მის წასაყანად. თუმცა ლესკოსთან ერთად მისი გასვლა საზოგადოებაში უცნოურად მომეჩეენა. მაგ-

რამ თავს ძალა დავატანე და ეჭვი განშე გადავდე. ლაშქრობისათვის წიგნების კითხვაში გავიტარე. ბოლოს, მოუსვენრობა ველარ დაწარლიკი. ოთახებში დავდიოდი და ბოლოთასა ვცემდი. მანონის წარმომადგენერალი ზე, თვალი მოვყარ დაბეჭდილ წერილს. წერილი ჩემში მარტინული აქტი, მისი შეღირებით დაწერილი. გული გამიჩერდა — გავხსენი, შივ ეწერა:

— გაფურცები, ჩემთ ძვირფასო შევალი, რომ შენ ჩემი გულის ნათა-
ყანო კერპი ხარ და ქვეყანაზე ისე არავინ მიყვარს, როვორც შენ, ნავ-
რამ გინა შენთვის ცხადი არ არის, ჩემთ საბრალო მევობარო, რომ ებ-
ლანდელ მდგომარეობაში. ერთგულება სულელური სათნოებაა? ნუ
თუ გვონია, რომ შეიძლება ტრიუმბა, როცა პური არ მოიპოვება? სამ-
შილი რამე საბედისწერო შეცდომამდე მიმიყვარს, ერთ მშვენიერ
დღეს უკანასკნელად ამოუშვებ სუნთქვას და მევონება, რომ ის სიყვა-
ხანს ვიზრუნო ჩვენს კეთილდღუობაზე. ვაი, მას ვინც ჩემს ქსელში გა-
ებმება! მე ვნიჩუნავ. რათა ჩემი შევალი მდიდარი და ბეღნიერი გაეხა-
დო. ჩემი ძალა გადმოგუას შენი მანონის ამბებს და იმას, თუ რამდენი
იტირა მან, როცა შეიგნო. რომ აუცილებელია შენი მიტოვება“.

მიძნელდება იმ მდგომარეობის აღწერა, რომელშიაც მე ამ წერილის
წაყითხვის შემდეგ ვიმყოფებოდი. რადგან დღესაც არ ვიცი, რომელი
გრძნობა დამეუფლა მაშინ. ის ერთ-ერთ იმ განსაკუთრებულ სულიერ
მდგომარეობას წარმოადგენდა. რომელიც. ვეძვობ. ვისმე განეცადოს.
მას სხვის ვერ ავტესი, მას ვერც წარმოადგენ და თეოთონვეც ძნელად
ვარკვევ მას, რადგან ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა, სხვა ნაც-
ნობ გრძნობებს ვერ შეაღარებ მას. მაგრამ ას ბუნებისაც არ უნდა
ყოფილიყო ჩემი მდგომარეობა, ცხადია ერთი რამ, რომ მასში შევიღო-
და მწერხარების, უქმაყოფილების, იქევანობის და სირცხვილის გრძნობა!
ო! ნეტევ მასში არ შესულიყო სიყვარულის გრძნობაც!

— მე ვუყვარება. მინდა დავიჯერო. — წამოვიყენო მე. — მაგრამ
ივი საშინელება უნდა იყოს, თუ ვეზიზები!“ ასებობს თუ არა ამ
ქვეყანად ისეთი უფლება სხვის გულზე, რომელიც მე არ გამაჩნდეს მა-
ნონის მიმართ? რაღა დამჩჩენია კადევ გასაკეთებლად ყოველივე იმის
შემდევ. რაც მე მას შევსწირე? და ის, მიმატოვა უმაღურამა! შის ჰე-
ნია, რომ ჩემი საკუდურებიდან თავს დაიფარავს იმ განცხადებით, რომ
მე ისევ ვუყვარები! მას შიმშილისა წინია, ხომ ვესმის, ამურ? თუ, რა
უხეში გრძნობაა! თუ, როვორ ვერ შეუგნია ჩემი კეთილშობილება! მე
არ შევუშინდი სიმშილს, როდესაც, დაურიდებლად მისკენ მივითოდი-
მისი გულისთვის, როდესაც უარყვაფი ჩემი მდგომარეობა. მამის მუდგრო
ოჯახის სიმოწებანი, მე. რომელმაც კუველივე მოვიყელი, თეთი აუ-
ცილებლად საჭიროც კი. რათა დამეუმაყოფილებინა მისი უმცირესი
სურვილი და კინიანობა! გაღმერთებო. მეუბნება. რომ მაღმერთებდე
უმაღურო, ვაიგებდი ჩჩერესათვის თუ ვისთვის უნდა მიგემართა, კუველ
შემოხევევაში, არ გამშორდებოდი ისე, რომ არ გამომშეიღობებოდი. ეს-

მე უნდა მეითხონ, რა საშინელ ტანჯვას განიცილის — უასეული დღესაც
შორდება იმას, ეისაც აღმერთებს. კონება უნდა დაქორვო. რომ ნება-
კოფლობით წახეიდე განშორებაზე? დროინვა შემაწყვეტებულ უკაცის
დანახვამ, რომლის მოსკლასაც არ მოველოდი: ეს კუჭულა და უსტურებული
ათო! — წამოვიძებ მე და დაშნას ვტაცე ხელი, — სად არის მანონ?
რა უყავი მას?“ ჩემმა მოძრაობამ შეაშინა. მან მიბასუხა: თუ ასე
ცხვდები მას მაშინ, როდესაც იგი მოვიდა ერთად-ერთი გამზრახევით,
რომ ჩამაბარის ანგარიში იმ შინშენელოვანი სამსახურის შესახებ, რო-
მელიც მან გამიწია, მაშინ იგი დაუყონებლივ უკან ვაბრუნდება და
არასოდეს ჩემთან ფეხს აღარ შემოსდგამს. მე შევეარდი თახის კარს
და ჩავერე. „ნუ გვანია, — მივუმრუნდი და მიემართე, — რომ შესძლებ
ერთხელ კიდევ გამასულელო და რაღაც ლათაიებით მომატყურ. დაი-
კი შენი სიცოცხლე, ანდა მანონი დამიბრუნვ“. — „ნუ ჩემრობთ, მცვო-
ბარო! — მომიგო მან, — მე სწორედ მხოლოდ ამისათვის მოვედი აქ.
მოვედი ვაცნობოთ ბედნიერება, რომელზედაც თქვენ არც კი ფიქრობთ
და რომლისთვისაც შეიძლება დამიმადლოთ კიდეც. მე შოგითხვევ იმ
წუთშივე ვანემარტა უკაველივე.

მან მიამშო, რომ მანონმა სიღარიბისა და განსაკუთრებით იმის ში-
შით, რომ დაუყონებლივ უნდა შეცელილყო ჩეკი ცხოვრების წესი. მოხოვა ვამეცნო მისთვის ბ-ნ დე გ... მ...ი, რომლის კულტევობაც ცნო-
ბილია ცეკველასათვის. ბ-ნმა ლესკომ დაურიცებლად ვამომიტადა, რომ
ეს აზრი მისკან მომდინარეობდა და სანამ ქალს წაიცვანდა, ნიადავიც
შეამზადა. მანონი მე ამ დილით წავიყვანე მასთან, ვანაგრძო ლესკომ, —
და ეს ლირსეული ადამიანი ისე მოიხიბლა მისთ, რომ მან უპირველეს
ყოვლისა მიიჩვია იგი თავის სოფელში. სადაც ისინი რამდენიმე დღეს
დაკყოფენ. მე, — დაუმატა ლესკომ, — სწრაფად მიეცვდი. რომ აქედან
ბევრი რამის ვამორჩენა შეიძლება თქვენთვის. და მოხერხებულად ვა-
ვავებინე, რომ მანონი დიდათ დაზარალდა, ამისთან ისე აღვნიშნე მისა
სიცხვე, რომ მან იქვე ორასი პისტოლი აჩუქა მანონს. მე ვანცუცხადე,
რომ პირველ ხანებში ეს კარგი მაგრამ მომავალში ჩემ დას დიდი ხარ-
ჯი მოელის, და, ვარდა ამისა, იგი ვალდებულია იზრუნოს უნკრის ძმა-
ზედაც, რომელიც ჩენი დელმაშის სიკედილის შემდეგ ჩეკის ანაბარად
დარჩა. თუ იგი პატივს სკემს მანონს, არ დაუშვებს, რომ ქალი იტან-
ჯებოდეს საბრალო ბავშვისათვის, რომლის ბედიც მას თავის ბეღისა-
ვან ცერ ვანეშორებია. ამ მშეაგმა გული აუჩუქა მოხუცეს და იქისრა
თქვენთვის და მანონისათვის შესატერი სახლი დაიქირავოს. ის საბრალო
იბოლი პატარა ძმა ხომ თქვენა ხართ. დაგვპირდა, რომ საკატრისად
მოვაწყობთ და ყოველთვიურად მოვცემთ თახას ლიკის. რაც ჩემი ან-
გარიშით, წელიწადში თახი ათას ჩეას ლიკის შეაღვენს. სოფელში
წასკლამდე მან თავის შმართველს უბრაძნა მონახოს და მოაწყოს სახ-
ლი. ისე რომ დაბრუნებისათვის ყველაფერი მზად იყოს. მაშინ თქვენ
კვლავ ინახულებთ თქვენს მანონს, რომელშაც დამავალა მის მავიერ

ათასჯერ გაკოცოთ და დაგარჩეულოთ, რომ მას თქვენ უფრო მეტად უყვარხართ, ვიდრე ოდესმე".

შევდარივით ჩავეშეო სავარძელში და ჩავუდინარი ჩემს უცნაურ ბედს. ჩემში საწინააღმდეგო გრანიტები იძულებული აღისა გამო ისეთ ტანჯვას განვიცდიდი, რომ კარგა ხას პასუხს თი ვარღველი ლესკოს, რომელიც სეტუვასავით მაყრიდა კითხვებს. იმ წუთებში პატიოსნებამ და სათნოებამ კვლავ გამაცდევინეს სინდისის ქერქნა, და ონგრით გადავავლე გონების თვალი ამინს, მამის ოჯახს, წმ. სულ-პიცის, უველა იმ ადგილს, სადაც უბიწოდ ვეხოვრობდი. როგორიც უფსკრული მაშორებდა ამ ბედნიერ ყოფას! მე მას მხოლოდ შორიიდან შეეცემერთდი, როგორც მოჩერებას, რომელიც ჯერ კიდევ იპყრობდა ჩემს ყურადღებას და ჩემს სურვილებს, მაგრამ ერთობ სუსტად, რომ გაეღვიძა ჩემში ძალოონე. რომელმა საბედისწერო გარემოებამ გამხადა ასეთ ბორიტმომქმედად? სიყვარულმა — ამ უმანკო გრძნობამ? როგორ გადაიქცა მერე ის ჩემთვის მათხოვრობისა და გარუცნილების წყაროდ? ვინ მიშლიდა შეკროვრა მანონთან მშვიდად და სათნოებით? რატომ არ დავიწერე მასზე ჯვარი, სანამ ვისარგებლებდი მისი სიყვარულით? ნუ თუ მამაჩემი, რომელსაც ასე ძლიერ ვუყვარებარ, არ დაითანხმდებოდა ასეთ კანონიერ საქმეს? მამა თვითონ შეიყვარებდა მას, როგორც მომხიბელელ ქალიშვილს, რომელიც საესებით ლირსი იყო მისი ვაჟის ცოლი გამზღარიყო. ბედნიერი ვიქნებოდი მანონს სიყვარულით, მამის სიყვარულით, პატიოსან ადამიანთა პატივისცემით, კეთილი ბედილბლირით და სათნო ცხოვრების მყუდროებით. ამ, ბედის უულმართო ტრიალი? ვინ არის ეს სალახანა, რომელზედაც მე მეუბნებიან? როგორ... სიყვარული გაეუნაშილო მას? მაგრამ შემიძლია ვანა ყოყმანი, როცა თვითონ მანონმა მთაწყო ეს? მე ხომ დაცყარგავ მას, თუ არ დაეუთმე?" „ბ-ნი ლესკო! — შეეყვირე ბოლოს და თვალები დაცხეცე, თითქოს იმისათვის, რომ მომეშორებინა ჩემი შემაძრწუნებელი ფიქრები, — თუ გსურთ ჩემთვის სამსახურის გაწევა, მაღლობას მოგასხენებთ, რასაცირველია, შეკეძლოთ უფრო პატიოსანი გზა აგრძინათ, მაგრამ საქმე უკვი ვათავებულია, ხომ მართალს ვამბობ? ეხლა იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ ვისარგებლოთ თქვენი მზრუნველობით და როგორ მოვიყენოთ სისრულეში თქვენი გეგმა".

ლესკო, რომელიც ჩემმა გაბრაზებამ და ხანგრძლივმა სიჩუმემ ცოტა არ იყოს შეაშუოთა, ეხლა ძალზე გაახარა ჩემმა გადაწყვეტილებამ, რასაც სრულიად არ მოელოდა; იყი არ იყო მამაცი, რაშიაც მე შემდეგში დაერწმუნდი, დიახ, დიახ! — სწრაფად მომიგო მან, — მე ძალიან დიადო სამსახური გავიწიეთ და დაინახავთ, რომ ჩეენ აქედან უფრო შეტა-სარგებლობას გამოიტანთ, ვიდრე თქვენ მოელით" შევუდექით თათბირს იმის შესახებ, თუ როგორ გაგვეფანტა დ-ე გ. ბ-ის ვევები, რომელიც შეიძლება დაებატოს მას ჩეენი ნათესაური კაშირის გამო, როგორ აღმოჩნდება. რომ მე უფრო მაღალი ვარ და მეტი ხილია, სხვა ვერაფე-

რო მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ მე თავი უბრალო და მეტყვინციელ უმაწვევილად მომეჩენებინა და დამერწმუნებინა იყი, რომ მე ჩემზადება სასულიერო ხარისხისათვის და ამ მიზნით ყოველდღე დაგრივან კოლეგიუმში. გადავწყვიტეთ აგრეთვე, რომ მასთან პრესტიჟი მასწყვედრის დროს ცუდად ჩამეცა.

ის ორი თუ სამი დღის შემდეგ დაბრუნდა ქალაქში. თვითონ მიაკალა მანონი იმ სახლამდე, რომელიც მშაროველმა შემოამზადა. მანონი მაშინვე აცნობა ლეგიოს თავისი დაბრუნება, ამან კი მე შემატყუბინა. ორივენი მანონთან წავედით. მოხუცი მოტრუიალე უკვი წასულიყო.

მიუხედავად იმ მორჩილებისა, რომელითაც მე მანონის ნებას დაუემორჩილე, დავინახე თუ არა იყი, კელარ შევძელი გულის ჩივილის დაუუჩება. დალონებული და მოწყვენილი ეყიავი. მანონის დანახვის სიხარულმა მაინც კერ დასძლია ის მწუხარება, რომელიც მისმა ღალატმა მომაყენა. ის კი აღტაცებული იყო ჩვენი შეხეედრით. მისაყველურა გულგრილობა. თავი კელარ შევიკავე და ოხერასთან ერთად მიუახალე: „ცბიერო!“ „მოღალატი!“

ჯერ იგი დასცინოდა ჩემს უბრალოებას. მავრამ როცა შეამჩნია, რა დალვრემილი შეესცექეროდი, როცა დაბრწმუნდა, რა ტანჯვით განვიცდიდი იმ ცვლილებას, რომელიც ასე ეწინააღმდევებოდა ჩემს ბუნებას და სურველებს, იგი თავის თთახში შევიდა. ერთი წუთის შემდეგ მეც შევყევი. მწარედ მოსთვეობდა. კეითხე მიუწიო. „ნუთუ შენთვის ნათელი არ არის—მისასუხა მან—განა შემიძლია მე ცხოვრება, თუ ჩემი დანახვა შენში სევდისა და მწუხარების მეტს არაფერს არ იწვევს? ერთ საათზე მეტია აქა ხარ და ახლოს არ მომკარებიხარ, ჩემს ალერსს კი ხონოქარის სიღიადით დებულობ“.

„მომისმინე, მანონ,— მიუუგე მე და გადავეხიე; — არ შემიძლია დავიმალო, რომ ჩემი გული უზომო მწუხარებას ვანიცდის. აღარას ვამბობ იმაზე, თუ როგორ შემაშფოთა თქვენმა ანაზღეულმა გაქცევამ, არც იმაზე თუ როგორ სასტიკად მიმატოვეთ და ერთი საწუგეშო სიტუაცია არ გაიმეტეთ მაშინ, როცა ღმიერ ჩემთან არ გაატერო. თქვენი მშვენება ყოველივე ამას დამივიწყებდა. მაგრამ ნუთუ ვგონით, განვაგრძე მე ქეითინით, რომ მე შემიძლია უდარდელად და უცრემლოდ ავიტანო ის სამწუხარო და სავალალო ცხოვრება, რომელსაც თქვენ ამ სახლში მიმსადებთ? ნურაფერს ვიტყვით ჩემს გვარიშვილობაზე და ჩემს პატიოსნებაზე; ყველაფერი ეს ძალზე სუსტია იმისათვის, რომ მეტოქეობა გაუწიოს ჩემს სიყვარულს. მაგრამ თვით ეს სიყვარული, — განა კერ ხედავთ, როგორ იტანჯება იყი, როცა ხედავს როგორ აჯილდოვებენ მას ამისათვის? როგორ ულირსიდ და მკაცრად ეცყრიობა მას უვრჩნობი და უგულო სატრუო?“

